საქართველოს [illegible] ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგის 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 13—80
ექსპედიციის 5—48.

ხუთშაბათი, 19 აგვისტო 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 187 (1732)

დღიური

- ამერიკის ფინანსთა მინისტრი მელლონი პარიზში მიემგზავრება.
- ვარშავაში პილსუდსკის თავმჯდომარეობით შესდგა სამხედრო კონფერენცია.
- უ-პეი-ფუსა და ჩან-ძო-ლინის ჯარისკაცები უარს ამბობენ სახალხო არმიასთან ბრძოლაზე.
- იტალია მხარს უჭერს ესპანეთის მოთხოვნილებას მუდმივი ადგილის მიცემის შესახებ ერთა ლიგის საბჭოში.
- პარიზში გაიხსნა საფრანგეთის კომკავშირის მეხუთე კონგრესი.
- ვალანსიენში (საფრანგეთი) ჟან რი ბარბიუსის თავმჯდომარეობით გაიმართა დიდი ანტი - ფაშისტური დემონსტრაცია.
- ფოლადის მრეწველთა თათბირზე შეთანხმებას ვერ მიაღწიეს.

რას მოელიან მუშები ინგლის-რუსეთის კომიტეტისგან

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

ახლო მომავალში განახლდება ინგლის-რუსეთის კომიტეტის შეწყვეტილი სხდომები, თუ...

ჩვენ იძულებული ვართ ვსთქვათ ეს „თუ", რადგან ჩვენ დარწმუნებული არა ვართ, რომ გენერალური საბჭო კვლავ არ გააჭიანურებს მთლიანობის კომიტეტის თათბირს.

პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ ინგლისის ტრედიუნიონების გენერალური საბჭო არ ჩქარობს იქ, სადაც საქმე ეხება მილიონზე მეტ გაფიცულ პროლეტარების შიმშილისაგან დაუძლურებას. პირიქით, ის ამსტერდამთან ერთად არავითარ საშუალებას არ ერიდება, რათა გააჭიანუროს, საბოტაჟი გამოუცხადოს და დაქსაქსოს კლასიური სოლიდარობის რეალური გამოხატულება ინგლისის და საერთაშორისო პროლეტარიატში, მიუხედავათ იმისა, რომ მუშათა მასებს სურთ სამთამადნო მუშების გამარჯვება, ე. ი. სურთ თავიანთი გამარჯვება. ინგლის-რუსეთის კომიტეტის მიმართ გენერალური საბჭო იქცევა ისე, როგორც იქცევიან მაშინ, როცა სურთ ჩაშალონ და შეასუსტონ ძმური კავშირი ინგლისის და საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს შორის. ასე გაიგეს გენერალურ საბჭოს საქციელი საბჭოთა პროფკავშირებმა (იხ. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პლენუმის რეზოლიუცია ა. წ. 12 აგვისტოს თარიღით). სხვანაირად ამის გაგება არც შეიძლება. გენერალურმა საბჭომ უკვე გადასდგა ნაბიჯები ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩასაშლელად, იმ კომიტეტის, რომელიც დაარსებულია ინგლისის, საბჭოთა კავშირის და მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის ინტერესების დასაცავად. ასე, თითქმის ასე ესმის გენერალურ საბჭოს საქციელი ყოველ შეგნებულ მუშას. ის, რაც მოხდა ინგლის-რუსეთის კომიტეტის 30—31 ივლისის სხდომების შემდეგ, სრულიად არ აქარწყლებს შიშს იმის შესახებ, რომ ინგლის-რუსეთის კომიტეტის მთლიანობა არ დაირღვევა, რომ მას შესწევს უნარი იბრძოლოს კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ. პირიქით, გენერალური საბჭოს საქციელი სავსებით ადასტურებს ამ შიშს.

გენერალურმა საბჭომ მოიწონა ინგლისის დელეგაციის მოქმედება მთლიანობის კომიტეტის უკანასკნელ სხდომაზე, რომელმაც უარი განაცხადა მემაღაროების სამი თვის (მაშინ) გაფიცვის დახმარების საკითხის განხილვაზე და ამის ნაცვლად მოითხოვა ჩვენი დელეგაციისაგან უკან წაეღო საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს დეკლარაცია, რომელშიაც უკანასკნელი თავისუფალი კრიტიკით სარგებლობის საფუძველზე, ააშკარავებდა გენერალურ საბჭოს შტრეიკბრეხერობას. გენერალურმა საბჭომ მოიწონა საბოტაჟი გაფიცულ სამთამადნო მუშების დახმარებისადმი. მოწონებულია ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლის ცდა.

მაგრამ ამასთან ერთად სცენაზე კვლავ გამოუშვეს ეგრედწოდებული „მემარცხენეები", რომელნიც იმით განსხვავდებიან ისეთი მემარჯვენეებისაგან, როგორც ტომასებია, რომ პირველნი ბევრს ლაყბობენ, ხოლო მეორენი ცოტას ლაპარაკობენ, მაგრამ სამაგიეროთ ბევრს აკეთებენ.

აერსელმა და ხიკსმა გამოაქვეყნეს წერილები, რომელთა მიზანია დაფარონ გენერალურ საბჭოს მოღალატური ტაქტიკა. ეს წერილები შეიცავენ ასეთ „ლამაზ სიტყვებს": „ინგლის-რუსეთის კომიტეტის მნიშვნელობა დღითი-დღე იზრდება, რომ „თანდათან აუცილებელი და აშკარა ხდება ინგლისის და საბჭოთა კავშირის მუშების სოლიდარობა", რომ საქმე ვერ ითმენს დაყოვნებას" და სხვ.

ინგლისის მუშებმა უნდა გაიგონ, თუ რისთვის იწერება ეს „ლამაზი **ფრაზები**", რომლის უკან იფარება გამცემლური **მოქმედება.**

„ინგლის-რუსეთის კომიტეტის მნიშვნელობა დღითი-დღე იზრდება". ვინ ამბობს ამას? სწორედ ისინი, ვინც სცდილობდენ ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლას, რომელნიც ყოველ მხრივ აფერხებდენ ინგლის-რუსეთის კომიტეტის მუშაობის გაფართოებას.

„საქმე ვერ ითმენს დაყოვნებას". ვისგან გვესმის ეს? სწორედ იმათგან, რომელნიც უკვე მეოთხე თვეა საბოტაჟს უცხადებენ და აჭიანურებენ გაფიცულთა დახმარებას, გვესმის იმათგან, რომელნიც უარს ამბობენ ამ საკითხის განხილვაზედაც კი.

ინგლისის მუშათა მასებს სურთ მჭიდრო კავშირის დამყარება საბჭოთა კავშირის მუშებთან. მათ კარგად ესმისთ ინგლის-რუსეთის კომიტეტის უდიდესი მნიშვნელობა და სურთ, რომ ეს მუშაობა სწორედ ეხლა, დაუყოვნებლივ განვითარდეს. მათ ესმისთ ბრძოლის იმ პროგრამის უდიდესი აზრი, რომელიც ჩამოყალიბებულია ინგლის-რუსეთის კომიტეტის პირველ დეკლარაციაში. იმათ, ამ მუშათა მასებს პერსელი და ხიკსი თვალებს უხვევენ ფრაზებით და ქათინაურებს უგზავნიან საბჭოთა კავშირის მუშებს, რათა დაფარონ თავიანთი ფაქტიური შტრეიკბრეხერობა, დაფარონ ცდა, რომელიც მიმართულია ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლისაკენ.

ინგლისის მუშათა მასების ზეგავლენამ ორი წლის წინად აიძულა გენერალურ საბჭოს რეფორმისტები შეექმნათ ინგლის-რუსეთის კომიტეტი. პროლეტარულ მასების იგივე ზეგავლენა ამჟამად აიძულებს მათ სთქვან ლამაზი სიტყვები ინგლის-რუსეთის კომიტეტის შესახებ. მაგრამ ჩვენ ინგლისის მუშებთან ერთად გვინდა არა ლამაზი სიტყვები, არამედ **რეალური** ნაბიჯები. ინგლის-რუსეთის კომიტეტს შეუძლია განმტკიცდეს არა სიტყვების, არამედ მასების რეალური დახმარებით კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩვენ მოველით ინგლის-რუსეთის კომიტეტისაგან, რათა უკანასკნელმა, ბოლოს და ბოლოს გადასდგას რეალური ნაბიჯები ინგლისის მებრძოლ მემაღაროების დასახმარებლად.

ჩვენ გვინდა, რომ ეს დახმარება დაუყოვნებლივ იქნას აღმოჩენილი, წინააღმდეგ შემთხვევაში გვიან იქნება.

ჩვენ მოველით ინგლის-რუსეთის კომიტეტისაგან, გამოსთქვას თავისი აზრი იმ მევახშური პროცენტების შესახებ, რომელსაც ამსტერდამის ინტერნაციონალის სექციები მოითხოვენ დამშეულ მემაღაროებისათვის მიცემულ სესხში.

ჩვენ მოველით ინგლის-რუსეთის კომიტეტისაგან გამოსთქვას აზრი მუშათა პროფკავშირების წინააღმდეგ კაპიტალის შემოტევის შესახებ, კერძოდ იმის შესახებ, რომ ინგლისის კონსერვატიული მთავრობა ემზადება პროფკავშირების დასარბევად.

ჩვენ მოველით ინგლის-რუსეთის კომიტეტისაგან გარკვეულ აზრს მომავალ ომების საშიშროების შესახებ.

ორში ერთი: ან უნდა გატარდეს მუშათა რეალურ კლასიურ სოლიდარობის პოლიტიკა, ან სამთამადნო მუშები უნდა დამარცხდენ, რასაც აუცილებელ შედეგად მოჰყვება: კაპიტალისტების შეტევის გაძლიერება ინგლისის მუშათა კლასის დანარჩენ რაზმების წინააღმდეგ, კაპიტალისტების ცდა ნამდვილი მნიშვნელობა დაუკარგონ მუშათა პროფესიონალურ ორგანიზაციებს და აგრეთვე კაპიტალისტების შეტევის გაძლიერება ყველა ქვეყნებში. პასუხისმგებლობა ამისათვის პირველ ყოვლისა დააწვება გენერალურ საბჭოს და არა ინგლისის მუშებს, რომლებმაც დაამტკიცეს ბრძოლისათვის მზად ყოფნა, და აგრეთვე ეს პასუხისმგებლობა დაეკისრებათ რეფორმისტებს გენერალურ საბჭოდან.

ინგლის-რუსეთის კომიტეტის მომავალმა სხდომამ გარკვეული პასუხი უნდა მოგვცეს ამ საკითხებზე.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ინგლისის პროლეტარიატი ნებას არ მისცემს გენერალურ საბჭოს რეფორმისტებს უყურადღებოდ დასტოვონ ის მწვავე საკითხები, რომელიც შეეხება ყოველი მუშის სასიცოცხლო ინტერესებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის ნებას არავის მისცემს საეჭვო გახადოს ინგლის-რუსეთის კომიტეტის არსებობა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იგი აღკვეთავს ყოველგვარ ცდას, რომელიც მიმართული იქნება ინგლისის და საბჭოთა კავშირის მუშების გათიშვისა და საბჭოთა კავშირის პროფესიონალურ მოძრაობის იზოლიაციისაკენ.

(გადმოცემულია ტელეგრაფით).

მოსკოვი, 18 აგვისტო.

სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების ხელმძღვანელობა

საქართველოში ამჟამად 31 მომქმედი სასოფლო-სამეურნეო კოლექტივია, მათ შორის 24 აღმოსავლეთ საქართველოშია, სადაც—მიწის შედარებით ნაკლები სივიწროვისა და საფონდო ადგილების არსებობის გამო—უკეთესი პირობებია კოლექტივების განვითარებისათვის.

გარდა 31 მომქმედ კოლექტივისა 9 კოლექტივი დაარსების პროცესში იმყოფება და ამნაირად დღეს საქართველოში ითვლება არა ნაკლებ 40 სასოფლო-სამეურნეო კოლექტივისა, რომლებიც წარმოადგენენ მომავალი სოციალისტური მსხვილი მიწათმოქმედების პირველ ჩანასახებს

31 მომქმედ სასოფლო-სამეურნეო კოლექტივში: 1 მიწის საზიაროთ დამუშავების ამხანაგობაა, 22 არტელი და 8 კომუნა. მათში გაერთიანებულია 388 გლეხური მეურნეობა (1926 სული), დაახლოებით საქართველოს სოფლის მოსახლეობის 0,1%; რუსეთის კოლექტივებში კი გაერთიანებულია გლეხობის 1,5%.

აქედან ცხადია, რომ ჩვენში ჯერჯერობით სუსტად არის განვითარებული კოლექტივისტური მოძრაობა, მაგრამ შემჩნეულია, რომ სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების და მათში გაერთიანებულ გლეხობის რიცხვი ჩვენშიც ყოველწლიურად მატულობს.

ამას ნათლად დავინახავთ შემდეგი ციფრებიდან: 31 მომქმედ სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებიდან დაარსებულია 1922 წ.—1; 1923 წ.—2; 1924 წ.—3; 1925 წ.—9 და 1926 წ.—11. ამის დამატებით, როგორც ზევით იყო აღნიშნული, დაარსების პროცესში იმყოფება არა ნაკლებ 9 კოლექტივისა.

აქედან ცხადია სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების შეუჩერებელი რიცხვობრივი ზრდა.

სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების მშენებლობა ჩვენში პირველად დაიწყო 1922 წ. კახეთში, სიღნაღის და თელავის მაზრებში. შემდეგ წლებში კომუნების და არტელების სტიქიური მშენებლობა აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ადგილებშიც იქნა შემჩნეული, განსაკუთრებით თბილისისა და გორის მაზრებში.

1925 და 1926 წ. ეს მოძრაობა დასავლეთ საქართველოშიც გადადის, უმთავრესად ზუგდიდის და შორაპნის მაზრებში. თუმცა დასავლეთ საქართველოში უფრო ნაკლებ პირობებია კოლექტიურ მეურნეობათა განვითარებისთვის, მიწის დიდი სივიწროვის, საფონდო ადგილების უქონლობის და სხვა მიზეზების გამო.

საჭიროა ღარიბ და საშუალო გლეხობაში შემჩნეულ სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებში გაერთიანების მიდრეკილებას შესაფერი გეგმიანი ხელმძღვანელობა გაეწიოს.

უამისოდ კი სასოფლო-სამეურნეო კოლექტივები ვერ შეასრულებენ თავის დანიშნულებას სოციალისტური მიწათმოქმედების შექმნის საქმეში და ვერ გაამართლებენ გლეხობის ნდობას. დღემდე კი სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების ორგანიზაციული ხელმძღვანელობის საკითხი, აგრიკულტურული დახმარების, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის და კრედიტის მიწოდების საკითხი არ იყო მოწესრიგებული. ნაკლები ყურადღება ექცეოდა ანგარიშწარმოების დაყენებას, შრომის განაწილებას, მისი ნაყოფიერების გადიდებას, კოლექტივების შინაგანი ყოფა-ცხოვრების მოწესრიგებას და სხვა.

მრავალ სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებში მეტად მწვავედ სდგას მიწათმოწყობის საკითხი. ადგილობრივი აგრონომიული პერსონალიც არ არის დაახლოებული სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებს, რომელთა საშუალებითაც უნდა ტარდებოდეს პირველ რიგში ყოველგვარი აგრიკულტურული ღონისძიებანი და გაუმჯობესებანი. ჩვენი სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციაც დღემდე თითქმის ვერავითარ ყურადღებას ვერ აქცევდა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებს, რომლებიც რუსეთში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საერთო სისტემის განუყრელ ნაწილს წარმოადგენენ.

მომავალისთვის შეუძლებელია ასეთი მდგომარეობის დატოვება. საქართველოს კომპარტიის ცეკას უკანასკნელი პლენუმის რეზოლიუციებში ნათქვამია: „აღნიშნავს რა კომუნების, არტელების, სასოფლო - სამეურნეო კოლექტივების ზრდას და ცენტრის მხრივ არა საკმაო ხელმძღვანელობას, ცეკას პლენუმი ავალებს პრეზიდიუმს დააჩქაროს მათი შესწავლა და მიიღოს მთელი რიგი კონკრეტიული ღონისძიებები მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად".

ამ რეზოლიუციის გასატარებლად საჭიროა პირველ ყოვლისა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებში მოწესრიგდეს ორგანიზაციული და აგრიკულტურული ხელმძღვანელობა. მიწათმოქმედების კომისარიატმა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ მტკიცე და გარკვეულ ფორმებში უნდა ჩამოაყალიბონ თავიანთი დამოკიდებულება და ხელმძღვანელობა ამ კოლექტივებისადმი. რუსეთის კოლექტივისტური მოძრაობის საკმაოდ მდიდარი პრაქტიკა საფუძვლით უნდა იქნას გამოყენებული და როგორც მიწათმოქმედების კომისარიატს, ისე სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სავსებით განსაზღვრული პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ჩვენი სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების განვითარების საქმეში.

ი. ბუაჩიძე.

ინგლისის სამთა-მადნო მუშების სადელეგატო კონფერენცია

მემაღაროები თანახმა არიან განაახლონ მუშაობა მხოლოდ გაფიცვამდე არსებულ პირობებში

კომინტერნის აღმასკომი მოუწოდებს მსოფლიო პროლეტარიატს გააფართოვონ მემაღაროეთა დახმარების საქმე

ლენსბერი ჰკიცხავს ინგლისელ დელეგატების მოქმედებას ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტში

ჩან-ძო-ლინის და უ-პეი-ფუს ჯარებში აჯანყება დაიწყო.—მღელვარება შანხაიში

ბრძოლა ინგლისში

რა გადასწყვიტა კონფერენციამ

ლონდონი, 17 აგვისტო. სამთა-მადნო მუშათა სადელეგატო კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ კონფერენცია **მხარს უჭერს მოლაპარაკების განახლებას ისეთ პირობების საფუძველზე, რომლებიც უზრუნველყოფენ 8 საათის სამუშაო დღის კანონის შეცვლას და შეთანხმების დადებას მთელი ინგლისის მასშტაბით; ამასთანავე მთელი ინგლისის მასშტაბით დაწესებულ უნდა იქნას სამუშაო ხელფასის მინიმუმი.**

ამ რეზოლიუციას ხმა მისცეს დელეგატებმა, რომლებიც საერთოდ 428.000 მემაღაროეს წარმომადგენლები არიან, ხოლო წინააღმდეგ მისცეს ხმა 360.000 მემაღაროეს წარმომადგენლებმა. იორკშირის, სამხრეთ უელსის, ლანკაშირის და ფორესტ-ოფდანის დელეგატებმა ამ რეზოლიუციის წინააღმდეგ მისცეს ხმა.

რეზოლიუციის მიღება იმას ნიშნავს, რომ ფედერაციის აღმასკომი შეეცდება მოლაპარაკება აწარმოოს მაღაროს მეპატრონეებთან იმ მიზნით, რომ გამოარკვიოს, თუ როგორ დათმობაზე შეუძლიათ წასვლა მწარმოებლებს. **იმ შემთხვევაში, თუ მაღაროს მეპატრონენი უარს იტყვიან დათმობაზე, მაშინ მიღებულ იქნება ზომები ბრძოლის გასაგრძელებლად.**

ამის გამო გენერალურმა საბჭომ გამოჰყო ქვე-კომისია, რომელშიაც შედიან **პერსელი** და **უელში.** ქვე-კომისია განიხილავს მემაღაროეთათვის დახმარების აღმოჩენის საკითხს (პირველ რიგში პროფკავშირთა ანარიცხების შეგროვების გზით).

სხვა წინადადებების მიხედვით **განზრახულია სამთა-მადნო მუშათა დელეგაციის გაგზავნა საფრანგეთსა და გერმანიასა და საბჭოთა კავშირში.**

ამ რეზოლიუციის მიღებასთან დაკავშირებით საინტერესოა მოვაგონოთ როგორ იქნა დასმული საკითხი კუკის მიერ. მან განაცხადა: სადელეგატო კონფერენციამ არა მარტო თავის ძალების დათვალიერება უნდა მოახდინოს, არამედ უნდა გამოარკვიოს აგრეთვე მტრის ძალაც. კონფერენციამ უნდა გადასწყვიტოს: განვაგრძოთ ბრძოლა თუ არა; **ბრძოლის გაგრძელება კი ნიშნავს ბრძოლის ახალი იარაღის გამოჭედვის აუცილებლობას.** დაწყებულ უნდა იქნას მოლაპარაკება ისეთი პირობების საფუძველზე, რომლებიც უზრუნველყოფენ 8 საათის სამუშაო დღის კანონის უარყოფას და მაღაროს მეპატრონეთა და მემაღაროებს შორის შეთანხმების დადებას საერთო-ინგლისის მასშტაბით, საერთო სამუშაო ხელფასის მინიმუმის დაცვით.

რა ესიზმრება ჯოინსონ ხიკს

ლონდონი, 18 აგვისტო. შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯოინსონ ხიკსმა ტეიკინგამის კონსერვატორების კავშირის თავმჯდომარეს გაუგზავნა წერილი საყოველთაო გაფიცვის გამო, რომელიც, როგორც იგი აცხადებს, „მოსკოვის მიერ იყო მოწყობილი".

ხიკსი თავის წერილში ეხება ეგრედწოდებულ „მოსკოვის ინტრიგებს" 1924 წლიდან დაწყებული დღევანდლამდე. შემდეგ ხიკსი გაკვრით ეხება ინგლის-რუსეთის კომიტეტს, რომელიც დაარსებულ იქნა იმ მიზნით, რომ „საყოველთაო აჯანყება მოეწყო ინგლისში". შემდეგ ხიკსი აცხადებს, რომ გაფიცვის შემდეგ მოსკოვი „კვლავ განაგრძობდა კონსტიტუციის ერთგულ ინგლისის პროფკავშირთა ბელადების შეურაცყოფას".

დასკვნაში ხიკსი სწერს:

იმედი მაქვს, რომ ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ინგლისის კონსტიტუცია, შეიგნებს, რომ გაფიცვა არც პირველია და არც უკანასკნელი. ეხლაც კი განიხილავენ მომავალი გაფიცვებისათვის მზადების საკითხს. ჩვენ აშკარად და მტკიცედ უნდა ვიმუშაოთ იმ ცდების წინააღმდეგ, რომელთა მიზანია რევოლიუციის მოხდენა ჩვენს ქვეყანაში.

სამღვდელოების წინადადება უარყოფილია

ლონდონი, 17 აგვისტო. 16 აგვისტოს გაიხსნა ინგლისის სამთა-მადნო მუშათა სადელეგატო კონფერენცია. კონფერენციამ პირველ დღეს განიხილა დაწვრილებითი ანგარიში სამღვდელოების მემორანდუმის კენჭის ყრის შესახებ.

საბოლოო შედეგები **ასეთია: სამღვდელოების წინადადებებს ხმა მისცა 333.036 მემაღაროემ, ხოლო წინააღმდეგ 367.650.**

ამგვარად სამღვდელოების წინადადებანი უარყოფილია.

შემდეგ კონფერენცია გადავიდა იმ რეზოლიუციის განხილვაზე, რომელიც რწმუნებას აძლევს ფედერაციის აღმასკომს, რომ დაიწყოს მოლაპარაკება სამუშაო ხელფასის საკითხის შესახებ შემდეგი პირობების საფუძველზე: შეთანხმება მთელი ინგლისის მასშტაბით, ხელფასის საერთო მინიმუმის დაწესება და 7 საათის სამუშაო დღის დაცვა მაღაროებში.

ამ რეზოლიუციის შესახებ კამათი გადაიდო 17 აგვისტოსათვის.

მემაღაროეთა ზეგავლენით

ლონდონი, 17 აგვისტო. კუკის განცხადებამ იმის შესახებ, რომ მაკდონალდმა უარი სთქვა სამთა-მადნო მუშათა კავშირის მოთხოვნილების შესრულებაზე, რომ მას ამერიკაში გაეგზავნა დეპეშა ბალდუინის იმ წერილის უარსაყოფად, რომელშიაც ბალდუინი აცხადებდა, რომ არავითარი სიმშილობას მემაღაროეთა შორის არა აქვს ადგილიო, უკვე გამოიღო თავისი შედეგები.

16 აგვისტოს მაკდონალდმა შეერთებულ შტატებში გაგზავნა წერილი, რომელშიაც უარყოფს ბალდუინის მტკიცებას, რომ ვითომც ინგლისის მემაღაროენი სიმშილს არ განიცდიან.

პროვოკაციითა და სიმშილით

ლონდონი, 17 აგვისტო. სამთა-მადნო მუშათა სადელეგატო კონფერენცია კვლავ გრძელდება. შუადღეზე სხდომის შეწყვეტის დროს საბჭოთა კავშირის დეპეშ. სააგენტოს კორესპონდენტი ესაუბრა სხვადასხვა რაიონების დელეგაციების წევრებს.

„დეილი მეილმა" დილით გაავრცელა ხმები, რომ ვითომც როისტონისა და იორკშირის სამთა-მადნო მუშებმა ერთხმად მიიღეს 8 საათის სამუშაო დღე.

როისტონის დელეგატმა აცნობა საბჭოთა კავშირის დეპ. სააგენტოს კორესპონდენტს, რომ მან მიიღო დეპეშა თავის ორგანიზაციისაგან, რომელიც კატეგორიულად უარყოფს „დეილი მეილის" ცნობას და აცხადებს, რომ საერთოდ არავითარი მიტინგი არ შემდგარა.

ჩრდილოეთ უელსის დელეგატებმა უარყვეს პრესის ცნობა, რომ ვითომც მათი რაიონის სამთა-მადნო მუშები სამუშაოზე იმყოფებიან და განაცხადეს, რომ გავრცელებული ხმები, თითქო მათ რაიონში უმთავრესი მაღაროები დაიწყებენ მუშაობას,—მოჭორილი ამბავია. კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც სასტიკად პროტესტს აცხადებს ბალდუინის წერილის წინააღმდეგ და ამბობს: ეს დამამტკიცებელია იმისა, რომ მთავრობამ გადასწყვიტა დაეხმაროს მაღაროს მეპატრონეებს მათ მისწრაფებაში სიმშილის საშუალებით დაამარცხონ მემაღაროები.

კომინტერნის აღმასკომის მოწოდება

მოსკოვი, 18 აგვისტო. კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომმა მიმართა ყველა ქვეყნების კომუნისტურ პარტიებს მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია:

„ინგლისის სამთამადნო მუშები განაგრძობენ გმირულ ბრძოლას. უკანასკნელი კვირა განსაკუთრებით კრიტიკული იყო გაფიცულ სამთამადნო მუშებისათვის. სამთამადნო მუშების დამარცხების მიზნით სცენაზე გამოვიდა სამღვდელოება ტკბილი სიტყვებით ძმობისა და სიყვარულის შესახებ. სამღვდელოების მიზანი ნათელია,—მას უნდა თავზე მოახვიოს სამთამადნო მუშებს ხელფასის და საცხოვრებელი მინიმუმის შემცირების ის პროგრამა, რომლის წინააღმდეგაც ისინი აჯანყდენ. ინგლისის გაბატონებულმა კლასებმა, რომლებმაც ვერ შესძლეს მემაღაროების დამარცხება პირდაპირ ბრძოლაში, წამოაყენეს მათ წინააღმდეგ გაიძვერა ეპისკოპოსები, რათა უკანასკნელებმა ეშმაკობით დასძლიონ სამთამადნო მუშების ძლიერი წინააღმდეგობა.

მაგრამ სამთამადნო მუშათა მასებმა გაიგეს სამღვდელოების ოინები, ისე როგორც თავიანთი ლიდერების რჩევა-დარიგებანი და გარკვევით უპასუხეს მათ: „ჩვენ არ დავნებდებით, ვიბრძოლებთ გამარჯვებამდე".

ამავე დროს ინგლისის პროფკავშირთა გენერალურმა საბჭომ და ამსტერდამის ინტერნაციონალმა აშკარად დაგვანახვეს, რომ ისინი ბოროტგანზრახვით და თანდათანობით ამზადებენ სამთამადნო მუშების დამარცხებას. ამსტერდამის ინტერნაციონალმა ცინიკურად უარი განაცხადა ფულების შეკრებაზე გაფიცულ სამთამადნო მუშების დამშეულ ოჯახებისათვის დახმარების გასაწევად იმ მოსაზრებით, რომ გენერალურ საბჭოს ეს არ მოუთხოვია. გენერალური საბჭო აწარმოებდა უნაყოფო მოლაპარაკებას ამსტერდამის მდიდარ სექციებისაგან სესხის აღების შესახებ. უკანასკნელებს არც კი შერცხვათ, როდესაც სამთამადნო მუშათა დახმარების პირობად წამოაყენეს მატერიალური უზრუნველყოფა და ყაჩაღური პროცენტები.

ასე ესმით სოლიდარობა ამსტერდამის პროფკავშირების ხელმძღვანელებს. რაც შეეხება თვით გენერალურ საბჭოს, მიუხედავათ სესხის შესახებ წარმოებულ მოლაპარაკების ჩაშლისა, მან მაინც უარი განაცხადა განეხილა სამთამადნო მუშების დახმარების საკითხი ინგლის-რუსეთის კომიტეტის კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა პარიზში 30—31 ივლისს.

ასეთ პირობებში სამთამადნო მუშების ბრძოლას ეძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა. ინგლისის სამთამადნო მუშები წარმოადგენენ დღეს ინგლისის პროლეტარიატის ავანგარდს, რომელიც იცავს თავის სასიცოცხლო ინტერესებს კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ.

ინგლისის პროლეტარიატის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რათა აიძულოს გენერალური საბჭო და მისი დელეგაცია ინგლის - რუსეთის კომიტეტში, ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ გაფიცულ მემაღაროებს. სამთამადნო მუშების დახმარება უნდა იყოს სასწრაფო და აქტიური. იგი უნდა გამოიხატოს იმაში, რომ ყველა მუშებმა გადარიცხონ მემაღაროების სასარგებლოთ თავიანთ ხელფასის ნაწილი.

უგზავნის რა თავის მხურვალე სალამს ინგლისის სამთამადნო მუშებს, კომინტერნი მოუწოდებს მთელი მსოფლიოს კომუნისტურ პარტიებს და რევოლიუციონურ მუშებს გაათკეცებული ენერგიით განაგრძონ მუშაობა სამთამადნო მუშების დასახმარებლად".

ლენსბერის წერილი ამხ. ტომსკისადმი

მოსკოვი, 18 აგვისტო. ინგლისის მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის ლიდერმა, ინგლისის პარლამენტის წევრმა ლენსბერიმ, რომელიც სამკურნალოთ იმყოფება ესენტუკში, გაუგზავნა ტომსკის შემდეგი დეპეშა:

„ძალიან სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ინგლისის დელეგატებმა პარიზში უარი განაცხადეს სამთამადნო მუშათა დახმარების საკითხის განხილვაზე. მე სავსებით უერთდები თქვენს რეზოლიუციას. იმედი მაქვს, რომ მას ინგლისში წაიკითხავენ ყველა მუშები, განსაკუთრებით, მემაღაროები. **ტრედიუნიონების მომავალი კონგრესი გაჰკიცხავს ინგლისის დელეგატების ასეთ ტაქტიკას.** მუშათა კლასის ერთად-ერთი იმედი დამყარებულია არა ისეთ კავშირზე, რომელიც მოწყობილია ეროვნულ პრინციპის მიხედვით, არამედ კლასთა ბრძოლაზე, რომელიც საერთაშორისოა".

ბალდუინის წერილის მიზანი

ლონდონი, 17 აგვისტო. მონმუტშირის საგრაფოს საბჭომ გუშინდელ სხდომაზე გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „საბჭო გამოსთქვამს ზიზღს და პროტესტს პრემიერის წერილის წინააღმდეგ, რომელშიაც იგი აცხადებს, რომ გაფიცულ სამთა-მადნო მუშათა ცოლები და შვილები არავითარ გაჭირვებას არ განიცდიან".

ასეთი განცხადების გაკეთება შეიძლებოდა ან ფაქტების სრული უცოდინარობის გამო, ან შეგნებულად წინასწარი განზრახვით იმ მიზნით, რომ დაეხმაროს მაღაროს მეპატრონეებს სამთა-მადნო მუშების სიმშილის საშუალებით დამარცხების საქმეში. მონმუტშირის საბჭოში მუშათა პარტიას უმრავლესობა ყავს.

გერმანიის პროფკავშირთა მოწოდება

ბერლინი, 17 აგვისტო. „ფორვერტსი" ბეჭდავს გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების მოწოდებას, რომელიც მოუწოდებს გერმანიის ყველა მუშებს და მუშა-ქალებს, რომ შეძლების დაგვარად დახმარება აღმოუჩინონ ინგლისის მემაღაროებს.

კლასიური ალღოა ალება

ლონდონი, 18 აგვისტო. ბერრში (დასავლეთ უელსში) შემდგარ მიტინგზე, სამთა-მადნო მუშების მიერ გამოტანილ იქმნა რეზოლიუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ სამღვდელოების წინადადება წარმოადგენს სამთა-მადნო მუშების სოლიდარობის დარღვევის ცდას.

რეზოლიუცია ჰკიცხავს კუკს იმისათვის, რომ ის მხარს უჭერს ამ წინადადებას.

მთავარი დაბრკოლებები

ლონდონი, 18 აგვისტო. ხვალ დაიწყება მოლაპარაკება მემაღაროებსა და მაღაროს პატრონთა შორის. კუკმა მიმართა მაღაროს მეპატრონეთა ასოციაციას და სთხოვა თათბირის მოწვევა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ორივე მხარის აღმასკომები. თათბირი დანიშნულია ხვალისთვის. მთავრობას აცნობეს საქმის მსვლელობა, მაგრამ მთავრობას ჯერ არ მოსვლია თხოვნა თათბირში მონაწილეობის მისაღებათ. თუ მემაღაროები და მაღაროს პატრონები მოისურვებენ დამოუკიდებელი თავმჯდომარის ყოლას, მთავრობა ასეთ თავმჯდომარეს სიამოვნებით დანიშნავს.

დღეს პრემიერი დაესწრო კაბინეტის კომისიის სხდომას, რომელიც არჩევდა ნახშირის მრეწველობის სადავო საკითხს. საქმის მსვლელობის შემდეგი საფეხურები იწვევს საერთო კმაყოფილებას და ქმნის მტკიცე რწმენას, რომ გაფიცვა ახლო მომავალში დასრულდება.

ერთად ერთი ხელშემშლელი გარემოება აღმასკომისათვის არის მემაღაროეთა დელეგატების მიერ წაყენებული მოთხოვნილება, რომ საკითხის გადაჭრა უნდა მოხდეს საერთო ნაციონალური მასშტაბით და არა ცალ-ცალკე რაიონებათ. მოლაპარაკების დროს ყველაზე ძნელი გადასაწყვეტი იქნება საკითხი სამუშაო საათების გადიდების შესახებ. ადვილი შესაძლებელია, რომ მუშების წარმომადგენლები წინააღმდეგობას გაუწევენ შვიდი საათის სამუშაო დროის გადიდებას. მაღაროს პატრონები—კი სამუშაო დროის გადიდებას უცქერიან, როგორც აუცილებელ პირობას, სანამ ნახშირის მრეწველობა არ დადგება ფეხზე. მაღაროს პატრონებს მზად აქვთ ჯამაგირების შედარებითი ცხრილები, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდა მემაღაროებს მისცემოდათ ხელფასი.

გენერალური საბჭო უკმაყოფილოა

ლონდონი, 18 აგვისტო. გენერალური საბჭოს ბიულეტენში „ინდუსტრიალ ნიუზში" მოთავსებულია წერილი, რომელშიაც ნათქვამია: რუსეთის პროფკავშირთა ბელადების მიერ ინგლის - რუსეთის კომიტეტის რიგებში არის მწვავე უთანხმოება. მიუხედავათ იმისა, რომ გენერალური საბჭო ყოველ მხრივ სცდილობს დაიცვას მეგობრული ურთიერთობა ინგლის - რუსეთის პროფკავშირთა შორის, საბჭოთა პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს გალაშქრებამ ინგლისის პროფკავშირთა ბელადების წინააღმდეგ, საერთო გაფიცვასთან დაკავშირებით, გამოიწვია სასტიკი აღშფოთება. იმ მტრულ ატმოსფერაში, რომელიც შეიქმნა ინგლისის ბელადების წინააღმდეგ, ძნელია რუსებთან თანამშრომლობის გაგრძელება იმ მიზნის მისაღწევათ, რომლისთვისაც დაარსებული იყო ინგლის - რუსეთის კომიტეტი.

უცხოეთის პრესა

„ფორვერტსი" და გერმანელ მუშათა მეორე დელეგაცია

როგორც მკითხველებს ემახსოვრება, გერმანიის მუშათა პირველმა დელეგაციამ, როგორც იტყვიან, სისხლი გაუშრო გერმანელ მენშევიკებს. ძალიან ყელში გაეჩხირა მათ მეორე დელეგაციაც, რომელიც ამჟამად ჩვენს კავშირშია.

ამას წინად ამ დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. კერბერი ესაუბრა, სხვა დელეგატებთან ერთად, გაზ. „როტე ფანე"-ს თანამშრომელს. კერბერმა სთქვა: ძალიან ვწუხვარ, რომ „ფორვერტსი" საბჭოთა რუსეთის მტრების რიცხვშია. ჩემი სურვილი იქნებოდა, რომ გერმანიის **სოციალ - დემოკრატიის და პროფკავშირების ხელმძღვანელი ამხანაგები წასულიყვნენ საბჭოთა კავშირში და იქ ესწავლათ, როგორ უნდა მუშა-მოსამსახურეების ინტერესების დაცვა.** 50 წლის განმავლობაში ქადაგებდა ჩვენი პარტია (კერბერი — სოციალ-დემოკრატია) სოციალიზმს და როდესაც დაჰკრა საათმა, რომ პრაქტიკული დასკვნები გაეკეთებია მას ამ ქადაგებიდან, მან დაჰკარგა გამბედაობა ეს დასკვნები გაეკეთებია და სათანადო ნაბიჯი გადაედგა.

ეს საუბარი გამოვიდა „როტე ფანე"-ში ექვს აგვისტოს დილას. „ფორვერტსი", ისარ ნაკრავივით — ეს ბუნებრივია, რადგან კარგი „ამბავი" არ უთქვამს, როგორც მკითხველი ხედავს, მისთვის მისივე პარტიის წევრს—ეცა კერბერს იმავე დღეს თავის საღამოს გამოცემაში.

„თუ კერბერმა მართლა სთქვა ის, რაც „როტე ფანე"-ში სწერია, ცხადია ის შეგნებულად დამდგარა ბოლშევიკების ტყუილების პროპაგანდის სამსახურში, იმ პროპაგანდის, რომლის მიზანია საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გათიშვა" და სხვა.

ბოლშევიკების სამსახურში! გერმანიის მენშევიკური პარტიის ძველი წევრი—მუშა, ცნობილი სოციალ - დემოკრატი, ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი გერმანიის პროფმოძრაობისა... ბოლშევიკების „ტყუილების" პროპაგანდისტი. უკვე ერთი ასეთი აზრი კერბერის შესახებ არის საბრალმდებლო აქტი მთელი „ფორვერტს"-ის კომპანიისათვის.

ყურები გამოუჭედეს გერმანელ მუშებს ყვირილით: ბოლშევიკებმა რუსეთი დაღუპესო.

ამ მუშების წარმომადგენლები მოვიდენ ჩვენს კავშირში, უნდოდათ გაეგოთ მართალია ეს ამბავი თუ ჭორია.

როდესაც დაინახეს, რომ ბელადები მათ ატყუებდენ, სთქვეს ეს ტყუილია, ჩვენი ბელადები უნდა წამოვიდნენ რუსეთში, რომ აქ ისწავლონ, როგორ უნდა მუშების და მოსამსახურეების ინტერესების დაცვა.

მოკლეთ, სოციალ - დემოკრატი მუშები პირში წარუდგენ თავიანთ ბელადებს და ამხილეს ისინი ტყუილში. ამან გამოიყვანა ეს „ბელადები" მოთმინებიდან და დორბლმორეული ლანძღავენ თავიანთ პარტიის წევრებს, ხელმძღვანელ მუშებს.

მაგრამ ეს ლანძღვა რისხვათ დატრიალდება თავზე თვით იმათ, რომლებიც დღემდე ატყუებდენ და გზას უბნევდენ მუშებს.

ამ საქმეს ემსახურება უკვე ფაქტიურად მეორე დელეგაცია, როგორც ამავე საქმეს აკეთებდა გერმანიის მუშათა პირველი დელეგაცია.

მელონი სტუმრად თავის „ქალიშვილებთან"

ამერიკის ფინანსთა მინისტრმა მე ლონმა განაცხადა, რომ ის ევროპაში ჩავიდა თავისი ქალიშვილების სანახავად.

(დეპეშებიდან).



მდგომარეობა ჩინეთში

უ-პეი-ფუმ სემიონოვის წინადადება არ მიიღო

პეკინი, 18 აგვისტო. უ-პეი-ფუმ დაადასტურა ცნობა, რომ მასთან თათბირი ჰქონდა შავრაზმელ გენერალ სემიონოვს, რომელმაც დახმარება აღუთქვა. იტყობინებიან, რომ უ-პეი-ფუმ არ მიიღო სემიონოვის წინადედება.

ფრონტებზე

პეკინი, 17 აგვისტო. მდგომარეობა ფრონტებზე ჯერ კიდევ გამოურკვეველია. ნანკოუს მთელი უღელტეხილი ჩან-ძო-ლინისა და ჩან-ძუნ-ჩანის ჯარების მიერ უნდა იყოს დაჭერილი. მუკდენის წრეებში იუწყებიან, რომ უღელტეხილის მეორე მხარეს დაკავებულია ჩატაო. იმავე წრეებში ამტკიცებენ, რომ ჩან-ძოლინისა და ჩან-ძუნ-ჩანის ჯარებმა დაიკავეს აგრეთვე ხუაილაი და კანჩუანი, მაგრამ სხვა წყაროებიდან იუწყებიან, რომ **კვლავ სწარმოებს ბრძოლა იუნგ-ლინთან, ხუაილაის აღმოსავლეთით.** ჩან-ძოლინმა გუშინ ფრონტზე მოიწვია ზოგიერთი მისიების სამხედრო ატაშეები. ატაშეებმა განაცხადეს, რომ უღელტეხილი დასტოვა სახალხო არმიამ. თითქმის სავსებით ცხადია, რომ ეს პოზიციები სახალხო არმიის ჯარებმა დასტოვეს წინდაწინვე გამომუშავებული გეგმის მიხედვით უბრძოლველად. უცხოელი სამხედრო მიმოხილველები ამტკიცებენ, რომ **სახალხო არმიის ძალებმა ისე დაიხიეს რომ არავითარი დანაკლისი არ განუცდიათ.** დახევის მიზეზების შესახებ სხვადასხვაგვარი ხმები დადის. ფიქრობენ, რომ უღელტეხილის ევაკუაცია შედეგია მუკდენისა და კალგანის უშუალო მოლაპარაკებისა, ვინაიდან ნანკოუს უღელტეხილის ევაკუაცია უმთავრესი პირობა იყო, რომელსაც აყენებდა მუკდენი საბოლოო სამშვიდობო მოლაპარაკებისათვის.

სახალხო არმიის მდგომარეობა

პეკინი, 17 აგვისტო. მეტად გაურკვეველია ცნობები სახალხო არმიის მდგომარეობის შესახებ ფრონტზე. ზოგიერთ ცნობების მიხედვით სახალხო არმიამ დასტოვა მთელი ნანკოუს უღელტეხილი. სხვა ცნობები იუწყებიან, რომ მუკდენსა და სახალხო არმიის შორის დადებულია რაღაც შეთანხმება, რომლის თანახმად სახალხო არმიამ უნდა დასტოვოს თავისი პოზიციები და დაიხიოს კალგანისაკენ.

ცხადია მხოლოდ ერთი, რომ ბრძოლა შესწყდა, თუმცა კვლავ სწარმოებს ჯარების მეტად მნიშვნელოვანი გადაჯგუფება.

არეულობა შანხაიში

პეკინი, 17 აგვისტო. იაპონიის გემ „მონრი ტარუზე" ჩინელის მოკვლის გამო შანხაიში სერიოზულმა მღელვარებამ იფეთქა. **რამოდენიმე ათასმა ჩინელმა მუშამ ქალაქის ჩინურ ნაწილში მოაწყო დემონსტრაცია. პოლიციამ ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ შესძლო დემონსტრანტების გაფანტვა.**

იაპონიის საკონსულომ შანხაიში განაცხადა, რომ იაპონიის გემზე მოკლული ჩინელი იყო „არა ვაჭარი, არამედ ქურდი, რომელიც გემზე მალულად ავიდა იმ მიზნით, რომ რამე მოეპარა".

„დეილი მეილი" მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 18 აგვისტო. „დეილი მეილის" პეკინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ჩან-ძო-ლინის და უ-პეი-ფუს ჯარების მიერ ნანკოუს უღელტეხილის დაკავება მაინც გამოურკვევლად სტოვებს ჩინეთის მდგომარეობას.

სახალხო არმია იხევს ჩრდილოეთისაკენ და განზრახვა აქვს დასტოვოს კალგანი.

სახალხო არმიის დეკლარაცია

პეკინი, 17 აგვისტო. ტიან-ძინისა და შანხაის გაზეთებში სახალხო არმიის შემდეგი დეკლარაცია არის გამოქვეყნებული:

„თავისუფლება საბაჟო საკითხში ყოველი დამოუკიდებელი ხალხის სუვერენული უფლებაა, მაგრამ ჩვენმა ხალხმა, რომელიც შებოჭილია არა თანასწორუფლებიან ხელშეკრულებებით, ეს უფლება გადასცა უცხოელ სახელმწიფოებს. ვაშინგტონის კონფერენციაზე ჩინეთის წარმომადგენლები მოითხოვდენ საბაჟო ავტონომიას და სპეციალურ საბაჟო კონფერენციაზე ჩინეთის დელეგატებმა წამოაყენეს წინადადება ამავე საკითხის შესახებ. უცხოეთის სახელმწიფოთა დელეგატებმა განაცხადეს, რომ ისინი მიიღებენ ამ წინადადებას. **ეხლა პეკინის მთავრობის წარმომადგენლები, რომლებიც წარსულ წელში მხარს უჭერდენ საბაჟო ავტონომიას, მზად არიან გასცვალონ ეს მოთხოვნილება 87 მილ. დოლარის სესხში, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება 2 ნახ. პროცენტის ზედმეტი გადასახადით, რომ ამგვარად მიიღონ საშუალება ეროვნულ მოძრაობის ჩასახშობათ.** ეს ჩვენი ქვეყნის გაყიდვის აქტია, ესაა აქტი მისი სასიკვდილოდ განწირვისა. ჩვენ არა ერთხელ განუცხადეთ ჩინეთის მოსახლეობას და უცხოელებს, რომ სანამ ცენტრალური მთავრობა არ იქნება მოწყობილი ხალხის ნამდვილი სურვილების მიხედვით, **ჩვენ არ შეგვიძლია და არ გვსურს ვიცნოთ ის ხელშეკრულებები, რომელიც დაიდო პეკინის მთავრობასა, უცხოეთის და ჩინეთის სხვადასხვა ჯგუფებს შორის.**

გაფრთხილება იმპერიალისტებს

პეკინი, 17 აგვისტო. სახალხო არმიის მიმართვაში დიპლომატიურ კორპუსისადმი ნათქვამია: **„სახალხო არმია არ სცნობს პეკინის მთავრობის გადაწყვეტილებებს იმ მომენტიდან, როცა მან პეკინის ევაკუაცია მოახდინა. სახალხო არმია არა სცნობს არავითარ ხელშეკრულებებს და არც შეთანხმებებს, რომლებიც დაიდო ეხლანდელ პეკინის მთავრობასა და სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის.** რაც შეეხება საბაჟო კონფერენციას, სახელმწიფოებმა ფორმალურად უნდა განაცხადონ კონფერენციის შეწყვეტის შესახებ, თუ ამ სახელმწიფოებს გულწრფელად სურთ დაეხმარონ ჩინეთს. **კონფერენცია არ უნდა შესდგეს, სანამ პეკინში არ შეიქმნება ნამდვილი სახალხო მთავრობა.**

სახალხო არმიამ სრული წესრიგით დაიხია

ბერლინი, 18 აგვისტო. ჩან-ძო-ლინის არმიამ დაიჭირა გუსილანი კალგანის მახლობლად. პეკინიდან მიღებული ცნობით, **გადამწყვეტი ბრძოლები მოხდება კალგანთან.**

„ტაიმსი" იუწყება, რომ უცხოეთის სახელმწიფოთა სამხედრო ექსპერტებმა ინახულეს ნანკოუს უღელტეხილი, მას შემდეგ, რაც სახალხო არმიამ დასტოვა იგი. სამხედრო ექსპერტებმა სცნეს, რომ ეს სიმაგრეები საკავშირო ჯარებმა აიღეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ აქვთ ახალი ტიპის არტილერია. **„ჩიკაგო ტრიბიუნი" იუწყება, რომ სახალხო არმიამ სრულის წესრიგით დაიხია უკან.**

აჯანყება ჩან-ძო-ლინის ჯარში

პეკინი, 17 აგვისტო. **ჩან-ძო-ლინის და უ-პეი-ფუს ჯარებში, რომლებიც დაბანაკებული არიან პეკინ-ტიან-ძინის რკინის-გზის ხაზზე, აჯანყებამ იფეთქა იმ ნიადაგზე, რომ არა სურთ ბრძოლა სახალხო არმიის წინააღმდეგ. აჯანყება ჩაქრობილ იქნა.**

ინგლისი და ოსმალეთი

„ვესტმინსტერ გაზეტტ" უკმაყოფილოა

ლონდონი, 17 აგვისტო. ეხება რა ოსმალეთის რეაქციონერების პროცესს ინგლისის ლიბერალების ორგანო „ვესტმინსტერ გაზეტტი" აღნიშნავს, რომ ოსმალეთში ეროვნულ მოძრაობის ზრდასთან ერთად პარალელურად იზრდება სიძულვილი უცხოელთადმი.

გაზეთი უვლის რა გვერდს იმას, რომ, პროცესზე ბრალდებულთა ჩვენებიდან გამოირკვა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინტრიგები ოსმალეთის წინააღმდეგ მსოფლიო ომის დროს, სცდილობს, რომ ოსმალეთის მტრული განწყობილება უცხოელთადმი ახსნას „საბჭოთა დიპლომატიის ზეგავლენით, რომლის მიზანია, გამოიყენოს ოსმალეთის უკმაყოფილება იმ გარდაწყვეტილებით, რომელიც ერთა ლიგამ გამოიტანა მოსულის საკითხის შესახებ".

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ ოსმალეთის მტრული განწყობილება უცხოელებისადმი იზრდება და რომ ქემალ-ფაშა იმუშავებს ახალ კანონს იმ დაწესებულებათა გაეროვნების შესახებ, რომლებიც აქამდე უცხოელებს ეკუთვნოდენ.

„ინგლისის ოფიციალური წრეების აზრი, სწერს გაზეთი, იმაში მდგომარეობს, რომ ეს ოსმალეთის შინაური საქმეა. მაგრამ მიუხედავად ამისა, თუ კი აუცილებელი გახდა, დაისმება საკითხი იმის შესახებ, რომ ინგლისმა ოფიციალური გაფრთხილება მისცეს ოსმალეთს".

უკანასკნელი ცნობები

დეკრეტის გაუქმება

ბერლინი, 18 აგვისტო. კონსტანტინოპოლის დიპლომატიური კორპუსის გაერთიანებულ პროტესტის შემდეგ, ოსმალეთის მთავრობამ გააუქმა ამას წინათ გამოცემული დეკრეტი საზღვარგარეთის ყველა სავაჭრო პალატების დახურვის შესახებ.

პოლონეთის ფინანსიური პოლიტიკის გადასინჯვა

ბერლინი, 18 აგვისტო. ვარშავიდან მიღებული ცნობით პოლონეთის ფინანსთა სამინისტრომ განაცხადა, რომ პოლონეთის მთავრობას განზრახვა აქვს გადასინჯოს პოლონეთის ფინანს. პოლიტიკა. შეიძლება უცხოეთის კაპიტალის მოზიდვასთან დაკავშირებით გადაკეთებულ იქნება პოლონეთის ბანკი.

საბერძნეთ სამხრეთ-სლავიის ხელშეკრულება

ბერლინი, 18 აგვისტო. ათინაში ხელი მოაწერეს სამხრეთ-სლავიისა და საბერძნეთის წარმომადგენლებმა მეგობრობის ხელშეკრულებაზე. ამ ორ ქვეყანას შორის არსებული გადაუჭრელი საკითხები მოწესრიგებულია. სხვათა შორის გადაჭრილია საკითხი რკინისგზის შესახებ სალონიკის რაიონში.

ინგლისის პრესა გაფიცვის შესახებ

ლონდონი, 18 აგვისტო. პრესა, უკეთებს რა შენიშვნებს სადელეგატო კონფერენციის გადაწყვეტილებებს, გამოსთქვამს სიხარულს მოლაპარაკების განახლების შესაძლებლობის გამო.

ლიბერალური გაზეთები მოუწოდებენ მაღაროს მეპატრონეებსა და მთავრობას დაუთმონ რამდენადაც შეიძლება მემაღაროებს და ხაზს უსვამენ მეფის სანახშირო კომისიის დასკვნათა დაჩქარებით ცხოვრებაში გატარების აუცილებლობას.

„მანჩესტერ გარდიენი" სწერს, რომ მთავრობამ უნდა გააუქმოს 8 საათის სამუშაო დღის კანონი.

კონსერვატიული პრესა ესალმება კონფერენციის გადაწყვეტილებას, ამავე დროს ძლიერ ფარავს რწმენას მემაღაროეთა კაპიტულიაციის შესახებ და ენერგიულად იცავს მაღაროს მეპატრონეთა მოთხოვნილებებს. სადელეგატო კონფერენციის ოფიციალური ცნობა იუწყება: მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ყოველგვარი მოლაპარაკება, რომელსაც მიზნად აქვს შეთანხმება, უნდა მოხდეს ნაციონალური მასშტაბით და რაიონულმა ორგანიზაციებმა არ უნდა აწარმოვონ სეპარატიული მოლაპარაკება.

ნოტინგამშირის დელეგატებმა დაარწმუნეს კონფერენცია, რომ ნოტინგამშირის მუშებს არასოდეს არ ქონიათ განზრახვა შეთანხმებოდენ მეპატრონეებს რაიონული მასშტაბით ფედერაციასთან წინასწარი თათბირის გარეშე, როგორც ამას ავრცელებდენ გაფიცვის მოწინაალმდეგე გაზეთები.

პუანკარეს ზომები სიძვირის წინააღმდეგ

პარიზი, 18 აგვისტო. კაბინეტი შეიკრიბება დღეს სიძვირის საწინააღმდეგო ზომების განსახილველად. „მატენის" ცნობით, პუანკარეს განზრახვა აქვს გააერთიანოს გადასახადთა სამმართველოს და სარეგისტრაციო სამმართველო.

მემაღაროელთა წინადადების განხილვა

ლონდონი, 18 აგვისტო. დღეს შესდგება მაღაროს მეპატრონეთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის სხდომა მემაღაროეთა კავშირის მიერ წამოყენებულ წინადადების განსახილველად. ხვალ მემაღაროებთან ერთად გაერთიანებულ სხდომაზე გამომუშავებული იქნება პირობები. ბალდუინი დღეს დილით დაბრუნდა ლონდონში.

მელლონის მოგზაურობა

პარიზი, 17 აგვისტო. გაზეთ „სუარის" ცნობით, ამერიკის ფინანსთა მინისტრი მიელლონი, სამხრეთ საფრანგეთში მკურნალობის კურსის დამთავრების შემდეგ ალბად პარიზში გაემგზავრება იმ მიზნით, რომ ითათბიროს პუანკარესთან და საფრანგეთის ბანკის დირექტორთან.

პოლონეთის ფინანსთა მინისტრის კლარნერის გადადგომა

ვარშავა, 18 აგვისტო. როგორც მთავრობის წრეები იუწყებიან, პოლონეთის ფინანსთა მინისტრის კლარნერის გადაგომა საბოლოოდ გადაწყვეტილია. კლარნერის გადადგომა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ იგი არ დაეთანხმა პილსუდსკის აფიცრებისათვის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელ დამატების მიცემის საკითხში.

ჩეხოვის ახალი მოთხრობები

ლენინგრადი, 18 აგვისტო. სოფელ დეტსკოე სელოში აღმოჩენილ იქნა ანტონ ჩეხოვის ორი გამოუქვეყნებელი მოთხრობა, რომელიც ამ ახლო მომავალში იქნება გამოცემული.

რეპინის ახალი სურათი

ლენინგრადი, 18 აგვისტო. ლენინგრადში ჩამოსულ იური რეპინის (შვილი ცნობილი მხატვრის) ცნობით ამჟამად ილია რეპინი მუშაობს ერთს დიდ სურათზე, რომელიც მისი ცნობილი სურათის „ზაპაროჟცი"-ს ვარიანტს წარმოადგენს.

პოლონეთ-საბჭოთა სარკინიგზო მიმოსვლა

კიევი, 18 აგვისტო. გაიხსნა ტვირთების გაცვლა-გამოცვლა პოლონეთთან სადგურ ლისკოვიჩზე. ტვირთების გაცვლა-გამოცვლა დღითი დღე მატულობს. ყოველდღიურად პოლონეთიდან მოდის 530-მდე ვაგონი ტვირთი.

◆

პილსუდსკის სამფლობელოში

სამხედრო კონფერენცია

ვარშავა, 17 აგვისტო. პილსუდსკის თავმჯდომარეობით შესდგა სამხედრო კონფერენცია, რომელზედაც პოლონეთის გენერალური შტაბის უფროსმა პისკორმა გააკეთა მოხსენება პოლონეთის არმიის მდგომარეობის შესახებ.

კონფერენციამ განიხილა აგრეთვე პოლონეთის სამხედრო მრეწველობის მდგომარეობა.

პილსუდსკის არ სურს მემარჯვენეთა გალიზიანება

ვარშავა, 17 აგვისტო. ვიტოსის კაბინეთის ყოფილ სამხედრო მინისტრის, პილსუდსკის აქტიური მოწინაალმდეგის მალჩევსკის საქმის გარჩევა, რომელიც დანიშნული იყო 16 აგვისტოსათვის, პილსუდსკის ბრძანებით გადაიდო გამოურკვეველ დრომდის.

იუწყებიან, რომ პილსუდსკი თავის გამარჯვების შემდეგ შეურიგდა მემარჯვენეებს და ამიტომ განზრახული აქვს ამ საქმის მიფუჩეჩება, რომ არ გაალიზიანოს მემარჯვენენი.

◆

ერთა ლიგის სესიის წინ

ბერლინი, 18 აგვისტო. „კორიერე დე ლა სერა" მხარს უჭერს ესპანეთის მოთხოვნილებას ერთა ლიგის საბჭოში მუდმივი ადგილის მიღების შესახებ. გაზეთი სწერს, რომ რადგან ესპანეთი ერთა ლიგაში არაოფიციალურად წარმოადგენს სამხრეთ ამერიკას, ამიტომ ესპანეთის ერთა ლიგიდან გამოსვლას შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს.

ლონდონის პრესა მოითხოვს, რომ მთავრობა შეუერთდეს სესიის გეგმას, რომლის მიხედვით მუდმივი ადგილი მხოლოდ გერმანიას უნდა მიეცეს. ზოგიერთი გაზეთები დაჟინებით მოითხოვენ ამ გეგმის გატარებას და არ მიექცეს ყურადღება ესპანეთის მოთხოვნილებას.

ხუცების იმედი აქვთ

ბერლინი, 18 აგვისტო. ერთა ლიგის მდივანმა მიიწვია უპსალის ეპისკოპოსი და სთხოვა, რათა მან მონაწილეობა მიიღოს ერთა ლიგის პლენარულ სხდომაზე და სიტყვით მიმართოს დელეგატებს.

◆

სამხედრო ჰაეროპლანის ჩამოვარდნა

ანგორა, 17 აგვისტო. ირაქში სამხედრო ჰაეროპლანის ჩამოვარდნის დროს მოკვდა 3 ოფიცერი და 4 ჯარის კაცი. რამოდენიმე კაცი დაიჭრა.

ანტიფაშისტური მანიფესტაცია

პარიზი, 17 აგვისტო. ვალენსიენში (საფრანგეთი) 100.000 მუშამ ბარბიუსის თავმჯდომარეობით მოაწყო ანტი-ფაშისტური მანიფესტაცია.

◆

გერმანიაში

კომპარტიის ორგანოს რედაქტორის მიცემა პასუხისგებაში

ბერლინი, 17 აგვისტო. ბავარიის იუსტიციის მინისტრმა გერტნერმა, რომლის წინააღმდეგ სოც.-დემოკ. „ფორვერტსმა" ამას წინედ წამოაყენა საბუთებით დადასტურებული ბრალდება იმაში, რომ იგი განგებ არ იჭერს ფაშისტ-მკვლელებს, შეურაცყოფისათვის სასამართლოში მისცა ცურახის კომპარტიის ორგანო „დი ნეიე ცეიტუნგი", რომელმაც „ფორვერტსიდან" გადაბეჭდა მასალები გერტნერის მოქმედების შესახებ. „ფორვერტსის" წინააღმდეგ გერტნერს არ აღუძრავს საჩივარი.

◆

ფოლადის მრეწველობის თათბირი

ვერ შეთანხმდენ

პარიზი, 17 აგვისტო. ბელგიის მრეწველებმა უარი სთქვეს ლითონის მრეწველობის მოწესრიგების შესახებ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერაზე. რკინის სინდიკატი სცნობს, რომ პროდუქციის პროცენტი, რომელიც ეძლევა ლიუქსემბურგს, მეტად დიდია. ფრანგებმაც განაცხადეს, რომ ცოტაა ის წილი, რომელიც მათ ეძლევა. მოლაპარაკება შესწყდა 18 სექტემბრამდე.

◆

ტერორი ბულგარეთში

ვენა, 17 აგვისტო. ბულგარეთის რადიკალური პარტიის ორგანო „რადიკალი" იუწყება, რომ მან მიიღო მთელი რიგი წერილებისა, რომლებშიაც ნათქვამია, რომ სოფიის კომკავშირთა ორგანიზაციის წევრი ვასილ ხრისტოვი, რომელიც ამას წინედ მკვდარი ნახეს თავის ლოგინში, ძალით იქმნა სიცოცხლეს გამოსალმებული.

ასეთ ფარულ მკვლელობებს ფართოდ ახდენენ ბულგარეთში ფაშისტები და სამხედრო ორგანიზაციის წევრები; ამ მკვლელობების მიზანია თავიდან მოიშორონ რევოლიუციონურ მოძრაობის აქტიური მოღვაწენი ისე, რომ პოლიციამ არ დაიწყოს მკვლელობის საქმის კვლევა-ძიება.

◆

საფრანგეთის კომკავშირის ყრილობა

პარიზი, 18 აგვისტო. პარიზში გაიხსნა საფრანგეთის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის მეხუთე ყრილობა. ყრილობაზე ილაპარაკა დორიომ, რომელმაც შეეხო რა საფრანგეთის მდგომარეობას, ხაზი გაუსვა მუშათა ერთიანი ფრონტის და პროფმოძრაობის მთლიანობის დაცვის აუცილებლობას. საორგანიზაციო საკითხების განხილვის შემდეგ, ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა პოლიტიკური ანგარიში.

ინგლისის კომკავშირის წარმომადგენელმა მოიყვანა ცნობები გაფიცულ სამთა-მადნო მუშების სასარგებლოდ ინგლისის კომკავშირის მუშაობის შესახებ. ინგლისის კომკავშირმა გააორკეცა თავისი წევრების რიცხვი საერთო გაფიცვის დამთავრების დროიდან.

◆

ვუკაშინ მარკოვიჩის საქმე

ვენა, 17 აგვისტო. ავსტრიის მთავრობა ყოველგვარი საშუალებით სცდილობს, რომ გააჭიანუროს განაჩენის გამოტანა სამხრეთ-სლავიის რევოლიუციონერ კომუნისტის ვუკაშინ-მარკოვიჩის საქმის შესახებ.

მარკოვიჩის დაკითხვის შემდეგ, რომლის დროს მას წარედგინა სამხრეთ-სლავიის მთავრობისაგან მიღებული „ახალი საბრალმდებლო საბუთები", საქმე გადაეცა კანცლერის კანცელიარიას, სადაც საბოლოოდ გადაწყდება.

◆

ედდო ფიმენის წერილი

ამსტერდამი, 17 აგვისტო. ედდო ფიმენმა ჰოლანდიის მუშათა მოძრაობის უმცირესობის ორგანო „მთლიანობაში" გამოაქვეყნა წერილი სათაურით: „მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებებისა", რომელშიაც აღნიშნავს, რომ ჰოლანდიის მუშათა მოძრაობის ინტერესების გულისათვის უნდა, იქნას მიღწეული პროფმოძრაობის მთლიანობა. ამასთანავე ეროვნულმა მუშათა სამდივნომ (რევოლიუციონური პროფკავშირები) უნდა შესწყვიტოს დამოუკიდებელი არსებობა და შეუერთდეს ჰოლანდიის პროფკავშირთა გაერთიანებას (რეფორმისტულს).

უცხოეთში

ავსტრია

ვუკაშინ მარკოვიჩი

ამ დღეებში შესრულდა 6 თვე მას შემდეგ, რაც ცნობილი ჩერნოგორელი რევოლიუციონერი ვუკაშინ მარკოვიჩი იტანჯება ვენის ციხეში. როგორც მკითხველებმა იციან, სამხრეთ-სლავიის მთავრობა მოითხოვს ავსტრიის მთავრობისგან მარკოვიჩის გაცემას, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავისას. საბჭოთა საელჩომ კი (ვენაში) მოსთხოვა ავსტრიის მთავრობას მარკოვიჩის განთავისუფლება და მისთვის, როგორც საბჭოთა მოქალაქისათვის, მოსკოვში თავისუფლად გამგზავრების საშუალების მიცემა.

მარკოვიჩი დაიბადა 1871 წ ჩერნოგორიაში, მთიელების ღარიბ ოჯახში, რომელშიც ძლიერი იყო ოსმალების და საერთოდ ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის ტრადიციები. მამა მისი გაუნათლებელი გლეხი იყო. იგი ფიქრობდა, რომ შვილმა საკმაო ცოდნა შეიძინა სამრევლო სკოლაში და ამ ნიადაგზე ახალგაზრდა ვუკაშინის დიდი უთანხმოება ჰქონდა ოჯახში.15 წლის ვუკაშინ მარკოვიჩმა მიატოვა დედ-მამა და ფეხით წავიდა სერბიაში. აქ მას ძლიერ მკაცრათ შეხვდენ. სერბიის პოლიციამ ეჭვის თვალით დაუწყო მას ცქერა და ბოლოს და ბოლოს ახალგაზრდა ჩერნოგორელი იძულებული შეიქნა მეფის რუსეთში გაქცეულიყო.

ოთხმოცდაათიან წლებში იგი უკვე ხარკოვის საბეითლო ინსტიტუტის და შემდეგ საექიმო ფაკულტეტის სტუდენტია.

აქ იგი მონაწილეობას იღებს იმ რევოლიუციონურ მოძრაობაში, რომელშიც ჩაბმული იყო იმ ხანებში მოსწავლე ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი. ოთხმოცდაათიან წლების მიწურულში იგი გახდა სტუდენტთა სოც.-დემოკრატიული წრეების აქტიური წევრი.

საქმე გათავდა იმით, რომ იგი დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს. ვუკაშინ მარკოვიჩი ჩქარა გაიქცა ციმბირიდან და შევიდა არალეგალურათ მომუშავეთა წრეში. ამ წლებში იგი მუშაობს ბოლშევიკების ხარკოვის, მოსკოვის და ლენინგრადის არალეგალურ ორგანიზაციებში. 1905 წლის რევოლიუციაში იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს. რევოლიუციის დამარცხების შემდეგ რჩება ექიმათ რუსეთში და განაგრძობს არალეგალურ მუშაობას.

1912 წ., პირველი ბალკანეთის ომის დროს (სერბიასა და ბულგარეთს შორის) ამხ. მარკოვიჩი მიემგზავრება სერბიაში, როგორც რუსეთის წითელი ჯვარის მისიის წევრი. იმპერიალისტური ომის დროს ჩვენ ისევ ვხედავთ ამხ. მარკოვიჩს, როგორც ექიმს, უკვე რუსეთის ფრონტებზე. კერენსკის ხანმოკლე ბატონობის პერიოდში ამხ. მარკოვიჩი ენერგიულ კამპანიას აწარმოებს საბჭოების ხელისუფლების სასარგებლოთ. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ იგი ერთხანს მუშაობს მოსკოვში, შემდეგ კი ახლო მონაწილეობას იღებს სამოქალაქო ომში: მუშაობს ხან თურქესტანში, ხან სამხრეთის ფრონტზე—დენიკინის წინააღმდეგ.

მაგრამ, აი, სამოქალაქო ომის დასასრულს უახლოვდება. იქმნება საფრთხე, რომ სამხრეთ-სლავია და ბულგარეთი, სადაც თავი შეაფარეს ვრანგელის ბანდებმა, შეიქმნება პლაცდარმათ ანტანტის ახალი შემოტევისათვის საბჭოთა რუსეთისა და უკრაინის წინააღმდეგ. ამ მოსალოდნელი საფრთხის ჩასაშლელად ამხ. მარკოვიჩი მიემგზავრება სამხრეთ-სლავიაში. ბელგრადში მას აპატიმრებენ—აბრალებენ ბოლშევიკურ აგიტაციას. ერთი თვის შემდეგ ანთავისუფლებენ, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ისევ აპატიმრებენ. როგორც იქნა მან თავი დააღწია სერბიელ ჟანდარმებისგან და გაემგზავრა თავის სამშობლოში. ამ დროისათვის ჩერნოგორია უკვე სერბიელებს ჰქონდათ დაპყრობილი. სერბიის საოკუპაციო სარდლობამ დიდის ეჭვით დაუწყო ყურება ამხ. მარკოვიჩს, რომლის შესახებ გაავრცელეს ხმა, რომ მან „საბჭოთა ოქრო" ჩამოიტანა. ბოლოს იგი დააპატიმრეს და ათი თვე დაჰყო მან ცეტინიეს ციხეში, ხელ-ფეხში ბორკილები ჰქონდა გაყრილი. სერბიის მთავრობამ მარკოვიჩი შეშლილად გამოაცხადა და გაგზავნა სულით ავადმყოფთა საავადმყოფოში, დალმაციაში. ფსიქიატრები იძულებული გახდენ სავსებით ჯანსაღათ ეცნოთ იგი და გაანთავისუფლეს საავადმყოფოდან. განთავისუფლებისთანავე მარკოვიჩმა თავის სამშობლოს მთებს მიაფარა თავი, შეადგინა პარტიზანული რაზმი და ერთი წლის განმავლობაში სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა სერბიის საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ. მოსახლეობა დიდ დახმარებას უწევდა მარკოვიჩის პარტიზანულ რაზმს.

მებრძოლებს სურსათი და სამხედრო მასალა გამოელია. მარკოვიჩმა დაშალა რაზმი.. თვითონ კი მთის ბილიკებით გადაიარა საზღვარი და ჩავიდა ვენაში, საიდანაც უნდა გამგზავრებულიყო მოსკოვში. მოსკოვში გამგზავრებამდე, 25 თებერვალს, ამხ. მარკოვიჩი დააპატიმრა ვენის პოლიციამ სხვისი პასპორტით ცხოვრებისათვის. როგორც კი სამხრეთ-სლავიის მთავრობამ მიიღო ცნობა მარკოვიჩის დაპატიმრების შესახებ, მოსთხოვა ავსტრიას მისი გაცემა.

მიუხედავათ იმისა, რომ ავსტრიას არა აქვს სამხრეთ-სლავიასთან ხელშეკრულება „დამნაშავეთა" გაცემის შესახებ, ავსტრიის მთავრობამ ამ საკითხის გადაჭრა მიანდო რეაქციონურ უზენაეს საბჭოს.

არის საფრთხე, რომ ავსტრიის „რესპუბლიკანური" მთავრობა დაარღვევს „თავშესაფარების უფლებას" და მარკოვიჩს გადასცემს სამხრეთ-სლავიის რეაქციონურ მთავრობას.

ევროპის საზოგადოებრივი ორგანიზაციები და რემდასი ენერგიულ კამპანიას აწარმოებენ ამხ. მარკოვიჩის განთავისუფლებლად.

◆

სხვადასხვა

საბაბი მუშათა დევნისათვის. უნგრეთში მთავრობა სცდილობს, რომ ჩელეპის ქარხანაში მომხდარი აფეთქება გამოიყენოს როგორც საბაბი მუშათა წინააღმდეგ, ახალ რეპრესიულ ზომების მისაღებად. მუშათა ჩხრეკა დატუსაღება გრძელდება.

ციხის დარაჯთა მსხვერპლნი. რუმინიის ციხე კლავში ციხის დარაჯებმა სროლა დაუწყეს პოლიტტუსაღებს იმის გამო, რომ მათ უარი სთქვეს ფეხისადგილების გაწმენდაზე. სროლის დროს მოკვდა ერთი ტუსაღი, რამოდენიმე დაიჭრა.

აფეთქება ბუდაპეშტში. დამატებით იტყობინებიან, რომ ბუდაპეშტის მახლობლად მომხდარ აფეთქების შემდეგ აღმოაჩინეს 60 მოკლული და 300 დაჭრილი. ათასეული მუშების მდგომარეობა გამოურკვეველია. ბუდაპეშტის მახლობელ რაიონებში დანგრეულია ბევრი სახლი ჰაერის ძლიერი შერყევს გამო. აფეთქების მიზეზი გამოურკვეველია.

ქარხნის აფეთქება ბუდაპეშტის მახლობლად. ჰუნგრეთის მთავრობამ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა კუნძულ ჩეპელზე (ბუდაპეშტის მახლობლად) სამხედრო ქარხნის აფეთქების შესახებ. მთავრობა სცდილობს რაც შეიძლება უმნიშვნელოთ გაასაღოს კატასტროფა და აბათილებს ცნობებს აფეთქების დროს დაღუპულთა რიცხვის შესახებ.

მთავრობის ორგანო „პესგერ ლლოიდი" აღნიშნავს, რომ უნგრეთში არასოდეს არ მომხდარა ისეთი აფეთქება, რომელსაც ასეთი დიდი ზარალი მოჰყოლოდეს. ხელისუფლება ნებას არ აძლევს პრესის წარმომადგენლებს დაათვალიერონ აფეთქების ადგილი. ხელისუფლებამ აუკრძალა საავადმყოფოებს გასცენ რაიმე ცნობები დაჭრილების შესახებ აფეთქების დროს.

სოციალ-დემოკრატები სწყალობენ ფაშისტებს. ჰამბურგის სენატში სოციალ-დემოკრატების შვიდი ხმის უმრავლესობით შეწყალებულ იქნენ ფაშისტები, რომელთაც მისჯილი ჰქონდათ საკატორღო მუშაობა გაზეთ „ჰამბურგერ ფოლკს ცეიტუნგ"-ის რედაქციაზე თავდასხმის და კომუნისტ ტოლმანის მოკვლის განზრახვის გამო.

„ამხანაგი". საბჭოთა იალქნიანი გემი „ამხანაგი" მურმანსკიდან არგენტინაში წასული ერთი თვის მოგზაურობის შემდეგ, რომელმაც ორჯერ საშინელი ღელვა გაიცადა, უვნებლად მივიდა ინგლისის ნავთსადგურ საუთჰემპტონში. „ამხანაგი" მიდის კუნძულ მადეირაზე.

ალან კობხემი. ინგლისელმა მფრინავმა ალან კობხემმა დაასრულა გადაფრენა ინგლისიდან ავსტრალიაში; ის ჩავიდა მელბურნში 15 აგვისტოს.

მიწისძვრა ინგლისში. კვირას ინგლ. 22 რაიონში შემჩნეული მიწისძვრა. უორჩესტერში მიწისძვრა უფრო საგრძნობი იყო. შროპშირში მიწისძვრას თან მოჰყვა გუგუნი, თითქოს ამოხეთქვა მომხდარიყოს სადმე. ბევრ ადგილებში ჩამოინგრა სახლების ჭერი. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

კულტ. თანამშრომლობა საფრანგეთსა და გერმანიას შორის. საფრანგეთის სამხედრო მინისტრმა პენლევემ, „ნეიე ფრეიე პრესსე"-ს კორესპონდენტთან საუბრის დროს გამოსთქვა აზრი საფრანგეთს და გერმანიას შორის კულტურულ თანამშრომლობის საჭიროების შესახებ. ამავე დროს ხაზი გაუსვა, რომ ნაციონალისტური ტენდენციები უფრო ძლიერია გერმანიის სამეცნიერო წრეებში, ვიდრე საფრანგეთში.

უზარმაზარი ჰაეროპლანი. ფილადელფიაში ააშენეს უზარმაზარი აეროპლანი ბომბების გადმოსაყრელათ. აეროპლანს შეუძლია 4.000 გირვანქა ბომბების წაღება და ორასი ვერსის გავლა საათში.

წყალქვეშა ნავის დაღუპვა. ამოიღეს დევონპორტში დაღუპული წყალქვეშა ნავი. გამოიტანეს დაღუპულთა 6 გვამი.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

სარაიონო ელექტრონის სადგური

მოსკოვი, 18 აგვისტო. დონის ოლქის შახტის რაიონში დაიწყო არტემის სახელობის ელექტრონის სადგურის აშენება. ეს იქნება ყველაზე უფრო ძლიერი სადგური მთელ კავშირში.

სადგური მისცემს ენერგიას რაიონს ირგვლივ 75 კილომეტრის მანძილზე—როსტოვს, ნოვოჩერკასკს, შახტის რაიონის მაღაროებს და დონის და შახტის ოლქის სოფლებს. სადგური აშენებული იქნება 2 წლის განმავლობაში.

გერმანელი დელეგატები სამარაში

სამარა, 18 აგვისტო. გემით „კარლ ლიბკნეხტ"-ით ნიჟნი-ნოვგოროდიდან ჩამოვიდა 24 გერმანელი დელეგატი. დელეგატების შეხვედრას ჰქონდა დიდი დემონსტრაციის ხასიათი.

დელეგაციის თავმჯდომარემ კერბერმა განაცხადა, რომ დელეგაცია გაოცებულია სოციალისტური მშენებლობის წარმატებებით. დელეგაცია გაემგზავრა სარატოვში.

სათესლე სესხის შეგროვება

მოსკოვი, 18 აგვისტო. რუსეთის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა ეკონომიურ საბჭოს წარუდგინა 1926-27 წლის სათესლე სესხის შეგროვების გეგმა.. მოსახლეობის დავალიანება სათესლე სესხით სულ უდრის 54 მილ. ფუთს. იღებს რა მხედველობაში იმას, რომ ბევრი მეურნისათვის საძნელო იქნება სესხის გადახდა ამჟამად, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა დაადგინა, რომ შეგროვილ იქნას მხოლოდ 41 მილ. ფუთი. დანარჩენი სესხის შეგროვება გადაიდოს 1927 წლის მოსავლამდე. ეკონომიურმა საბჭომ დაადასტურა მიწათმოქმედების კომისარიატის დადგენილება.

ინგლისი და ოსმალეთი

◆

საერთაშორისო ბავშვთა კვირა

მოსკოვი, 18 აგვისტო. ახალ. კომ. ინტერნაციონალის აღმასკომმა დაადგინა: ახალგაზრდათა საერთაშორისო დღესთან ერთად ამ წელში ჩაატაროს ბავშვთა საერთაშორისო კვირეული.

ახ. კომ. ინ. აღმასკომი ახალგაზრდათა საერთაშორისო დღისათვის აყენებს შემდეგ საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიურ და ორგანიზაციულ ლოზუნგებს: „რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლა სკოლებში, უფასო სწავლა, უფასო სახელმძღვანელოები და სკოლაში უფასო საუზმე, ბავშვთა გაჭირვების წინააღმდეგ ბრძოლა, ბავშვთა შრომის დაცვა, ბრძოლა ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციების გაფართოებისათვის და მასიურ მუშა ბავშვთა კომუნისტური კავშირისათვის, ბრძოლა იმპერიალიზმისა და ბავშვთა იმპერიალისტური აღზრდის წინააღმდეგ; პროლეტარიატის ყველა თაობათა ბრძოლის მთლიანი ფრონტის შექმნა".

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ახალი 10.000 დესიატინის მორწყვა

ბაქო, 18 აგვისტო. აზერბეიჯანის წყალთა მეურნეობის სამმართველოში მუშავდება კარასახკალის არხის საშუალებით ახალი 10.000 დესიატინის მოსარწყავის პროექტი. ყველა ხარჯების რაოდენობა, უკვე დახარჯულის ჩარიცხვით შეადგენს 2 მილიონ მანეთამდე.

საფეიქრო მრეწველობა

ბაქო, 18 აგვისტო. აზერბეიჯანის რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის ხუთწლიან გეგმით განზრახულია ჩითის ფაბრიკის აგება საბირ-აბადში და ნახჩევანში, ქსოვილების სალებავი ფაბრიკის და შალის ფაბრიკის მოწყობა განჯაში.

განჯაში არსებულ შალის ფაბრიკის პროდუქცია ხუთი წლის განმავლობაში უნდა გაიზარდოს 250.000 მეტრამდე წლიურად.

ახალი საფოსტო განყოფილებები

შემახა, 18 აგვისტო. ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატმა შემახის მაზრაში გახსნა 4 საფოსტო განყოფილება: სოფ. ლიჩში, მასხალში, ახსუოში და კარა-სუში. მოწყობილია აგრეთვე სასოფლო ფოსტები 11 სოფელში.

გაქურდვა

შემახა, 18 აგვისტო. კურუზმინის დაირის აღმასკომის თავმჯდომარემ მდივან გულიევთან ერთად მოიპარა სალაროდან 3.500 მანეთი. ამ ბოროტმოქმედების დასაფარავად რახიმოვმა და გულიევმა გატეხეს სალაროს ბოქლომი და მოახსენეს უმაღლეს ინსტანციას, თითქოს უცნობმა პირებმა გასტეხეს და გაქურდეს სალარო. სახალხო გამომძიებელმა მოახდინა გამოძიება და გამოირკვა, რომ დამნაშავენი არიან რახიმოვი და გულიაევი. ორივე შეიპყრეს.

თვითგანვითარების წრეები

ბაქო, 18 აგვისტო. ბაქოს პოლიტგანათლების განყოფილება შემოდგომიდან ხსნის მუშათა კლუბებთან თვითგანვითარების წრეებს. წრეების რიცხვი 268 იქნება და ამ წრეებში იმუშავებს 1.000 კაცი.

საქსოვი მრეწველობის აღდგენა

ბაქო. საქსოვი მრეწველობის აღსადგენათ 1926—27 წელში გადადებულ 700.000 მანეთიდან ლენინის სახელობის ფაბრიკას მიეცა მოსაწყობად 250.000, რემონტისათვის კი 225.000 მ. განჯის მაუდის ფაბრიკას მოსაწყობად მიეცა 100.000 მ. რემონტისათვის 125.000 მ.

კინო თეატრის შენობა

შემახა, 18 აგვისტო. სამაზრო კომიტეტმა გადასდო კინო თეატრის შენობის ასაგებათ 10,000 მანეთი.

საბინაო აღმშენებლობა

ბაქო, 18 აგვისტო. „აზნავთმა" დაასრულა და გადასცა მუშებს ჩასასახლებლად 240 სახლი 1,106 ბინით, იმ 130 სახლს გარდა რომელიც გადაეცა მუშებს წინეთ. ამჟამათ აშენებენ 34 სახლს 948 ბინით.

ნავთის შადრევანი

ბაქო, 18 აგვისტო. გუშინ ნაშუადღევის სამ საათზე სურახანის მე-8 სარეწაოში ამოხეთქა № 141 შადრევანმა. შადრევანის მოქმედება გაგრძელდა 18 საათი, ამოისროლა 500 ტონი ნავთი და შემდეგ შესწყვიტა მოქმედება.

ხე-ტყის მასალა

ბაქო, 18 აგვისტო. აზერბეიჯანის ცაკმა წინადადება მისცა მიწათ-მოქმედების კომისარიატს და სამაზრო აღმასკომებს თვალყური ადევნონ ხე-ტყის მასალის გაცემას რესპუბლიკანურ და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებიდან.

სომხეთი

ჯანსახკომის ხარჯთ-აღრიცხვა

ერევანი, 18 აგვისტო. სახკომსაბჭომ დაამტკიცა ჯანსახკომის მიერ შემუშავებული ხარჯთ-აღრიცხვა აგარაკების მოსაწყობათ 800,000 მანეთის რაოდენობით. აგარაკების მოწყობის მუშაობის პროგრამას სახკომსაბჭომ დაუმატა: დარალაგეზის, ლორი ბამბაკისა და კარაკლისის მაზრების მინერალური წყლების გამოკვლევა, სომხეთის გეოლოგიური რუქის შედგენა და სხვა.

თამბაქოს მოყვანა

ყამარლო, 18 აგვისტო. მაღალ ხარისხოვანმა თამბაქოს შესანიშნავმა მოსავალმა, დიდი ინტერესი გამოიწვია ადგილობრივ მოსახლეობაში.

მომავალ წლიდან თამბაქოს მოშენება ერთერთ მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს ყამარლოს მაზრის გლეხების სამეურნეო ცხოვრებაში.

მასწავლებლების გამოცდა

ლენინგრადი, 18 აგვისტო. განათლების განყოფილებამ დაარსა სპეციალური კომისია მაზრის მასწავლებელთა გამოსაცდელად განსახკომის მიერ შემუშავებული პროგრამის მიხედვით. გამოცდა ხდება მასწავლებელთა კვალიფიკაციის გამორკვევის მიზნით.

ბინების აშენება სად. ლენინაკანში

ლენინაკანი, 18 აგვისტო. ლენინაკანის სადგურთან დაასრულეს საცხოვრებელი სახლის აშენება. აშენებენ ამას გარდა კიდევ ორ სახლს.

აფართოვებენ რკინისგზის საავადმყოფოს, რომელიც დააკმაყოფილებს ამიერ-კავკ. რკინისგზის სამხ. ხაზს სად. სადახლოდან ჯულფის სადგურამდე.

საავადმყოფო ნავარაუდევია 120—150 ავადმყოფისათვის. საავადმყოფოსთან იქნება მოწყობილი რენტგენის სხივები და აგრეთვე ელექტრონით სამკურნალო.

ლენინაკანი, 18 აგვისტო. 13 აგვისტოს დილის 8 საათსა და 14 წამს აღნიშნული იყო მიწისძვრა, აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით.

ფიზიკური კაბინეტები სკოლებში

ლენინაკანი, 18 აგვისტო. განათლების განყოფილება იწვევს თათბირს პირველი საფეხურის სკოლების და შვიდწლედების გამგეებისას. ამ თათბირის მიზანს შეიცავს ხელსაწყოების და ნივთების განაწილება ფიზიკური კაბინეტების ლაბორატორიებისათვის.

ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის საზღვრების მოწესრიგება

ლენინაკანი, 18 აგვისტო. დღეს ლენინაკანში შესდგა ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის საზღვრების დამწესებელ შერეული კომისიის სხდომა. სხდომას დაესწრენ ორივე რესპუბლიკების სამოქალაქო და მოსაზღვრე ხელისუფლებათა წარმომადგენელნი. იმ მიზნით, რომ ჩაებარებიათ ადგილობრივი და მოსაზღვრე ხელისუფლებისათვის საზღვრები საბჭოთა სომხეთის, ნახიჩევანის და ოსმალეთის უბნებში.

სხდომის გახსნისას, საბჭოთა კავშირის დელეგაციის თავმჯდომარე **კარკლინი** შეეხო კომისიის მიზნებს და ამოცანებს ამ სხდომებზე და ამავე დროს გამოსთქვა რწმენა, რომ ორივე სახელმწიფოს წარმომადგენელი, საზღვრების ჩასაბარებლად მოსულნი, იხელმძღვანელებენ იმავე პრინციპებით, რომლითაც ხელმძღვანელობდა საზღვრების მომწესრიგებელი კომისია, საბჭოთა კავშირის და ოსმალეთის შორის მეგობრობის და კეთილმეზობლურ ურთიერთობის დაცვის პრინციპებით.

ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარემ **კანრი-ბეიმ** სთქვა, რომ იგი ბედნიერად გრძნობს თავს და დიდათ ნასიამოვნებია მით, რომ ესწრება ამ სხდომას.ამგვარად ასრულებულია მისი სურვილი, რომელიც მის მიერ გამოთქმული იყო საზღვრების დამწესებელ კომისიის მუშაობის პირველ დღეებში.

ოქმის წაკითხვის შემდეგ საბჭოთა კავშირის სახელით ხელი მოაწერეს დელეგაციის თავმჯდომარემ კარკლინმა თავმჯდომარის მოადგილემ კუზნეცოვმა, საბჭოთა კავშირის საზღვრების დამცველი·რაზმის უფროსმა კირაკოსიანმა სამხ. სომხეთის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილემ ბერბერიანმა და სხვამ.

ოსმალეთის სახელით ხელი მოაწერეს დელეგაციის თავმჯდომარემ ფანრიბეიმ, რიფატ ბეიმ, ჯემალ ბეიმ, ალი შეფეტ ბეიმ და სხვა.

საზღვრების გადაცემის ოქმის ჩაბარებისას ორივე რესპუბლიკების ხელისუფლების წარმომადგენლებმა ბერბერიანმა და ჯავიდ ბეიმ გამოსთქვეს კმაყოფილება ოსმალეთ საბჭოთა საზღვრების მოსაწესრიგებელი მუშაობის დამთავრებით და განუცხადა, რომ მომავალშიაც დაწესებულ საზღვრების დაცვის დროს ისინი იხელმძღვანელებენ ამ ორი რესპუბლიკებს შორის არსებულ მეგობრობის და ძმობის პრინციპებით.

აზერბეიჯანის ელექტროფიკაცია

ჰიდრო-ელექტრონული სადგური ნუხაში

ბაქო, 18 აგვისტო. ნუხაში ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის მოსაწყობად 1925—26 წლის თანხებიდან გადადებულ იქნა 315.000 მანეთი.

სადგურის ასაგებად მუშაობა უკვე დაიწყო. დროებით დადგმულ იქნა 160 ძალიანი სარეზერვო ძრავი. თანდათანობით, მოწყობის პროცესში, სადგური ამუშავებული იქნება.

საბოლოოდ სადგურის აშენება მოთავდება 1929 წელს. სადგურის ძალოვნება აყვანილი იქნება 1.200 ცხენის ძალამდე. სადგური ენერგიას მიაწოდებს ფაბრიკა-ქარხნებს, ახლო-მახლო სოფლებს, ქალაქის განათებისათვის და აგრეთვე საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ მსხვილ აბრეშუმის დამრთველ ქარხანას.

ჰიდრო-ელექტრონული სადგური განჯაში

ბაქო, 18 აგვისტო. განჯაში 10.000 ცხენის ძალის ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის მოსაწყობად გადადებულ იქნა ერთი მილიონი მანეთი. სულ სადგურის აგება დაჯდება 3.340.000 მანეთი.

პარტიული ცხოვრება

პარტიის მთლიანობისათვის

ფრაქციულ ჯგუფების არსებობას არ დაუშვებთ

მოისმინა რა მოხსენება ამხ. პ. საყვარელიძის, საქ. კომ. ცეკას და ცენტ. საკონტროლო კომისიის ივლისის გაერთიანებული პლენუმის შედეგების შესახებ, შორაპნის სამაზრო პარტიული კომიტეტის გაფართოებული პლენუმი მაზრის სათემო კომიტეტების და კომუჯრედების პ.-მგ. მდივნების, თემაღმასკომების კომუნისტ თავჯდომარეების და ჭიათურის სამრეწველო რაიონის უჯრედების ბიუროების წევრებთან ერთად იწონებს პლენუმის მიერ მიღებულ ღონისძიებას ქვეყნის ეკონომიურად აღორძინების და პარტიის მთლიანობის განმტკიცების შესახებ, სავსებით უერთდება პოლიტ-ბიუროს წევრი ამხ. ზინოვიევის და ცეკას კანდიდატი ამხ. ლაშევიჩის და სხვების შესახებ გამოტანილ დადგენილებას, მათი პარტიაში ფრაქციულად მოქმედებისათვის, მით უმეტეს, როდესაც ამხ. ამხ. ზინოვიევი და კამენევი თავგამოდებით ებრძოდენ 1924 წელში წამოჭრილ ოპოზიციას ფრაქციულობის დაშვების მოთხოვნისათვის და დღეს კი თითონ ჩაუდგენ სათავეში ოპოზიციას.

პლენუმს ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია ბოლშევიკურ პარტიის რიგებში ფრაქციული ჯგუფების დაშვება და პარტიის უმაღლეს ორგანო—პარტყრილობის დადგენილებათა დარღვევა.

საბჭოთა ხელისუფლება ძლიერი არის მით, რომ მას სწორ ხელმძღვანელობას უწევს ბრძოლაში გამობრძმედილი რკინისებურად შეკავშირებული ბოლშევიკური პარტია. ჩვენი პარტიის მთლიანობა ერთ-ერთი თავდებია იმისა, რომ საბჭოების საშუალებით ბოლშევიკური პარტია მიიყვანს რევოლიუციას საბოლოო გამარჯვებამდე.

გაუმარჯოს საკავშირო ბოლშევიკურ პარტიას და მის მთლიანობას.

რა ხდება სიღნაღის „ავიოქიმ"-ში

ამ რამოდენიმე დღის წინედ აგიტ-კოლეგიის სხდომაზე დასმული იყო საკითხათ საზ. „ავიოქიმის" მუშაობის შესახებ მოხსენება. რა გამოირკვა აქ? მაზრაში არ არის არც ერთი უჯრედი, რომელზედაც შეიძლება ითქვას, რომ მუშაობს. უჯრედებს ხელმძღვანელები არ ჰყავთ, არ არის უჯრედებთან ცოცხალი კავშირი, ფული და საკანცელარიო საქმიანობა ჯერაც მოუგვარებელია. მაზრიდან სოფლებზე მხოლოდ ცირკულიარები და ინსტრუქციები იგზავნებოდა, იმ დროს, როდესაც მთელი წლის განმავლობაში ინსტრუქტორს კარში ფეხი არ გაუდგამს. ცენტრიდან მობეზრებულია მაზრა აუარებელ ცირკულიარების გზავნით და ერთხელ არავის არ შეუხედავს საზოგადოების სიღნაღის სამმართველოში თუ რა ხდება, ვინ მუშაობს და რას აკეთებენ. აი, მოკლეთ ჩვენი „ავიოქიმი"-ს მუშაობა თუ უმუშევრობა, სიღნაღის მაზრაში.

კოლეგიის სხდომაზე არჩეულ კომისიამ გამოიმუშავა კონკრეტული მითითება, რომელიც უნდა გატარდეს ახლო მომავალში, მაგრამ ვერ განხორციელდება ეს მითითებაც, თუ ცენტრმა არ დაიჭირა ცოცხალი კავშირი, თუ საზოგადოების საბჭოს პრეზიდიუმმა და სამაღმასკომმა არ მიაქცია ამას ყურადღება.

საზ. „ავიოქიმ"-ში დღეს არ ირიცხება 500 წევრიც კი და, ვინც ირიცხება, ისიც არ ყოფნას უდრის. გლეხობა და საერთოდ მშრომელთა მასა დაინტერესებულია ამ საზოგადოებით იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ ხეირიანათ არ იცნობს საზოგადოების მიზნებს და ამოცანებს და, ცხადია, მუშაობა ჩადგება სათანადო კალაპოტში მხოლოდ მაშინ, თუ ცენტრი და ადგილობრივი საბჭო მიაქცევს ამ გარემოებას ყურადღებას.

ვ. რულინ.

ჩვენს ორგანიზაციებში

(გურია)

1-ლ ივლისისათვის გურიის სამაზრო ორგანიზაცია აერთიანებდა 23 თემკომს და 121 უჯრედს. სოციალური შემადგენლობით ულარიბესი გლეხობა შეადგენს დიდ უმეტესობას, შემდეგ საშუალო გლეხობა, მოსამსახურენი, მუშები და სხვა. გლეხების ლტოლვა პარტიისაკენ დიდია. შემოსულია 300-ზე მეტი განცხადება ღარიბი და საშუალო გლეხობის აქტივის მიერ პარტიაში მიღების შესახებ.

გურიის მაზრკომის ყურადღება მიქცეული იყო ამ უკანასკნელ ხანებში ძირითად ორგანიზაციების გამოკვლევა-შესწავლაზე. ამ მიზნით იგზავნებოდა ადგილებზე ინსტრუქტორები, აგრეთვე პ.-მგ. პარტმუშაკები, რომელნიც იკვლევდენ უჯრედის მუშაობას, აძლევდენ მათ პრაქტიკულ მითითებებს და აკეთებდენ სხვადასხვა თემებზე მოხსენებებს.

ამ რამოდენიმე თვის წინად მაზრკომი შეუდგა ულარიბეს გლეხთა ჯგუფების ჩამოყალიბებას, ისეთ თემებში, სადაც კულაკებმა წამოყვეს თავი, ულარიბეს გლეხთა ჯგუფები ჩამოყალიბდენ: საბჭოებში, გლეხკომებში, კოოპერატივებში და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. ასეთი ჯგუფებია ჯერ-ჯერობით ერკეთში, კოხნარში, საჭამიასერში, ზემოხეთში, შემოქმედში და ხვარბეთში.

ასეთ ორგანიზაციებს ღარიბი გლეხობა ყველგან დიდი აღფრთოვანებით შეხვდა.

შემდეგ მაზრკომმა მიაქცია ყურადღება მე-14 პარტყრილობის რეზოლიუციების შესწავლას. ეს მუშაობა ამჟამად სწარმოებს უჯრედებში.

თემკომები და უჯრედები მუშაობენ გეგმის მიხედვით. გეგმას უჯრედები იმუშავებდენ მაზრკომის ხელმძღვანელობით—თუმცაღა არის ისეთი უჯრედები, რომელნიც ჯერაც ვერ ახერხებენ გეგმიანი მუშაობის წარმოებას.

უჯრედების პოლიტცოდნის დონე ჯერაც დაბლა სდგას, რადგან ზამთარში ყველამ ვერ მოასწრო გავლა პოლიტსკოლებში.

უჯრედების ავტორიტეტი მასაში თანდათან მტკიცდება.

დისციპლინის დარღვევას აქვს ადგილი აქაიქ. მაზრკომი ღებულობს სათანადო ზომებს ყოველგვარ არაკომუნისტურ მოვლენების წინააღმდეგ. დისციპლინის დამრღვევნი სათანადოთ ისჯებიან.

ა. ჟუჟისპირელი.

უმოქმედო უჯრედი

(წნორის წყალი, სიღნ. მ.)

სიღნაღის უკანასკნელ პლენუმზე მოსმენილ იქნა მოხსენება წნორის წყლის სატრანსპორტო უჯრედის მუშაობის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ უჯრედი სუსტად აწარმოებდა პარტმუშაობას: ბიურო ვერ უძღვება კომუჯრედის მუშაობას, უჯრედების სხდომებზე ისმება ისეთი საკითხები, რომელიც სავსებით არ აინტერესებს მუშებს. კრებებს ამის გამო უსიცოცხლო ხასიათი აქვთ ხოლმე. უჯრედის აქტივი უმოქმედობას იჩენს, მუშათა აქტივი ჩაბმული არ არის საზოგადოებრივი მუშაობაში. უჯრედი ნაკლებ ყურადღებას აქცევს საწარმოო თათბირების მუშაობას. წარმოების ნაყოფიერების ზრდას, თვით ტრანსპორტის საკითხებში უჯრედი პასივობას იჩენს, რის გამო ბევრ ბოროტმოქმედებას აქვს ადგილი.

უჯრედის მუშაობაში არ არის შემოღებული გეგმიანი ხელმძღვანელობა. უჯრედის მუშაობა შემთხვევითი ხასიათს ღებულობს. არ არის კავშირი გლეხთა უჯრედებთან, არ ეწყობა საერთო კრებები, ღია კრებები ფართე მუშების თანდასწრებით ძალიან იშვიათია. კომკავშირზე ხელმძღვანელობა და ქალთა შორის მუშაობას უჯრედი ვერავითარ დახმარებას ვერ უწევს. და სხვა. პლენუმმა, მიუთითა რა ყველა ამ შეცდომებზე, გამოიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებები სატრანსპორტო უჯრედისათვის, რათა მომავალში აუცილებლად იქნას გამოსწორებული უჯრედის მუშაობა.

ლია.

ჩვენი ავ-კარგი

(გომარეთის თემი, ბორჩალოს მ.)

გომარეთის თემში საკანდიდატო ჯგუფი 1925 წლის დასაწყისიდან იქნა დაარსებული მთელ თემში ერთი ჯგუფი იყო. მათი მუშაობა გამოიხატებოდა მხოლოდ და [illegible] პოლიტმეცადინეობაში. მიმდინარე წლის მარტში სამაზრო პარტკომის მიერ იქნა დანიშნული სპეციალური ხელმძღვანელი. სათანადო დირექტივების მიხედვით გამომუშავებულ იქნა მუშაობის გეგმა, რომლის მიხედვით სწარმოებდა მუშაობა.

3 მარტიდან დღევანდლამდის გომარეთის სათემო უჯრედის 11 სხდომა შესდგა. გარჩეული იქნა 42 საკითხი, რომელთაგანი უმრავლესობა ადგილობრივ მნიშვნელობის იყო. კომკავშირსა და ღარიბ გლეხთა შორის მუშაობა ამ ხნის განმავლობაში ცოცხლად მიმდინარეობდა. თემკომის მხურვალე მონაწილეობით გამოდის კედლის გაზეთი. მიღებულია ზომები სამკითხველოს მუშაობის გამოსაცოცხლებლად. თემსაბჭოში შედის ორი კომუნისტი, რომელთა საშუალებითაც თემკომი აწარმოებს გეგმიან მუშაობას.

პარტორგანიზაციას თემში ავტორიტეტი აქვს. კომუნისტები და კანდიდატები თავიანთ მოვალეობას პირნათლად ასრულებენ.

უჯრედელი.

დაუდევარი მდივანი

(ს. პრიუტი, თბილ. მ.)

პრიუტში არსებობს კომკავშირის უჯრედი, რომელშიაც შედის დაახლოებით 15-დე წევრი. აქ შეიძლებოდა კომ-უჯრედის გაფართოება. მეტი წევრების მიზიდვა, მაგრამ უჯრედის პასუხისმგებელი მდივანი სავსებით არ მუშაობს.

ამხ. ყანჩაველი, იმის მაგივრად, რომ გლეხებზე გავლენა იქონიოს და მეტი ახალგაზრდობა ჩააბას მუშაობაში, ხელს უშლის და ეწევა ყოველგვარ ინტრიგებს. იმას არა სცალიან დაკისრებული მოვალეობის ასასრულებლად. მთელი დღის განმავლობაში ქუჩაში სეირნობას და არშიყობას უნდება. კრებას იწვევს ხან ორ თვეში ერთხელ და ხან არც ერთხელ. როცა რომელიმე წევრი შეეკითხება: „რატომ კრებას არ იწვევთ"? იმისი პასუხია: „რა თქვენი საქმეა, პასუხისმგებელი მდივანი მე ვარ, როგორც მინდა ისე მოვიქცევიო".

ამხ. ყანჩაველი ცდილობს უჯრედში არ მიიღოს ისეთი წევრი, რომელიც მას შენიშვნას მისცემს და მის უარყოფითი მხარეზე მიუთითებს.

გულშემატკივარი.

მარჯვე უჯრედი

(ლეღვან-მარელისის თ.)

იყო ასეთი შემთხვევა: სოფ. ზედუბანში მცხოვრები გლეხი კირილე მეგრელიშვილი მოულოდნელად დაავადმყოფდა. მას ჰყავს წვრილშვილი, განიცდის უკიდურეს გაჭირვებას. დარჩა მთელი დათესილი ყანები გაუთოხნელი. კირილეს ოჯახს სიმშილით სიკვდილი მოელოდა.

მაგრამ ჩვენმა კომკავშირის უჯრედმა მაშინვე მიაქცია ამ მდგომარეობას ყურადღება. მიესივნ თავისი საშუალებით კირილეს ყანებს და პირწმინდათ გაუთოხნეს, სხვანაირადაც დაეხმარეს ოჯახში.

მე მოკლე ხნის შვებულებით ვიყავი ოჯახში და ამ სურათის მნახველი აღტაცებაში მოვედით. ასეთი მუშაობით კომკავშირი დიდ ავტორიტეტს მოიპოვებს გლეხობაში.

წითელი მოლაშქრე კ. მეგრელიშვილი.

როგორ მუშაობს ხულოს პარტკომი

(აჭარისტანი)

ამას წინად ჩატარებულ აჭარის ოლქკომის პლენუმზე მოსმენილი იქნა მოხსენება ხულოს მაზრკომის მუშაობის შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მაზრაში გაიზარდა პარტიის ავტორიტეტი. პარტხელმძღვანელობის მეთოდები გაუმჯობესებულია, სწარმოებს ორგანიზაციებში გეგმიანი მუშაობა. გამოცოცხლდა აგრეთვე, მუშაობა საკანდიდატო ჯგუფებშიც.

სოფლად აღმშენებლობა თანდათან ფართოდ იდგამს ფეხს. რევოლიუციონური კანონიერება თანდათან მტკიცდება. საერთოდ პარტიის დირექტივები ხულოს მაზრკომის მიერ სწორად ტარდება ცხოვრებაში.

მიუხედავათ ამისა, პლენუმმა მაზრკომს მიუთითა შემდეგ ნაკლზე: პარტიის ზრდა მექანიკურად არის შეჩერებული, შინაპარტიული მუშაობა ძირითად ორგანიზაციებში სუსტად მიმდინარეობს. სუსტია ხელმძღვანელობა და კავშირი საკანდიდატო უჯრედებთან. უჯრედები დღესაც ვერ ერკვევიან ულარიბეს გლეხთა შორის მუშაობაში, გლეხთა ულარიბესი ჯგუფები არ არის ჩამოყალიბებული და მასებში ნაკლებად სწარმოებს პოლიტ-განმანათლებელი მუშაობა.

კომფრაქციები ვერ არის რიგზე ჩამოყალიბებული, უჯრედები ვერ უწევენ მათ ხელმძღვანელობას. აგრეთვე სუსტია გლეხკომების მუშაობაც.

ამ დეფექტების გამოსასწორებლად იქნა გამომუშავებული სათანადო პრაქტიკული ღონისძიებები.

ფუხარა.

რატომ გაიქცნენ ქალები

(საგარეჯო)

სულ რაღაც 7—8 თვეში ქალთა რიცხვი ჩვენს უჯრედში 18 კაცისაგან 4 კაცზე დავიდა.

რას მიეწერება ქალთა რიცხვის ასეთი დაკლება?

შეიძლება ზოგიერთებმა ქალების გათხოვებით ან მათი თბ. წამოსვლით ახსნან ეს გარემოება. მაგრამ ეს სრულებითაც სიმართლეს არ შეეფერება. აქ საკმაოთ მოიპოვებიან ყოფილი კომკავშირელი ქალები, რომლებიც არც გათხოვილან და არც თბილისში წასულან. მაშ რა იყო მიზეზი მათ მიერ კომკავშირის მიტოვებისა? ჩემის აზრით და შეიძლება ბევრი სხვისაც, ქალთა რიგების შეთხელების დასაწყისად შეიძლება ჩავთვალოთ წარსული წლის სექტემბერ-ოქტომბრის თვეები.

ნათქვამია: „სილამაზეს სიმახინჯეც თანა სდევსო". ასეა ჩვენი უჯრედის საქმეც. მთავარი ნაკლი იმაში გამოიხატება, რომ ზოგიერთი ყმაწვილი, უჯრედის წევრი სათანადო ამხანაგური დამოკიდებულებით ვერ ეპყრობა ქალიშვილ კომკავშირელებს. ისინი თავიანთი მოქმედებით სახელს უტეხენ კავშირს.

ერთ-ერთი ასეთ კომკავშირელზე შემოდგომიდანვე დაიწყო მითქმა-მოთქმა. ამ ვაჟბატონის წყალობით და კარნახით ა. წ. იანვარ-თებერვლის თვეებში ქალთა საკმაო რიცხვა მიანება კავშირის თავი.რომ ეს სინამდვილეა,ამის წერილობითი საბუთები თბილისის კომიტეტამდეც არის მისული. ეს ვაჟბატონი კი იმის მაგიერ, რომ შესაფერად დასჯილიყო, არხეინად ბრძანდება ცენტრ. პარტ. სკოლაში.

გრძემლი.

ახალი უჯრედი

(სოფ. აგუ-ბედია, აფხაზეთი)

გალის მაზრკომმა დაამტკიცა აგუ-ბედიაში კომკავშირის უჯრედი.

უჯრედი, მიუხედავათ იმისა რომ ის ახალია, აერთიანებს 22 წევრს, მათ შორის ხუთი ქალიშვილია.

უმეტესობა უჯრედის შემადგენლობისა არის აფხაზები, რომელთაც არ მოეპოვებათ სამაღადინოთ ლიტერატურა ეროვნულ ენაზე.

საჭიროა ახალ უჯრედს აღმოეჩინოს ყოველგვარი დახმარება მაზრკომიდან და ოლქკომიდან. უნდა გაიგზავნოს აგრეთვე ლიტერატურაც.

ალი-ოღლი.

ახალი მუშაკები

(სიღნაღის მაზრა)

პარტკომის მიერ სიღნაღის მაზ. გახსნილი იქნა 25 კაცისათვის ქალთა ორგანიზატორების გადასამზადებელი ერთ-თვიანი კურსები. კურსების მსმენელებათ მოხვდენ განსაკუთრებით თემის უჯრედებიდან გამოყოფილი ორგანიზატორი ქალები. მეცადინეობა სწარმოებდა ც. ქ. და მაზრის მუშა და გლეხ ქალთა შორის მომუშავე განყოფილებების გამომუშავებული პროგრამის მიხედვით. მეცადინეობა მიმდინარეობდა საუბრის სახით.

უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ დღეიდან სიღნაღის მაზრას ეყოლება მომზადებული კადრი ქალთა შორის მუშაკების, რომლებიც შესძლებენ გააჯანსაღონ მუშაობა და აამაღლონ მშრომელ ქალთა ფართო მასის კულტურული და პოლიტიკური დონე.

სანჩანი.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

გამოვაცოცხლოთ საწარმოო თათბირები

მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიის ერთ მნიშვნელოვან ნაკლს წარმოადგენს მშრომელთა ფართო ფენების არაიმდენად აქტიური მონაწილეობა ამ კამპანიაში, რამდენადაც ამას საჭიროება მოითხოვს. აღსანიშნავია, რომ ჩვენს გაზეთებში მომჭირნეობისათვის ბრძოლამ უმთავრესად მიიღო ბოროტ-მოქმედებასთან თუ დაუდევრობასთან ბრძოლის ხასიათი.

ეს ასედაც უნდა იყოს, მაგრამ საკითხი ამით ბევრათ კიდევ არ ამოიწურება. მთავარი მომჭირნეობის კამპანიაში არის ჩვენი სამეურნეო და ადმინისტრატიულ-კულტურულ აპარატის იმდენად გადახალისება-გაუმჯობესება, რომ ადგილი აღარ ექნეს იმ მრავალ დაბრკოლებებს, რომელნიც წინ ეღობებიან საბჭოთა აღმშენებლობის განვითარებას.

რა საშუალებით მივაღწევთ ჩვენ ამას. ცხადია აქ ზევიდან ბრძანებლობით, ცირკულიარების წერით და კეთილი ზრახვებით აღსავსე დადგენილებათა გამოტანით ფონს ვერ გავალთ. ვერც თითო - ოროლა პიროვნებები უშველიან საქმეს, რაც უნდა გამჭრიახი გონების და გამოულეველ ენერგიის ხალხი არ იყვნენ ისინი.

მთავარი პირობა მომჭირნეობის რეჟიმის წარმატებით გატარებისათვის არის ამ კამპანიაში მასის აქტიურად ჩაბმა. პირველ ყოვლისა ჩვენ მხედველობაში გვაქვს საწარმოო თათბირები. ამ მხრივ, როგორც ვიცით, მომჭირნეობის კამპანია სუსტად მიმდინარეობს.

ჩვენ არაერთხელ აღვინიშნავს, რომ ბოლო ხანებში საწარმოო თათბირების მუშაობა ჩვენს წარმოება - დაწესებულებებში მოდუნდა. სრული საბუთი გვქონდა გვეფიქრა, რომ მომჭირნეობის რეჟიმის კამპანია მათ გამოაცოცხლებდა. ნამდვილად იმედი აქ ბევრათ არ გაგვიმართლდა.

ხარჯების შემცირების, აპარატის გამარტივება - გაუმჯობესების, საბჭოთა დოვლათის დაზოგვის კამპანიაში არ ისმის საწარმოო თათბირების ხმა ისეთი ძლიერებით, როგორც ეს უნდა ხდებოდეს. აქ პირველყოვლისა ბრალი მიუძღვის ჩვენი წარმოება - დაწესებულების ხელმძღვანელებს და ძირითად პროფესიულ ორგანიზაციებს.

წარმოების თუ დაწესებულების მეთაური საწარმოო თათბირებზე სისტემატიურად უნდა აკეთებდეს საანგარიშო მოხსენებებს წარმოების სადღეისო ვითარების შესახებ. ამ მოხსენების დროს ყველაზე უკეთ იქნება გატარებული მასის კანტროლი ზედმეტ ხარჯების შემცირებაზე, ამ მოხსენების დროს ყველაზე უკეთ იქნება გაფანტული ის გაუგებრობანი, რომელნიც შეიძლება წარმოიშვას მომჭირნეობის გატარების დროს წარმოებაში თუ დაწესებულებაში. ასეთი შემთხვევები, როგორც ვიცით, არც ისე იშვიათია.

ამნაირად, მომჭირნეობის რეჟიმის ამ მთავარ ნაკლს, საწარმოო თათბირების სუსტ მუშაობას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. საჭიროა მასის აქტიური ჩაბმა ამ უაღრესი მნიშვნელობის ამოცანის შესრულების საქმეში. საჭიროა, რომ მუშა-მოსამსახურენი, კოოპერატივისა და გლეხკომის წევრი, მშრომელები იღებდენ უახლოეს მონაწილეობას თავიანთ წარმოების, დაწესებულების, თუ ორგანიზაციის ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში. ეს კი ყველაზე მეტად შესაძლებელია საწარმოო თათბირების საშუალებით.

გ. გლანელი.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

შტატის შემცირება და ადგილკომი

შტატის შემცირება მომჭირნეობის რეჟიმის გატარების ერთ-ერთ უადვილეს საშუალებათაა ცნობილი. 10—15 კაცის სამსახურიდან მოხსნა, მათი ჯამაგირების შეჯამება და საერთო საერთო თანხის სააშკარაოზე გამოტანა: აი, ამდენი და ამდენი მანეთი დავზოგეთ, ბევრ სამეურნეო მუშაკს თავის ქებათ მიაჩნია.

ამით ჩვენ იმისი თქმა სრულიადაც არ გვინდა, თითქოს შტატები ჩვენს დაწესებულება-წარმოებებში ნორმალურია და ისინი ხელუხლებელი უნდა დარჩენ. მთავარი აქ ისაა, რომ ზოგჯერ შტატის შემცირება ხდება მოუფიქრებლად, გარეგნულ ეფექტის მოსახდენათ. საქმე კი ამით ბევრს აგებს. წარმოება თუ დაწესებულება სულ მოკლე ხნის განმავლობაში იძულებულია კვლავ აიყვანოს სამუშაოთ ლიკვიდაციაყოფილი თანამშრომლები.

ასეთ შემთხვევაში პროფესიულ ორგანიზაციას მეტი სიფრთხილე მართებს. მან არ უნდა დაუშვას შტატის ამგვარი უთავბოლო შემცირება, რომელიც არსებითად მომჭირნეობის რეჟიმის თავდაყირა დაყენებას უდრის.

ამ საკითხს ეხება „ნაშა გაზეტა"-ში ამხ. პოდსოსიონოვი, რომელიც სწერს:

„ნოვტრესტტორგი"-ს მოსკოვის განყოფილებაში შტატის შემცირებით დათხოვნილ მუშა ნოვიკოვს შეაქვს განცხადება: „გთხოვთ მიმიღოთ მე სამსახურში, ვიმყოფები წარმოუდგენელ კრიტიკულ მდგომარეობაში. არ მაქვს საჭმელ-სასმელი და ბინა. მე ცეცხლისაგან დაზარალებული ვარ და სხვა"... ადმინისტრატორი აწერს აწერს განცხადებაზე: „შესაძლებლად მიმაჩნია დაკმაყოფილება, თუ ადგილკომი წინააღმდეგი არ იქნება"-ო.

რას მოწმობს ეს დოკუმენტი, თუ არ იმას, რომ „ნოვტრესტტორგის"ადგილკომი დაეთანხმა ადმინისტრაციას მუშა ნოვიკოვის სამსახურიდან დათხოვნაზე, საქმის საფუძვლიანად გამოურკვევლად. ადგილკომმა არ მოისაზრა, თუ რამდენად ზედმეტი იყო ნოვიკოვი „ნოვტრესტტორგის" აპარატში".

ამის შემდეგ ამხ. პოდსოსიონოვი ეხება თვით რეზოლიუციის შინაარსს: „თანახმა ვარ, თუ ადგილკომი წინააღმდეგი არ იქნება". ის სწერს:

„სამწუხაროდ დღესაც არიან ადმინისტრატორები, რომელნიც ზოგჯერ უარს არ იტყვიან ადგილკომზე მეტი გულკეთილობის გამოჩენაში. ისინი, ხომ ხედავთ, წინააღმდეგი არ არიან უკან მიღების, მაგრამ რას იტყვის ადგილკომი? ამხანაგებო, ადგილკომის მუშაკებო, სწერს ამხ. პოდსოსიონოვი, დაბეჯითებით თხოვნაა, სანამ მისცემდეთ ადმინისტრაციას თანხმობას მუშა-მოსამსახურის დათხოვნაზე, საფუძვლიანად ასწონ-დასწონეთ, საჭიროა თუ არა მუშისა თუ მოსამსახურის დათხოვნა".

ბაზრის მოწესრიგებისათვის

არანორმალურ მოვლენებს კოოპერაციის და სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულებათა სავაჭრო პრაქტიკაში ბოლო უნდა მოეღოს. — შინა-ვაჭრობის კომისარიატის განკარგულება

ა.-კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ცნობით, სახელმწიფო სავაჭრო და კოოპერატიულ ორგანიზაციათა სავაჭრო პრაქტიკაში ჯერ კიდევ სავსებით არ არის აღმოფხვრილი არა ნორმალური მოვლენები და მავნე გადახრანი. ზოგიერთი კოოპერატიული ცენტრები განაგრძობენ სამრეწველო საქონლის ბითუმად გაყიდვას მოგების მიზნით, თუმცა ამის ნება მათ არა აქვთ, რადგან მთელი სამრეწველო საქონელი, რომელიც გადის კოოპერატიულ ცენტრების ხელში უნდა იქნეს მათ მიერ განაწილებული ძირითად კოოპერატივების შორის. ცხადია, რომ ამ კოოპერატივებისათვის გადადებული საქონლის გაყიდვა ცენტრის მიერ საგრძნობლათ ამცირებს ძირითად სავაჭრო ქსელის დატვირთვას სამრეწველო საგნებით.

არა ნორმალური მოვლენაა ისიც, რომ ზოგიერთი კოოპერატიული და სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციები, რომელთა მოვალეობას შეადგენს მხოლოდ ცალობით ვაჭრობა, საქონლის ბრუნვის დაჩქარების და მეტი მოგების მიღების მიზნით აწარმოებენ სამრეწველო საგნების ბითუმათ და ნახევარ-ბითუმათ გაყიდვას. ასეთი გაყიდვა ხდება ნაძალევათ. ეს თუ ის საქონელი ნაწილდება პატარა-პატარა პარტიებათ, იყიდება რამოდენიმე ჩეკით, ტარდება დავთრებში ისე, როგორც პროვინციალურ განყოფილების მიერ გატანილი საქონელი.

აღსანიშნავია კიდევ ერთი არა ნორმალური მოვლენა—ფასების ხელოვნური აწევა. ამას განსაკუთრებით ადგილი აქვს პროვინციაში,სადაც სამრეწველო საგნებზე წესდება ისეთი ზედნართი ხარჯები, რომლებიც 10—50 და ხშირათ 100 პროცენტით აღემატებიან შინავაჭრობის კომისარიატის მიერ დაწესებულ ფასებს.

აღნიშნული არანორმალური მოვლენები ცხადია ხელს უწყობენ ბაზრის დეზორგანიზაციას და სპეკულიაციას სამრეწველო საგნებით. ზოგიერთ კოოპერატიულ და სახელმწიფოებრივ ორგანოების მეოხებით კერძო მოვაჭრეები იჩენენ პირველ საჭიროების საქონელს, ინახავენ მას იმ დრომდე, სანამ ის გამოილევა კოოპერატივებში და შემდეგ ასაღებენ, რასაკვირველია, გაბერილ ფასებში.

ასეთი მოვლენები დაუშვებელია. მათ აღმოსაფხვრელათ შინა-ვაჭრობის კომისარიატმა გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი და კატეგორიული წინადადება მისცა ყველა სავაჭრო ორგანიზაციებს გაატარონ ისინი ცხოვრებაში დაუყოვნებლივ. შინა-ვაჭრობის კომისარიატი საჭიროთ სცნობს სავსებით აიკრძალოს კერძო ბაზარზე საქონლის ბითუმათ ან ნახევარ ბითუმათ გაყიდვა და სასტიკათ იქნეს დაცული დაწესებული ზედნართი ფასები. კოოპერატიული ცენტრების სავაჭრო მოქმედება უნდა განისაზღვროს მხოლოდ და მხოლოდ თავის ძირითად მასალის მომარაგებით.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

გლეხთა დახოცილ საქონლის კომპენსაცია

ოზურგეთი, 18 აგვისტო. სახელმწიფო დაზღვევის სააგენტო შეუდგა გლეხებისათვის კომპენსაციის გადახდას, ჭირისგან საქონლის დახოცვით გამოწვეული ზარალის ასანაზღაურებლად. გლეხებს თითეულ სულ დახოცილ საქონელში 25—40 მანეთი ეძლევათ.

ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეები

ოზურგეთი, 18 აგვისტო. სატყეო მეურნეობის განყოფილების ცნობის მიხედვით, სულ გურიის მცხოვრებლებს გადეცათ 4.560 დესეტინა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები.

მედიკამენტები

ოზურგეთი, 18 აგვისტო. ჯანმრთელობის განყოფილებამ მიიღო 7 ყუთი მედიკამენტები. მედიკამენტები განაწილებულია ყველა საექიმო პუნქტებს შორის მაზრაში. საექიმო საშუალებათა ნაკლულევანებას მაზრა არ განიცდის.

ბრძოლა მალარიასთან

ოზურგეთი, 18 აგვისტო. ივლისის თვის განმავლობაში ტროპიკულ სადგურში გაიარა 1.792 მალარიით ავათმყოფმა და გაცემულ იქნა 1.800 გრამი ქინაქინა, აქედან 700 ამბულა სრულიად უფასოდ.

ქუჩების შეკეთება

ახალ-სენაკი, 18 აგვისტო. ქალაქში შეუდგენ ქუჩების კაპიტალურ შეკეთებას. შეკეთებაში მონაწილეობას იღებს ქალაქის მთელი მოსახლეობა.

საკავშირო აღწერა

ახალ-სენაკი, 18 აგვისტო. სამაზრო სტატისტიკური ბიურო შეუდგა მზადებას 1926-27 წლის საკავშირო აღწერისათვის. წინადადება მიეცა ყველა თემებს შეადგინონ თემში ოჯახების სია. სწარმოებს სამაზრო ხუთვერსიანი რუქის გადაღება და შედგენილია მაზრაში დასახლებულ ადგილების სია.

ბიუჯეტი 1926-27 წლისათვის

ახალ-სენაკი, 18 აგვისტო. სამაზრო საფინანსო განყოფილება შეუდგა 1926-27 წლისათვის ბიუჯეტის შედგენას, ყველა თემებში დაგზავნილია ინსტრუქტორები ადგილებზე საბიუჯეტო საქმის მდგომარეობის და თემის შემოსავალ - გასავლის მუხლების გამოსარკვევად.

თემების რიცხვის შემცირება

ახალ-სენაკი, 18 აგვისტო. სამაზრო აღმასკომმა გაატარა თემების ნაწილობრივი შემცირება. ახლა მაზრაში ითვლება სულ 33 თემი.

კანალიზაცია

სიღნაღი, 18 აგვისტო. სიღნაღში მთავრდება კანალიზაციის გაყვანა 320 მეტრის სივრცეზე. კანალიზაცია ეწყობა ქალაქის უფრო დასახლებულ ნაწილში. მომავალ საბიუჯეტო წლიდან საკანალიზაციო ქსელი გაფართოებული იქნება.

სასკოლო ქსელის გაფართოება

ახალქალაქი, 18 აგვისტო. მაზრაში არსებული სასკოლო ქსელი მომავალ სამოსწავლო წლიდან გაფართოვდება, გაიხსნება 27 ახალი ოთხწლედი. სომხური შვიდწლედი გადაკეთდება 9 წლედად. გაიხსნება 2 სკოლა ახალგაზრდა გლეხობისათვის, ერთი დაბალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო სკოლა და 2 პროფსკოლა.

ყველის ქარხანა

ახალქალაქი, 18 აგვისტო. თბილისიდან ჩამოსულმა კომისიამ პროფ. ჯანდიერის მეთაურობით უკვე შეარჩია ყველის ქარხნის ასაგები პუნქტი.

წყალსადენი ქალაქისათვის

ახალქალაქი, 18 აგვისტო. სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ქალაქში წყალსადენის გაყვანის პროექტი.

პროექტი დასამტკიცებლად წარედგინა შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატს.

გლეხკომები

თელავი, 18 აგვისტო. გლეხკომთა რიცხვი მაზრაში შემცირდა 37-დან 17-დე. სულ წევრთა რიცხვი 2.000-მდე აღწევს.

გლეხკომის დახმარება მოსახლეობისადმი 1 ივლისამდე გამოიხატა: ფულით (დაუბრუნებელი)—1.600 მან., პურით—156 ფუთი, ვენახის დასამყნავი მასალის მიწოდებით და სხ.

გლეხკომის განკარგულებაში არის ერთი ტრაქტორი, 1 სალეწი მანქანა, 1 სანიავებელი, 1 წისქვილი, 17 დეს. ვენახი, ბაღი (1½ დეს.) და 16 მარანი.

აჭარისტანი

ბრძოლა კონტრაბანდასთან

ბათომი, 18 აგვისტო. ბათომის საბაჟოში მიმდინარე საოპერაციო წლის სამ მეოთხედში კონტრაბანდის გატანისა და გასაღებისათვის ჯარიმის სახით შემოვიდა 900,000 მანეთი. სულ აღრიცხულ იქნა კონტრაბანდის დაჭერის 622 შემთხვევა.

ხის დამმუშავებელი ქარხანა

ბათომი, 18 აგვისტო. აჭარისტანის ვაჭრობა-მრეწველობის სამმართველომ აირჩია ადგილი ხის დასამუშავებელ ქარხნის ასაგებად. ამ დღეებში შეუდგებიან შენობის საძირკვლის ჩაყრას.

აფხაზეთი

სატყეო-ქიმიური ფაბრიკა

სოხუმი, 18 აგვისტო. აფხაზეთის სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ დაადგინა შეუთანხმდეს მოსკოვის სახალხო მეურნეობის საბჭოს და სხვა ტრესტებს აფხაზეთში სატყეო-ქიმიურ ფაბრიკის საერთო ძალებით აგების შესახებ.

ვენეროლოგიური დისპანსერი

სოხუმი, 18 აგვისტო. შეუდგენ ვენეროლოგიურ დისპანსერის მოწყობას. დისპანსერთან დაარსებული იქნება აგრეთვე პროსტიტუციასთან მებრძოლი საბჭო და სანიტარული განათლების სექცია.

წერილები

რა გვაქვს და რა გვქონდა

(კინჩხის თ., ქუთ. მ.)

ეს თემი ასხის მთის კალთებზეა გაშენებული. ბუნება აქ მკაცრია: ზამთარი ხანგრძლივი და ღრმა თოვლიანი. 1—2 საჟენის სიღრმე თოვლი აქ ჩვეულებრივი მოვლენაა ზამთრობით. ამ თემის მიდამო დასერილია მრავალი ხევებით. გაზაფხულზე თოვლის დნობისას საზარელი ხმით მიხუის მთის რუები, რაც აფერხებს მიმოსვლას. ასე რომ, ზამთრობით და გაზაფხულზე კინჩხის თემი თვეობით არის მოწყვეტილი სხვა თემებს. გარდა ამისა გორდში, რომ მიწა მშრალია და მტვერი აწუხებს ხალხს, კინჩხაში ამ დროს ორი არშინის სიმაღლე თოვლი და ტალახია.

ამასთან კიდევ ,გორდის და კინჩხის თემებს შუა არის ერთი დაუსახლებელი იწრო ადგილი „რობა", სადაც ამ ორი თემის შემაერთებელი გზა გაივლის. ზამთრობით აქ მუდამ ისეთი ბორბუქი იცის, რომ იქ გავლა სახიფათოა. აქ ხშირად გამოყავთ ხალხი ნიჩბებით თოვლის გასაჭრელად, მაგრამ ორი საათის შემდეგ თოვლისაგან გაჭრილ - გაწმენდილი გზა, ისევ ივსება ქარბუქით. ამის გამო ზამთრობით აქაური გლეხობა იშვიათად ჩადიოდა გორდში სათემო კრებებზე დასასწრებლად და როცა ჩადიოდა ერთი ან ორი საათის შემდეგ ის გამორბოდა უკან, რომ დაღამებამდე მოესწრო შინ, რის გამო საქმის გარჩევაში მონაწილეობას ვერ ღებულობდა. რაც შეეხება დილიდან საღამომდე ოჯახზე მოცილებას, იქით-აქეთ 15—16 ვერსის გავლით ქალმნის გაცვეთას და დაღლას, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია.

გორდში 1875 წლიდან არსებობს სკოლა, მაგრამ ამ სკოლაში ვერც ერთმა კინჩხელმა გლეხმა ვერ შეიძლო შვილის გამოზრდა, თუმცა სკოლების აგება და მასწავლებელთა შენახვაში კინჩხელებსაც შეჰქონდათ წვლილი. ,აბა სად შეეძლო კინჩხელ ბავშვს ყოველ-დღე გორდში რბენა და იქეთ-აქეთ 15—16 ვერსის გავლა, ისიც ზამთარში და ცუდ ამინდებში.

ამით აიხსნება, რომ კინჩხაში გლეხები თითქმის ყველა წერა-კითხვის უცოდინარნი, კულტურულად და ეკონომიურად ძალზე ჩამორჩენილნი არიან. ბევრი თხოვნები მიართვა კინჩხელმა გლეხობამ სხვადასხვა დროს ყოფილ მთავრობებს, ამ აუტანელ მდგომარეობიდან გამოყვანის შესახებ, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ გასაბჭოების პირველ ხანებში სენაკის სამაზრო მთავრობის (რომელსაც ეკუთვნოდა მაშინ გორდი-კინჩხა) წყალობით კინჩხა გამოცხადდა დამოუკიდებელ თემად. მართალია მოსახლეთა რიცხვით ეს თემი დიდი არ არის (მასში 500 კომლზე ცოტა მეტი ირიცხება) და მასთან კინჩხის ცენტრიდან გორდის ცენტრამდე 7—8 ვერსის მეტი არ არის, მაგრამ აქ მთავრობამ მიაქცია ყურადღება თემის ტერიტორიის სიფართოვეს და განსაკუთრებით მის თავისებურ მდებარეობას, იმ დღიდან დაწყებული აქ ცხოვრება წინ მიდის. ყველა თემის დაწესებულებები სამმართველო, შვიდწლედი, კოოპერატივი, სამკითხველო მოთავსებულია თემის მოხდენილ ადგილზე. პერიფერიებში კი ოთხწლედებია. სკოლები აივსო ბავშვებით. წ.-კ. უცოდინარობას ბოლო ეღება. გლეხობა თანდათან ერკვევა, თვითცნობიერდება და აქტიობას იჩენს აღმშენებლობით საქმეში. კმაყოფილია იგი ხელისუფლებით და თავისი მდგომარეობით.

ნესტორ ხურცილავა.

უნდა დაარსდეს საკონსერვო ქარხანა

მკითხველს მოეხსენება, რომ საქართველოში მეხილეობას და მებოსტნეობას დიდი სასარგებლო და ნაყოფიერი მომავალი აქვს. გლეხობა დაინტერესებულია, მეხილეობის განვითარებისათვის ხელის შეწყობაში, მაგრამ სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რომ სოფლის ნაწარმოებს, ხილეულობას ბაზარი არა აქვს.

მაგალითად: ლეჩხუმის მაზრაში პირველხარისხოვანი ვაშლი, მსხალი და სხვა ხილეულობა ლპება და ფუჭდება. ამ ხილით ველარ სარგებლობენ. არის შემთხვევები აგრეთვე ქუთ. მაზრაშიაც, სახელდობრ მუხიანის რაიონში, სადაც პამიდორი უბაზრობის გამო სანახევროთ მაინც სავსებით ფუჭდება, ან კერძო სპეკულიანტებს უვარდება ხელში, რომლებიც ფაქტიურ ღირებულების მეოთხედსაც კი არ აძლევენ გლეხს. ნედლი მასალა, რომელიც გამოდის ბაზარზე უნდა იქნეს გადამუშავებული იმდაგვარად, როგორც ეს მუშავდება გორის მაზრის საკონსერვო ქარხანაში. შეიძლება მხოლოდ მაშინ ექნეს საქართველოს ხილის მეურნეობას თავისი რეალური ფასი და ღირებულება.

ჩვენში ნორმალურია აგრეთვე შავი ბადრიჯნის მოსავალი, რომლის საგრძნობ რაოდენობას იღებს გორის საკონსერვო ქარხანა გადასამუშავებლად. ადგილობრივად, რომ არსებობდეს ქარხანა. აქ გადამუშავდებოდა ეს მასალა უფრო ხელმისაწვდომ ფასებში. ეხლა კი კერძო სპეკულიანტი ღებულობს გლეხებიდან—მიაქვს გორის მაზრაში და გაორკეცებულ ფასში ყიდის მას. აქედან გამოდის, რომ გორის საკონსერვო ქარხანა და ადგილობრივი გლეხობა მოტყუილებული რჩება და გამარჯვებულია კერძო სპეკულიანტი.

დანარჩენი ყოველგვარი ხილეული და ბოსტნეულის მოსავლიანობის საგრძნობი რაოდენობა უბაზრობის გამო განიცდის ცუდ მდგომარეობას. ამიტომ გლეხობა არც მისდევს მათ მოყვანა-მოშენებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულ საქმეების მოსაგვარებლად და ამავე დროს კერძო სპეკულიანტების ასალაგმავად, ერთად-ერთი საშუალება იქნება დას. საქართ. დაარსდეს საკონსერვო ქარხანა, რის შემდეგაც გლეხების ნაწარმოები მართლაც დაფასდება და ახლო მომავალში გაუმჯობესდება კულტურული ჯიში მეხილეობა-მებოსტნეობისა.

ამ საკითხის შესახებ ქუთ. სურს. გემოვნების კავშირის წარმომადგენელს ჰქონდა საუბარი აღმასკომის თ-რე ამხ. დ. ლორთქიფანიძესთან, რომელმაც განაცხადა, რომ ქუთაისში არსდება საკონსერვო ქარხანა, რისთვისაც მთავრობას განზრახული აქვს ამ საქმისათვის 80.000 ათასი მან. გაღებაო. იმედია ამ მეტად სერიოზულ საქმეს განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ქუთ. აღმასკომი და შეძლებისდაგვარად მოაგვარებს ამ ახლო მომავალში.

ხ. ქრებალოელი.

„მოტორს" ვერ ვეღირსეთ

(კორბოთელის თემი, შორ. მ.)

ჩვენს თემს ძალზე აწუხებს უწისქვილობა. გლეხებმა ჯერ კიდევ 1921 წლიდან მოინდომეს წისქვილის ამუშავება. ამისათვის განიზრახეს „მოტორი"-ს შეძენა და კიდეც ააგეს საჭირო შენობა. აირჩიეს გამგეობა და დაავალეს „მოტორის" აღმოჩენა, რის შესაძენათაც აკრებილ იქნა ფული, მაგრამ საუბედუროდ გამგეობამ ვერ გამოიჩინა უნარიანობა და ამასთან მას ხელი შეუშალა ფულის კურსის მერყეობამაც.

მოკრებული ფული ნემოთ იქცა.

წარსულ წელს გლეხობამ ადგილობრივ ხელისუფლების დახმარებით ისევ გაბედა ნაცადი საქმის განახლება: მათ აირჩიეს ახალი გამგეობა და დაავალეს „მოტორი"-ს შეძენა. დაკისრებული მოვალეობა გამგეობამ შეასრულა. შეძენილი იქნა 18 ცხენის ძალიანი „მოტორი", ქ. თბილისში, ლითონტრესტიდან.

გლეხობამ წინასწარ მისცა „მოტორი"-ს ფასი. ლითონტრესტი ვალდებული იყო თავისი კაცით ჩაებარებია „მოტორი" ფულის გასტუმრების დღიდანვე. ტრესტმა პირობის ეს მუხლი ვერ შეასრულა.

ბოლოს, როგორც იქნა, სოფელი ეღირსა „მოტორი"-ს მოტანას, რომელსაც მოყვა თავისი კაცი. მას უნდა აემუშავებია და ჩაებარებია გამზადებული „მოტორი" სოფლისათვის. მაგრამ, „გაჭირვებულს ქვა აღმართში მოეწიაო". ასე მოუვიდა ჩვენ გლეხობასაც.

ჯერ კიდევ მომართული არ იყო „მოტორი", რომ გასასინჯათ ამუშავების დროს გასკდა და მისი ნაწილები ისე დაზიანდა, რომ შეკეთებაზე ფიქრი ზედმეტია.

სოფლის ბედი კიდევ ის იყო, რომ „მოტორი" დაზიანდა ტრესტის მიერ გამოგზავნილი სპეცის ხელში. იმედ გაწყვეტილმა გლეხობამ მომართა ლითონის ტრესტს, რათა პირობის თანახმად გამოეცვალა „მოტორი", მაგრამ მან პირიქით დაიწყო შარების გამოძებნა. თითქოს „მოტორი"-ს დაზიანების მიზეზი თვით გლეხობა იყო. ამრიგად ფულის გლეხებისათვის უკან დაბრუნება სა ძნელოთ დაურჩა. ბოლოს, როდესაც საქმე სასამართლომდის უნდა მისულიყო, ტრესტი დასთანხმდა მხოლოდ 25 ცხ. ძალიან მოტორის გამოცვლაში, რასაც კიდევ დიდი ფასის დამატება უნდა, და, ისედაც გაძვალტყავებულ გლეხობას, ასე მოულოდნელად ფულის შოვნის თავი არა აქვს.

გლეხობა კიდევ გაიჭირვებს საქმეს და გაიძრობს ტყავს დასახულ მიზნის განსახორციელებლად, მაგრამ ამჟამად მინდვრის სამუშაო სეზონია. სოფელს არა აქვს საშუალება ფულის შოვნისა, რასაც ალბათ მიიღებს მხედველობაში ლითონის ტრესტი.

კარგი იქნება ამ საქმეს ყურადღებას მიაქცევდეს საქართველოს მეურნეობის უმაღლესი საბჭო.

გიორგი კილაძე.

საპირბოროტო საკითხი

გზების საკითხი თავსამტვრევ კითხვას წარმოადგენს ჩვენს სოფლებში, ყოველ სოფელში გლეხკაცობა ერთსულოვნად მზადაა გამოვიდეს გზების შესაკეთებლად. ეს ადვილი გასაგებიცაა, რადგან ყველაზე მეტად და ყველაზე მწვავედ უგზოობას თვითონ გლეხი გრძნობს.

მაგრამ ამ იშვიათ ერთსულოვნებასთან ერთად არ სჩანს ინიციატივა, წინამძღოლობა. ყოველგვარ საქმეს მეთაური და ხელმძღვანელი სჭირდება. ასეთია გზის მშენებლობაც. ცალკე გლეხები გაიძახიან, აიღეთ ინიციატივა, მოგვეცით ხელმძღვანელი და ჩვენ მზადა ვართ მუშაობისათვისო.

ამას წინად ერთი ლეჩხუმელი კორესპონდენტი სწერდა ქვეიო სვანეთის გზების მდგომარეობაზე და მოჰყავდა მეტად დამაღონებელი ფაქტი. უგზოობის გამო ხრამში გადიჩეხა ახლად გათხოვილი ქალი, რომელიც ქმრის ოჯახში პირველად მიჰყავდათო. ამ ქალის გულმოკლული მამა ამბობდა: რათ არ ვარჩევდი, მთელი ერთი წლეიწადი გზის შესაკეთებლად მემუშავნა, ასეთი უბედურების თავზე დატეხასო.

ცხადია, გლეხობა კარგად გრძნობს რა დიდი დაბრკოლება მოაქვს სოფლისათვის უგზოობას. ამიტომაა, რომ ის ასე დაჟინებით მოითხოვს გზების შეკეთებას თუ გაყვანას. განსაკუთრებით სჩივის სოფელი ადგილობრივ მნიშვნელობის გზებზე. თუ დიდი გზატკეცილები არა, ადგილობრივი ორღობეები და საურმე გზები იმდენად მაინც უნდა შეკეთდეს, რომ კაცმა დატვირთული ურემი გადაუბრუნებლად გაატაროს.

ხშირად ხდება ისე, რომ უნდათ დიდი გზის შეკეთებას მიჰყონ ხელი. ამ საქმისათვის ზოგჯერ დროს ვერ შოულობენ, ხან საჭირო ტეხნიკურ ინვენტარს და ხან კიდევ რას. საქმე ყოვნდება. და ამ დიდი გზის შეკეთების მოლოდინში უყურადღებოდ რჩება ადგილობრივ მნიშვნელობის საურმე გზები.

ასეთი მდგომარეობა ყოვლად დაუშვებელია. ინიციატივისა და ხელმძღვანელობისათვის, რომელსაც ასე დაჟინებით ითხოვს გლეხკაცობა, ჩვენ საკმაოზე ბევრად მეტი ორგანიზაციები გვყავს. ესენია პირველყოვლისა თემამასკომები მათი საგზაო-საამშენებლო სექციებით, გლეხკომები და სხვადასხვა სახის გლეხთა გაერთიანებები, ამხანაგობები, კოლექტივები და სხ.) ყველა ამ ორგანიზაციებს შეუძლიანთ აიღონ თავიანთ-თავზე გზების შეკეთების საკითხი და თემამასკომთან შეთანხმებით შეუდგენ საქმეს.

საგზაო მშენებლობას, როგორც ყოველივე საქმეს, თავისი ალღო და დრო აქვს. ეხლა, მაგალითად, როცა გლეხი შედარებით მოცლილია (მინდვრის სამუშაო შემოდგომამდე მოთავებულია) და ამინდებიც კარგი დგას, შესაძლებელია ფართე საგზაო მუშაობის გაჩაღება. სოფლისათვის ამ შედარებით თავისუფალ თვეებში უნდა ისარგებლოს თემამასკომებმა და გლეხთა სხვა ორგანიზაციებმა იმ საპირბოროტო საკითხის, როგორიც გზების შეკეთებაა, რამდენიმედ მაინც მოსაგვარებლად.

გზირი.

წერილებიდან

ახალ-სენაკი

გაუფრთხილებლობის მსხვერპლი. ამას წინათ მილიციონერ ნინუას შემთხვევით გაუვარდა რევოლვერი და ტყვია მუცელში მოხვდა იქვე მდგომ სამაზრო მილიციის სამმართველოს საქმისმწარმოებელ ალექსანდრე დადიანიას რომელიც რამდენიმე საათის ტანჯვის შემდეგ გარდაიცვალა.

ბეგოსი.

ზ. საქობო, (სიღნ. მ.)

იოსავამ შეაჭუჩა, წვიმამ ისევ გაშალა. ინჟ. იოსავამ საქობოს ხევში შეაჭუჩა ქვის კონუსები, რომელიც სიღნაღ-ლაგოდეხის გზატკეცილზე უნდა დაეყარათ. მაგრამ მანამდი იდგა ეს კონუსები უძრავათ, სანამ ნიაღვარი არ მოვარდა და მთელი ქვა ისევ ხევში არ გაშალა. დღეს ეს გზატკეცილი ისეა დაზიანებული, რომ ზამთარში ცხენოსანსაც გაუჭირდება მაზე გავლა.

მეურმე გლეხი.

თბილისის ბოტანიკური ბაღი

თბილისის ბოტანიკური ბაღი ერთი უდიდესი სამეცნიერო დაწესებულება იყო და არის, თუმცა თბილისის ფართო საზოგადოება მას ნაკლებათ იცნობს და მხოლოდ ზაფხულის დიდ სიცხეებით შეწუხებული თუ მიაშურებს მისკენ სიგრილისა და სიმწვანის სიყვარულით. საკმაოდ გრძელ გვირაბში, რომლითაც ბაღი ქალაქს უერთდება. მართლაც სანეტარო სიგრილეა, გვირაბის წინ მოჩუხჩუხე წყაროც ჩვეულებრივ ძალიან დიდ ხალხს იზიდავს თავისკენ და წყლით მოვაჭრე ბავშვების სიხარულსაც საზღვარი არ აქვს. მაგრამ სიამოვნების გარდა აქ მეცნიერულათაც ბევრი რამ არის საყურადღებო.

ამიერ-კავკასიის და საქართველოს მცენარეულობის შესწავლაში თბილისის ბოტანიკურ ბაღს დიდი ღვაწლი აქვს, მას ანგარიშს უწევდენ და მის გამოკვლევებს ეცნობოდენ და ეცნობიან თითქმის მთელი ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებები, საბჭოთა კავშირში და მის გარეშეც, ევროპაშიც და ამერიკაშიც კი.

ერთ დროს ხომ ჩვენში სხვა სამეცნიერო დაწესებულება არც მოიპოვებოდა გარდა კავკასიის (ამჟამად საქართველოს) მუზეუმისა. თბილისის ბოტანიკური ბაღი იყო სამეცნიერო აზროვნების ცენტრი ამიერ - კავკასიაში და მთელ კავკასიაშიაც კი.

კავკასიის ბუმბერაზი ბუნება კი თავისი მრავალფეროვანებით, სიმდიდრით, სიმშვენიერით და სიდიადით ხომ არაჩვეულებრივი რამ არის. უძველეს დროიდან ყოველი ქვეყნიდან ეშურებოდენ მეცნიერები კავკასიისაკენ, ხშირად სიკვდილის საშიშროებასაც კი არ ერიდებოდენ ოღონდ რომ იქ ჩაეხედათ და ჩამარხული საიდუმლოება ამოეკითხათ... ამ თავდადებულ მუშაობას წმინდა სამეცნიერო მნიშვნელობასთან ერთად დიდი პრაქტიკული შედეგიც ჰქონდა ბუნებაში დამარხულ და დაცულ სიმდიდრეთა ადამიანის სასარგებლოდ გამოყენების საქმეში.

კავკასიის და საქართველოს ფლორის შესწავლა ჯერ კიდევ ორასი წლის წინეთ დაიწყო. ცნობილი ბოტანიკოსი ტურნეფორი 1700—1702 წლებში მოგზაურობდა და იკვლევდა ჩვენი ქვეყნის ბუნებას და მცენარეულობას. მას მოჰყვა ბუქსბაუმი, გმელინი (მთიულების ტყვეობაში გარდაიცვალა), გიულდენშტედტი, პალასი, ნორდმანი, მარშალ - ბიბერშტეინი, რუპრეხტი, ალბოვი, კუზნეცოვი და მრავალი სხვა უცხო ქვეყნების ბოტანიკოსები მოეშურებოდენ ჩვენი ქვეყნისაკენ, მიუხედავათ იმ დროინდელი მოგზაურობის დიდი, ჩვენთვის პირდაპირ წარმოუდგენელი სიძნელისა. იმ დროინდელი ქართველი მოღვაწენი კი მხოლოდ ლექსებით მოხოტვამდენ საქართველოს სიმშვენიერეზე და წარსულზე. მეცნიერებისაგან კი ქართველებიც და კავკასიაში მცხოვრები სხვა ერებიც შორს იდგენ.

ჩვენში რუსეთის დამკვიდრების შემდეგ განვლო ხანმა და ზოგიერთმა რუსმა მეცნიერებმა ჩვენი ქვეყანა თავისი კვლევა-ძიების მუდმივ საგნად გაიხადეს. ისინი (ი. ს. მედვედევი და სხვ.) შეეცადენ ჩვენშიც შეექმნათ თავისი სამეცნიერო მუშაობის კერა და ასეთად გახდა თბილისის ბოტანიკური ბაღი.

დაბახანის ხეობაში ის ადგილი, რომელზედაც თავიდანვე დაიწყო ბოტანიკური ბაღის გაშენება, ქართველ მეფეების გვარეულობას ეკუთვნოდა და იქ ვენახი და თუთის ხეები იყო გაშენებული.

1845 წელში გადაწყდა ამ ადგილზე ბაღის გაშენება, მაგრამ სამეცნიერო ბოტანიკურ ბაღად ის გახდა ფაქტიურად მხოლოდ 1895 წლიდან, როდესაც დაიწყო გამოსვლა სამეცნიერო კრებულმა: „Труды Тифлисского Ботанического сада". ამ დროიდან ბაღის სივრცეც გაიზარდა, შემდეგში დაბახანის გაღმა ბაღის ახალი ნაწილის გაშენებაც დაიწყო, მიემატენ განყოფილებებიც, მუშაკებიც.

მალე ბოტანიკური ბაღის გარშემო თავს იყრის მეცნიერთა წრეება, რომელმაც საერთაშორისო ომის წლებში სხვათაშორის დიდ კაპიტალურ კოლექტიურ მეცნიერული ნაშრომის: „Flora caucasica critica"-ს გამოცემა დაიწყეს პროფ. ნ. კუზნეცოვის საერთო რედაქტორობით და პროფ. ნ. ბუშის, ა. ფომინის, პ. მიშჩენკოს, დ. სოსნოვსკის, ნ. ვორონოვის და ხხვათა მონაწილეობით.

ამ დროს ბაღში დიდი სამეცნიერო მუშაობა იყო გაჩაღებული და მისი სპეციალისტები მრავალ პრაქტიკულ საკითხების გადაჭრაშიც იღებდენ მონაწილეობას. ზაფხულობით ბოტანიკოსები კავკასიის სხვადსხვა კუთხეებში და მიუვალ ადგილებში მოგზაურობდენ, აგროვებდენ დიდძალ სამეცნიერო მასალას.

ომის დროს ისინი გამოყენებული იქნენ სამკურნალო და ტეხნიკურ მცენარეულობის დასამზადებლად ჯარის საჭიროებისათვის. შემდეგ კი მენშევიკების დროს ბაღის არსებობა ბეწვზე ეკიდა, ის სულს დაფავდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ მუშაობის პირობები თანდათან გამოკეთდა, დარჩენილი ძველი სპეციალისტები დღესაც განაგრძობენ 7 არსებულ სამეცნიერო კაბინეტებში ჩუმ მუშაობას; ამასთანავე ერთად ისინი სხვა სამეცნიერო დაწესებულებებთა და სასწავლებელთა მუშაობაშიც იღებენ მონაწილეობას.

ამჟამად ბოტანიკური ბაღი შესდგება შემდეგი განყოფილებებიდან: კავკასიური განყოფილება (ცოცხალ მცენარეთა კოლექცია), ჰერბარიუმი—გამხმარი მცენარეულობის დიდი კოლექცია, ფიტოპათოლოგიური კაბინეტი (მცენარეთა ავადმყოფობის გამოკვლევა), სელექციური კაბინეტი (კულტურულ მცენარეთა: ბამბა, სიმინდი, ლობიო და სხვა ჯიშების შერჩევა) და თესლეულობის საკანტროლო სადგური, ფიზიოლოგიური ლაბორატორია. ბაღს აქვს სამთო განყოფილება ბაკურიანში, რომელსაც ბაკურიანის ბოტანიკურ ბაღს უწოდებენ. წინეთ მას სხვა ადგილებშიც ჰქონდა განყოფილებები. ამიერიდან მას ზუგდიდში ექნება სუბტროპიკული მცენარეთა განყოფილება.

ბაღის სივრცე 60 დესეტინამდე აღწევს. აქ თავმოყრილია მცენარეულობა მრავალი ქვეყნებიდან, უმთავრესად კი კავკასიიდან, სადაც დაცულია მცენარეულობის უძველესი ნაშთები.

ბაღის ახალ ნაწილში სხვათა შორის ხელოვნურათ გაშენებულია აღმოსავლეთ კავკასიის ტყე და ეს ძვირფასი საკლიმატიზაციო ცდა იყო. ამით პირველად დამტკიცდა, რომ თბილისის გაფხეკილ უსიცოცხლო მთა-გორების ამწვანება და ტყით შემოსვა შესაძლებელია. ჩვენ დროში ხომ კიდეც ფართოდ დაწყებულია ხელოვნურად ტყის მოშენება მთაწმინდის მიდამოებში.

ბოტანიკური ბაღის თავისებური მდებარეობა შესაძლებლობას იძლევა მეტად მრავალფეროვანი მცენარეულობის გაშენებისათვის, ამ მხრივ თბილისის ბოტანიკური ბაღი განსაკუთრებულ რამეს წარმოადგენს მეცნიერულ დაკვირვებისათვის.

ბაღის ახალ ნაწილში გაშენებულია მშვენიერი ფიჭვნარი და მის გვერდით ცალკე შემოღობილია კავკასიური განყოფილება, სადაც მხოლოდ ბოტანიკოსებს შეუძლიათ შესვლა. მეტად საინტერესოა ბაღის ძველი ნაწილიც, მდინარე დაბახანის გაღმით, ბაღში მრავალი შენობებია სამეცნიერო კაბინეტებისათვის და მომუშავეთა საცხოვრებელ ბინებით.

ერთი სიტყვით თბილისის ბოტანიკური ბაღი დიდი დაწესებულებაა. წარსულში მეცნიერები და უცხო სახელმწიფოებიდან ჩამოსული სტუმრებიც პირველათ ყოვლისა ბოტანიკურ ბაღს ნახულობდენ. წარსულ წელში ის ინახულა ამხ. რიკოვმაც და საკავშირო ცაკის სესიაზე ჩამოსულმა მთავრობის სხვა წევრებმაც. თბილისის მცხოვრებნი კი მას მხოლოდ სიცხეებში თუ ესტუმრებიან მიუხედავათ ასეთი სიახლოვისა. ჩვენ ხომ საზოგადოთ ბუნებისადმი და მოგზაურობისადმი სიყვარულს ვერავინ დაგვწამებს! ჩვენთვის გრილი გვირაბით ისტორიულ ბოტანიკურ ბაღში გასვლა და გასეირნებაც ძნელი საქმეა!

ველითელი.

წითელ ჯარში

ბინის საკითხი და ჩვენი მეთაურები

უკანასკნელ ხანებში ჩვენი მეთაურების საერთო განვითარების დონის გამოსარკვევად ჩატარებულმა გამოცდებმა არადამაკმაყოფილებელი შედეგები მოგვცა. გამომცდელ კომისიების დასკვნით ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ უპირველეს ყოვლის მეთაურების დატვირთვაში მრავალი დავალებებით და ბინის საკითხის მოუგვარებლობაში.

უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი გარემოება ძალიან უშლის ხელს ჩვენ მეთაურებს მომზადების და თვითგანვითარების საქმეში. მრავალ მეთაურს სრულიად არა აქვს ბინა და უხდებათ ყაზარმაში ცხოვრება, რაც დაუშვებელია. არის შემთხვევა, როდესაც რამოდენიმე მეთაური სცხოვრობს ერთ პატარა ოთახში და მოკლებული არიან საშუალებას იმეცადინონ და შეიძინონ ცოდნა.

აუტანელ მდგომარეობაში არიან ის მეთაურნი, რომელთაც უხდებათ თბილისში მოსვლა ახალ ადგილზე დასანიშნავათ: ისინი ათევენ ღამეს სადგურზე.

ყველა ეს უეჭველია თავის დაღს ასვამს წითელ-არმიელთა მომზადების საქმესაც. მეთაურს არა აქვს საშუალება მოემზადოს მეცადინეობისათვის, წაიკითხოს ჟურნალ-გაზეთები, გაეცნოს ახალ მოვლენებს სამხედრო საქმეში. არა აქვს სრულიად საშუალება იმეცადინოს თვითგანვითარების მიზნით.

ასეთივე სურათს ვხედავთ აგრეთვე პროვინციაშიაც. მეთაურნი მიმართავენ თხოვნით ადგილობრივ ხელისუფლებას ბინის გამონახვისათვის და მრავალ შემთხვევაში ეს თხოვნა რჩება უყურადღებოთ.

მეთაურის უზრუნველყოფა ბინებით უნდა დაისვას თბილისის და ჩვენი სამაზრო ქალაქების აღმასკომების მუშაობის დღის წესრიგში. დღევანდლამდე ამას არ ექცეოდა შესაფერი ყურადღება. არსებობს თბილისში სამხედრო სახლების სამმართველო. მაგრამ ამ სამმართველოს განკარგულებაში იმყოფება ძალიან მცირე რიცხვი სახლებისა, რაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

საერთო შეკრების დამთავრების შემდეგ ტერნაწილების ასეულები და ათასეულები დაბრუნდებიან თავის სამოსწავლო წერტილებზე ქალაქებში და სოფლად. საჭიროა ეხლავე მიღებულ იქნეს ზომები მეთაურთათვის ბინების გამოსაძებნად, რომ ამით არ შეფერხდეს ცვალებადელების და წვევამდელების მეცადინეობის საქმე წერტილებზე.

ჩვენი პარტიული, სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციების საერთო ძალ-ღონით უნდა იქნეს მოგვარებული ბინის საკითხი მეთაურთათვის, ამას გვიკარნახებს ჩვენი წითელი ჯარის მომზადების საქმე.

ე. ხუციშვილი.

მადლობა ხელმძღვანელებს

(მე-2-ე ლეგ. სკოლა)

მე-2-ე ქართ. ლეგიონის სკოლაში მეცადინეობდა რამოდენიმე ამხანაგი სამხრეთ-ოსეთიდან. ეს ამხანაგები ჩამორჩენილი იყვნენ განსაკუთრებით ქართულ ენაში.

სკოლის ხელმძღვანელების ენერგიული მუშაობით ამხანაგებმა კარგათ შეითვისეს ქართული ენა, მიიღეს სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა.

სკოლის დამთავრების შემდეგ აღნიშნული ამხანაგები დაინიშნებიან სხვადასხვა ქართულ ნაწილებში უმცროს მეთაურთა თანამდებობაზე. მომავალში გამოწვეულ ამხანაგებს სამხრეთ-ოსეთიდან, რომლებმაც არ იციან ქართული ენა, სკოლის კურს დამთავრებული ამხანაგები გაუწევენ შესაფერ ხელმძღვანელობას და გაუადვილებენ სამხედრო და პოლიტიკურ საგნების შეთვისებას, რაც წინ წასწევს მათ მომზადების საქმეს.

ამხანაგები, რომელთაც დაამთავრეს ლეგიონის სკოლა, მხურვალე მადლობას უძღვნიან როგორც სკოლის, ისე ლეგიონის უფპოლიტშემადგენლობას, რომლებმაც არ დაზოგეს ძალ-ღონე მათ მოსამზადებლათ.

—ვი.

მზადება ცვალებადელების შესახვედრათ

(მე-6-ე ლეგიონი)

1903 წელში დაბადებულ ცვალებადელების გაშვების შემდეგ ლეგიონი შეუდგა მზადებას საერთო ტერიტორიალურ შეკრების ჩასატარებლად. ამ შეკრებაზე გამოცხადდებიან 1900, 1901 და 1902 წელში დაბადებული ახალგაზრდები, რომელნიც გადარიცხულ არიან ცვალებად შემადგენლობაში. ამასთანავე ერთად მოკლე ხანში გვესტუმრებიან 1904 წელში დაბადებულნი ცვალებადელები, რომლებსაც ჯერ არ გაუვლიათ სამხედრო სწავლება და რომელნიც არ იცნობენ ყაზარმულ ცხოვრებას.

ლეგიონში სწარმოებს ამჟამად მეცადინეობა უმცროს მეთაურებთან, რათა მომზადებული შეხვდნენ ისინი ტერარმიელების მოსვლას, ასწავლონ მათ, თუ როგორ უნდა მიუდგნენ პირველ ხანში ახალგაწვეულებს, რას უნდა მიაქციონ ყურადღება და როგორი საშუალებები უნდა იხმარონ ახალგაზრდობის ჩასაბმელად საერთო საქმიანობაში.

მოსამზადებელი მუშაობა სწარმოებს აგრეთვე სხვა დარგებშიც, როგორიც არის სამეურნეო ნაწილი, სკოლები, ბიბლიოთეკა და კლუბი. ამით ჩვენ შევძლებთ შეკრების წარმატებით ჩატარებას, რაც უეჭველია სასურველ შედეგს მოგვცემს.

—ე.

განათლების ფრონტზე

სამოსწავლო წლის დაწყების წინ

განმეორებითი კოლლოკვიუმები თბ. სასწავლებლებში

განმეორებითი კოლლოკვიუმები თბილისის ყველა დაბალი საფეხურის და საშუალო საფეხურის სასწავლებლებში დაიწყება სექტემბრის 5-დან.

სწავლის ფული ოზურგეთის მაზრაში

ოზურგეთის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა სწავლის ფულის გადახდევინების მხრივ მიმდინარე სამოსწავლო წლისათვის დაჰყოს მოწაფეები 4 კატეგორიად მათი სოციალური მდგომარეობის მიხედვით. პირველ კატეგორიაში შევა მოწაფეთა ულარიბესი ნაწილი, რომლებიც სავსებით განთავისუფლებული იქნება სწავლის ფულის გადახდისაგან. დანარჩენი კატეგორიის მოწაფეები გადაიხდიან სწავლის ფულს 6 მანეთიდან—20 მანეთამდე.

ქუთაისის ელექტრო-ტეხნიკუმი

10 აგვისტოს ქუთაისის ელექტრო-ტეხნიკუმში დაიწყო ტეხნიკუმში შესვლის მსურველთა თხოვნების მიღება. ელექტრო-ტეხნიკუმის პირველ კურსზე არის მხოლოდ 25 თავისუფალი ადგილი,—ხოლო შესვლის მსურველთა რაოდენობა კი 500 კაცს სჭარბობს. განათლების სახალხო კომისარიატის წინაშე აღძრულია შუამდგომლობა მეორე პარალელური განყოფილების გახსნის შესახებ. მომავალ სამოსწავლო წლისათვის ელექტრო-ტეხნიკუმისათვის გერმანიიდან გამოწერილია ელექტრო-კაბინეტები გალვანოპლასტიური და სხვა განყოფილებებით.

სას. სამ. სკოლების მასწავლებელთა კონფერენცია

მეორე სხდომა

სწავლების დაყენება სასოფლო-სამეურნეო სკოლებში

ამხ. ღლონტის მოხსენება

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო სკოლების ამოცანა არის მოამზადოს სასოფლო მეურნეობის დარგში კულტურულად მომზადებული კვალიფიციური ხელოსნები, რომელთაც შეეძლებათ მეურნეობა ჩამოაყალიბოს სამრეწველო კოოპერაციის საფუძველზე და ხელი შეუწყოს სოფლად შრომის ნაყოფიერების აწევას.

სასოფლო-სამეურნეო სკოლების სამოსწავლო გეგმებში და პროგრამებში უნდა იყოს ნათლად გამომჟღავნებული ის არსებითი სამეურნეო დარგი, რომელიც ამ სკოლის რაიონის სასოფლო მუშაობის მთავარ დარგს წარმოადგენს. სხვა სამეურნეო დარგის შესწავლას უნდა ექცეოდეს ყურადღება იმდენად, რამდენადაც სასოფლო-მეურნეობის ამა თუ იმ დარგის ცოდნა სპეციალისტისათვის საჭირო იქნება.

შემდეგ მომხსენებელი ეხება სკოლის სამოსწავლო გეგმას და აღნიშნავს, რომ სამოსწავლო პროგრამები შეფარდებული უნდა იქნეს სეზონურ სასოფლო-სამეურნეო მუშაობასთან.

სამოსწავლო საქმის რაციონალურ ნიადაგზე დაყენება მოითხოვს სწავლების შესაბამ მეთოდს. მთლიანათ საგნობრივი სწავლებით მიზანი მიუღწეველი დარჩება. ამის გამო საჭიროა ლაბორატორიული მეთოდის შემოღება.

დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მთელი სამოსწავლო მასალა ისე უნდა იქნეს დალაგებული, რომ საერთო განათლების საგნებმა სწავლების პირველ წელს ცენტრალური ადგილი დაიკავონ.

მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. ამხ. აბულაძემ, გოგიჩაიშვილმა, ოდიშარიამ, ჭუმბურიძემ, შუბლაძემ და სხვებმა.

ოპონენტები უმთავრესად ეხებოდენ სწავლების მეთოდს და აღნიშნავდენ სასოფლო-სამეურნეო სკოლებში ლაბორატორიული მეთოდის შემოღების საჭიროებას.

მუშა და გლეხ კორესპონდენტთა დასაცავად

თათბირი იუსტიციის კომისარიატში

გუშინ იუსტიციის სახალხო კომისარიატში შესდგა პროკურატურისა და თბილისის ყველა გაზეთების მუშკორთა ბიუროების თათბირი.

თათბირის საგანს შეადგენდა მუშა და გლეხ კორესპონდენტთა მუშაობის პირობების უზრუნველსაყოფათ იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ შედგენილ ცირკულიარის პროექტის განხილვა.

თათბირი გახსნა ამხ. **ნიკ. ოკუჯავამ** რომელმაც თავის შესავალ სიტყვაში დაახასიათა ახალი ცირკულიარის მნიშვნელობა მუშა და გლეხ კორესპონდენტთა მუშაობის პირობების უზრუნველყოფის საქმეში. მომხსენებელმა აღნიშნა რომ ახალი ცირკულიარის გამომუშავება გამოწვეულია მუშკორთა ამოცანების გაფართოებით. ერთ-ერთ ასეთ ამოცანას წარმოადგენს მომჭირნეობის რეჟიმი. ხელისუფლებას და პარტიას მომჭირნეობის დაცვის საქმეში დიდ დახმარებას უწევენ მუშკორები. ამ მხრივ მუშკორს უხდება ბრძოლა ცუდ მეურნეების და ორგანიზაცია-დაწესებულებათა ზოგიერთ ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, რომლებიც თავის უყურადღებობით ხელს უშლიან მომჭირნეობის ცხოვრებაში გატარებას. ამის გამო მოსალოდნელია ზოგმა ადმინისტრატორმა მუშკორს დევნა დაუწყოს. ახალი პროექტი ითვალისწინებს ამ შესაძლებლობას და ამიტომ მუშკორის მუშაობას აყენებს უკეთეს პირობებში. ახალი ცირკულიარის ძალით მუშკორის დასჯა რომელიმე შემცდარი კორესპონდენციის გამოქვეყნების გამო ხდება იშვიათ შემთხვევებში, უმთავრესად ისეთ შემთხვევაში, როცა კორესპონდენცია განგებ შეთხზულ ცრუ მასალას წარმოადგენს. უნებლიე შემცდარი შენიშვნებისათვის მუშკორი არ ისჯება სამოსამართლო უწყებების მიერ.

მეორეს მხრივ ახალი ცირკულიარი სავსებით იცავს მუშკორის პიროვნების ხელშეუხებლობას.

თათბირმა მუხლობრივად განიხილა აღნიშნული ცირკულიარი, სცნო იგი მიზანშეწონილად და შეიტანა მასში ზოგიერთი ცვლილებები, მაგალითად შენიშვნის გარშემო კვლევა-ძიების წარმოების და მუშკორთა დევნის აღმოფხვრის საკითხის შესახებ.

თათბირმა დაადგინა დამუშავდეს აღნიშნული ცირკულიარი რედაქციებისა და მუშკორთა ბიუროების მიერ, რის შემდეგ იგი გაეცნოს დაწვრილებით მუშა და გლეხ კორესპონდენტებს.

დაწესებულებათა ხარჯების შემცირება

საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭომ გამოსცა დადგენილება სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა ხარჯების 10%-ით შემცირების ცხოვრებაში გატარების შესახებ.

ხარჯების შემცირება უნდა მოხდეს 1926-27 წლ. ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის დროს, ისე, **რომ თვითეული უწყების კრედიტების შემცირება უნდა შეადგენდეს 1925-26 წლის ბიუჯეტით ნავარაუდევ ხარჯთ-აღრიცხვის არა ნაკლებ 10%-ისას.**

არ უნდა შემცირდეს სამკურნალო, სასწავლო, სამეცნიერო, საცდელ-სანიმუშო, კულტურულ-საგანმანათლებლო, სასამართლო დაწესებულებათა და პროკურატურის ხარჯები. აგრეთვე შემცირება არ უნდა გავრცელდეს მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატების საოპერაციო ხარჯებზე.

გზათა და ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატების ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით 10%-ით უნდა შემცირდეს როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დაწესებულებათა შესანახი ხარჯები, მაგრამ შემცირება არ უნდა გავრცელდეს საექსპლოატაციო ხარჯებზე.

ხელფასის გასასტუმრებელ თანხების რაოდენობის შემცირება უნდა მოხდეს შტატების შემცირებასთან დაკავშირებით და არ უნდა იქნას **დაშვებული 1925-26 წ. შემოღებულ თვითეულ თანამდებობისათვის მიკუთვნებული ხელფასის შემცირება.**

პირველ ყოვლისა უნდა იქნას შემცირებული ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯები.

ყოველმხრივ უნდა შემცირდეს უწყებათა გამომცემლობის ხარჯები. რაც შეეხება დასამზადებელ ოპერაციების და კაპიტალურ შეკეთებათა ხარჯებს ყოველ ცალკე შემთხვევაში უნდა იქნას შემოწმებული თვითეული ოპერაციის ფაქტიური განხორციელების შესაძლებლობა. კრედიტების გამონაგარიშებას საფუძვლად უნდა დაედოს ხაზინისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი ფასები.

საკავშირო რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს წინადადება ეძლევათ დაუგზავნონ საკავშირო რესპუბლიკების უწყებებს ვრცელი ინსტრუქციები ამა დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად.

ა.-კ. საგეგმო კომისიაში

მეთვალყურეობა ა.-კავკასიაში არსებულ საერთო საკავშირო დაწესებულებების მუშაობაზე

ამიერ-კავკასიის სახელმწ. საგეგმო კომისიამ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვით ამ.-კავკ. სახ. კომ. საბჭომ მეთვალყურეობა უნდა გაუწიოს იმ დაწესებულებათა მუშაობას და ფინანსიურ მდგომარეობას, რომლებიც ამ.-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებენ და საკავშირო მასშტაბით გაერთიანებულ ხარჯთ-აღრიცხვაზე იმყოფებიან.

გზათა მიმოსვლის კომისარიატების ორგანოებს,—ამ.-კავკ. რკინის გზებს, ს. ს. რ. კავშირის გზათა მიმოსვლის რწმუნებულს ამ.-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში, ამ.-კავკ. ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს და ამ.-კავკ. ნავთსადგურების განყოფილებას, აგრეთვე საერთო საკავშირო სახალხო კომისარიატების რესპუბლიკანურ სამმართველოებს, რომლებიც ამ.-კავკ. სოც. ფედ. რესპუბლიკაში მოქმედებენ, წინადადება მიეცათ, რომ ამ.-კავკასიის სახ. კომ. საბჭოს წარუდგინონ დასამტკიცებლად თავიანთი ხარჯთ-აღრიცხვა 1926—27 წლისათვის. ამ.-კავკ. სახ. კომ. საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ ეს ხარჯთ-აღრიცხვები გადაიგზავნება ცენტრში.

საერთო-საკავშირო სახ. კომისარიატების ორგანოებს ამიერ-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში, მათ შორის გზათა მიმოსვლის სახ. კომისარიატების ორგანოებს, მიეცათ წინადადება, რომ კრედიტების განაწილებასთან ერთად ამ.-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარიატში წარადგინონ კრედიტების განაწილების ასლები.

ამის გარდა, საერთო-საკავშირო სახ. კომისარიატების ყველა დაწესებულებანი ვალდებული არიან ყოველწლიურად წარადგინონ ამ.-კავკ. სახ. კომ. საბჭოში ანგარიში თავიანთ მოქმედების შესახებ.

პრემიები საუკეთესო მეურნეობისათვის

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის სადგილმამულო განყოფილებამ მოაწყო კონკურსი საუკეთესო გლეხის მეურნეობაზე მაზრაში.

სანიმუშო-საუკეთესო სამეურნეო ერთეულებს ეძლევათ პრემიებად სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, ახალი ტიპის მანქანები და იარაღები. სულ დარიგებულ იქნება 3000 მანეთის პრემია.

პრემიები ეძლევათ გლეხების იმ სამეურნეო ერთეულებს, რომლებმაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გააუმჯობესეს თავისი მეურნეობა და შემოიღეს მეურნეობის წარმოებაში სასოფლო-სამეურნეო კულტურის დამუშავების და მოვლა-პატრონობის საუკეთესო მეთოდები.

პრემიების რიცხვში შედის ახალი სისტემის გუთნები, სანიავებელი და საბაღო ინვენტარი სეპარატორები ვერმორელის აპარატები და სხვ. მუშაობა გლეხების საუკეთესო მეურნეობათა რაოდენობის გამოსარკვევად და შესარჩევად სპეციალური კომისიის მიერ უკვე ჩატარებულია.

ასეთ მეურნეობათა რიცხვი მთელ მაზრაში უდრის—43. პრემიების გაცემა უკვე დაიწყო.

სოფლის მეურნეობის მექანიზაცია

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ 1926 წ. განმავლობაში მიღებულ იქნა შემდეგი სასოფლო-სამეურნეო იარაღები:

ტრაქტორები—55 ცალი, გუთნები—1455 ცალი, ფარცხები—150, სეპარატორები—100, ვერმორელის აპარატები, ბაღის დანები, მაკრატლები, ცელები და სხვა—17.000, სანიავებელი მანქანები—100 ცალი, მათოხები—300, სიმინდის საცეხველი მანქანები—50 ცალი და სხვა.

გარდა ამისა მიღებულ იქნა სეტყვის საწინააღმდეგო შუშხუნები—10.000 ცალი.

კომისარიატი აწარმოებს ნიადაგის შესწავლას; გაგზავნილია მაზრებში ინსტრუქტორები, რომლებსაც დავალებული აქვთ ტრაქტორების გავრცელების, რუქების და ნიადაგის დაწვრილებითი შესწავლა.

მომავალ საბიუჯეტო წელს მიღებულ იქნება კიდევ 100 ტრაქტორი, რისთვისაც საჭიროა ტრაქტორისტების სათანადო კადრის მომზადება. ამის გამო ოქტომბრისათვის განზრახულია გაიხსნას ტრაქტორისტთა მოსამზადებელი კურსები.

სა.-სამ. მანქანები

1926 წლის განმავლობაში, ა.-კ. სახ. ვაჭრობის საშუალებით, საქ. სას.-სამ. ბანკის მიერ შემოწმებული და მიღებული იყო, მიწსახკომის ცენტრალურ საწყობში შემდეგი მანქანა-იარაღები:

ტრაქტორები: ფორდზონისა, თვლიანი 20 ცხ. ძალ. 35 ც., ხოლტისა, 25 ცხ. ძალ. 20 ც., გუთნები სხვადასხვა სისტემის მარკის და ზომის, როგორც არის ჯონდირ, ეკკერტი, საკი და და სხვა 1455 ც., ფარცხები 150 ც., წერაქვით სათესი საკის 50 ც., სათიბი მანქანები მაკკორმიკის 50 ც., ძნის მკვრელი სამკალი მანქანა 20 ც., სანიავებელი მანქანები და ტრიერები 100 ც., მათოხები 300 ც., სეპარატორები ალფა-ლავალისა 100 ც., სიმინდის საცეხველი 50 ც., ვერმორელის აპარატები, ბაღის დანები, მაკრატლები, ცელები და სხვა 17.000 ც.

გარდა ამისა მიღებულ იქნა სეტყვის საწინააღმდეგო შუშხუნები 10.000 ც.

ყველა ეს მანქანა-იარაღები განაწილებულ იქნა სოფლებში თავის დროზე.

ტრაქტორების აწყობა და შეკეთება სწარმოებდა მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის სახელოსნოებში.

გარდა ამისა კომისარიატის სიებით გამოწერილ და მიღებულ იქნა ამერიკიდან სხვადასხვა ნაწილები ტრაქტორებისათვის და გუთნებისათვის. გუთნების სახნისები ჩამოსხმულია ფოლადისაგან. კომისარიატის საგანგებო შეკვეთით. ასეთი სახნისები საუკეთესო იქნება მძიმე მიწებში.

საქართველოში არსებულ ტრაქტორებზე მუშაობენ ტრაქტორისტები, რომელნიც მომზადებული არიან მიწსახკომის კურსებზე. მათი რიცხვი იყო 50. აქედან 15 ტრაქტორისტი მუშაობს აზერბეიჯანში და სომხეთში, სადაც მათზე დიდი მოთხოვნილება არის, დანარჩენები საქართველოში.

მიწსახკომი პირველ მოთხოვნილებისთანავე გზავნის ადგილებზე ინსტრუქტორებს და მექანიკოსებს, ტეხნიკური დახმარების აღმოსაჩენად.

პროფ. ამირეჯიბის აზრით, რომელიც ხელმძღვანელობს მთელ ამ საქმეს, საქართველოს პირობებში ფორდზონის ტრაქტორი იმუშავებს მხოლოდ მსუბუქ მიწებში, სადაც ნიადაგის წინააღმდეგობა არ აღემატება 30 გირვანქას, მძიმე და მთიან მიწებში კი—**ხოლტის ტრაქტორი** და მძიმე ნიადაგიან ვაკე ადგილებში, ურწყავ მიწებში—**ინტერნაციონალი.**

მანქანების სასარგებლო განაწილებას ხელს უშლის ნიადაგების შეუსწავლელობა. ამჟამად კომისარიატი იღებს ზომებს ნიადაგის შესასწავლად გაგზავნილია უფროსი ინსტრუქტორი, რომელსაც დავალებულ აქვს შეადგინოს ტრაქტორის გავრცელების რუქები და ნიადაგის წინააღმდეგობის შესწავლა. ეს მასალა მომავალში გააადვილებს მუშაობას.

მომავალ საბიუჯეტო წელს მიღებული იქნება კიდევ 100 ტრაქტორი, რისთვისაც საჭირო სათანადო რიცხვი ტრაქტორისტებისა. ამის გამო ოქტომბრისათვის განზრახულია გაიხსნას ტრაქტორისტთა მოსამზადებელი კურსები.

ქარხანა ოზურგეთში

ოზურგეთის აბრეშუმის ძაფის სართავისა და ამომღები ქარხნის აშენება ამ თვის ბოლოსთვის დასრულდება.

ქარხნისათვის საჭირო მანქანები უკვე მოტანილი და დადგმულია.

ქარხნისათვის აშენებულია სრულიად ახალი შენობა.

ქარხანა დიდი ზომისაა, იმუშავებს 72 ფირფიტა. საჭირო იქნება 300 მუშა. მუშებიდან თხოვნების მიღება უკვე დაიწყო. ჯერ-ჯერობით შემოსულია 1000 თხოვნა. ქარხნის ამუშავება ძალიან გამოაცოცხლებს მაზრას.

ბრძოლა მალარიასთან

მიმდინარე ზაფხულზე ქუთაისის მაზრაში ძალზე გავრცელდა ციებ-ცხელება. განსაკუთრებით მძვინვარებს მაზრაში მალიარიის ერთგვარი სახეობა—„ტერციანა". დაავადებულნი დასახმარებლად მიმართავენ სოციალური დაზღვევის, ჯანმრთელობის განყოფილებისა და წითელი ჯვრის ამბულატორიებს, რომელნიც ენერგიულ მუშაობას აწარმოებენ მალიარიის აღმოსაფხვრელად. მხოლოდ „წითელი ჯვრის" ამბულატორია ყოველდღიურად იღებს 450-500 ავადმყოფს. ავადმყოფები მკურნალობენ ქინით და ნემსებით. წინა თვეებთან შედარებით აგვისტოში მალიარიამ იკლო.

ცხენთა გამოფენა

მიწადმოქმედების კომისარიატი ამ ახლო ხანში ახალქალაქში აწყობს სასოფლო-სამეურნეო გამოფენას, სადაც მოხდება აგრეთვე ცხენთა გამოფენაც.

გამოფენის დროს მოხდება ცხენთა გამოცდები, რის შემდეგ მოწონებული ცხენები დაჯილდოვებულნი იქნებიან შესაფერი პრემიებით.

გამოკვლევა

შრომის დაცვის განყოფილების სანიტარული სექციის ქიმიური ლაბორატორია ამ ახლო ხანში შეუდგება ჩათახის ქარხნის შრომის პირობების გამოკვლევას.

გამოკვლევას მიზნად აქვს გამოარკვიოს, თუ როგორ გავლენას ახდენს ჩათახის ქარხნის ჰაერი მუშის ორგანიზმზე.

პატარა ფელეტონი

გზა ბახმაროსკენ თუ... ჯანდაბისკენ

ანუ

გავრცელებული ამბავი

ერთხელ ერთმა ჭიანჭველამ
რაღაც სარჩო დაინახა
და ბინაზე იმ სარჩოსი
მან წაღება განიზრახა.
ჯერ გარშემო დაუარა
გაზომა და გამოზომა,
შემდეგ ტვირთის გაქანება
ჰან მარტოკამ მოინდომა.
დაეჭიდა და მოსწია,
მოიკრიფა ღონე მთელად,
მაგრამ ტვირთი მძიმე იყო
და ვერ დასძრა მარტოხელად.
გული დასწყდა და შეწუხდა
მუყაითი ჭიანჭველა,
იგრძნო მარტო ვერ დასძრავდა
სჭირდებოდა სხვათა შველა.
მონახა და ტვირთთან იმან
მეზობლები მოიყვანა,
და ამ რიგად სხვათა შველით
ტვირთი სახლში მიიტანა.
ერთობაში რომ ძალაა
ეს გაიგო ჭიანჭველამ,
სამწუხაროდ ვერ შეიგნო
ეს ანბანი კაცმა ყველამ.
ეს ამბავი გამახსენდა
ამ დღეებში მგზავრობის დროს
და იმიტომ ვყვები იქნებ
ვინმე მაინც დააფიქროს.

⁂

არც მტკიცება უნდა ამას,
და არც ბევრი ლაპარაკი,
რომ ზაფხულში უსათუოდ
„ცხონებაა" აგარაკი.
და მეც ვიცან მართლდებულად
ზევით თქმული ცნობა რა-კი
ბახმაროზე წასასვლელად
შევიკაზმე „ჯახურაკი".
მაგრამ სანამ წავიდოდი,
კითხვა იდგა ჩემს წინ დიდი:
ასავალად რომელ გზიდან
ამერჩია გზა და ხიდი.
აღმოჩნდა რომ ათასი გზა
მიდის თურმე ბახმაროზე,
თურმე ყველა შენდება ან
შენდებოდა თავის დროზე;
მაგრამ ერთიც არ დამთავრდა,
გავაფრთხილო უნდა ყველა,
სანამ მთაზე ახვიდოდე
ჩამოსკდება გულ-ნაღველა.
ყოველ სოფელს გურიაში
განზრახვა აქვს დიდებული,
სურს დიდი გზა ბახმაროსკენ
იყოს ხოლმე აგებული,
შრომასა და გარჯილობას
არ გაურბის არვინ, მაგრამ...
მაგარიც ხომ იგი არის
რომ ნაყოფი მოგცეს გარჯამ.
ამ საქმეს კი, როგორც ვატყობ,
პირი უჩანს ძალზე ცუდი,
არ მგონია, რომ მოებას
მას ოდესმე რამე კუდი.
გზის გაყვანა ყოველ სოფელს
მის ეზოში სურს და უნდა
ყველა მისკენ „იწიწება"
საქმეც ამან გაამრუდა.
ხევ-ერკეთი ცალკე ცდილობს,
ხიდისთავი კიდევ თვისთვის
გზა თუ სხვაგან გაიყვანეს
„სირცხვილია" ვაკიჯვრისთვის.
და ამრიგად ამნაირად
დაქსაქსულა ათად ძალა,
მგზავრები კი ამ გოლგოთამ
დასტანჯა და გააწვალა.
ვზომეთ მე და „ჯახურაკამ"
საით გვექნა ისე პირი,
რომ ათ ჭირში რამ მსუბუქი
აგვერჩია გზა და ჭირი.
დიდ-ხანს ვზომეთ, მაგრამ ველარ
დავაყარეთ საქმეს ხვავი,
ერთ გზაზე თუ ფეხს მოიტეხ
სხვას შესწირო უნდა თავი.
ახლა ველით: ხალხი როდის
ჩაუდგება ურთ-ერთს გვერდში
და ამდენ გზას, უხეიროს
როდის გასცვლის კარგში, ერთში
მარტო აქ რომ იყოს ასე
არ ვიტყოდით არაფერსა,
სამწუხარო ის არის რომ,
გი ზნე სჭირს ძლიერ ბევრსა.
ხან კლუბზე და ხან სკოლაზე
რის ხოლმე ჯახი ხშირად,
ყველას სახლთან უნდა იგი
და კეთდება საქმე ძვირად.
ალბად ყველას დაარწმუნებს
მაგალითი ჭიანჭველას,
რომ საერთო საქმე ითხოვს
თანხმობას და ყველას შველას.

ხოზიკა.

ხელფასის გაცემა

თავის დროზე უნდა ხდებოდეს

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ ადგილებიდან მიიღო ცნობები, რომ მუშა-მოსამსახურეებს თავის დროზე არ ეძლევათ ხელფასი. ამ ცნობების მიხედვით მთელ რიგ რაიონებში ადგილი ჰქონებია მნიშვნელოვან დავალიანებას ხელფასის გასტუმრების მხრივ.

საკავშ. პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო წინადადებას აძლევს ყველა ადგილობრივ პროფკავშირთა ორგანიზაციებს გააძლიერონ ზეგავლენა სამეურნეო ორგანოებზე და თუ საჭირო იქნება პასუხისგებაში მისცენ ის პირნი, ვინც ხელფასის გაცემას აგვიანებს.

თამბაქოს ტრესტში

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა ნება დართო საქართველოს თამბაქოს ტრესტს, შევიდეს საბჭოთა კავშირის თამბაქოს მრეწველობის ყრილობების ბიუროში (ბიურო იმყოფება მოსკოვში).

თამბაქოს ტრესტის შესვლა ყრილობების ბიუროში სასარგებლოდ იქმნა ცნობილი უმთავრესად იმიტომ, რომ თამბაქოს ტრესტი ამით უზრუნველყოფილი იქნება ქაღალდის მასალით და მონაწილეობას მიიღებს საზღვარგარეთიდან შემოტანილ მანქანების განაწილებაში ტრესტებს შორის.

სატყეო მრეწველობა

აფხაზეთის სატყეო კომბინატი

აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭო საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე შუამდგომლობს შავი-ზღვის ანარიცხების ფონდიდან აფხაზეთის სატყეო მრეწველობის განსავითარებლად გადადებულ იქნეს 300 ათასი მანეთი.

ამ თანხით გადაწყვეტილია გაგრის რაიონიდან ბზიპის სატყეო აგარაკში (პიცუნდაში) გადმოტანილი იქნეს ბალაშევისეული დიდი ხერხის ქარხანა, რომელიც ერთ უდიდეს ან მძლავრ ქარხნად ითვლება მთელს ამიერ-კავკასიაში. ამ ქარხნის ამუშავება აფხაზეთის სატყეო მრეწველობას საშუალებას მისცემს შეუდგეს ბზიპის სატყეო მრეწველობის კომბინატის ორგანიზაციას, რისი გეგმა და ხარჯთაღრიცხვა უკვე შედგენილია სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სპეციალური კომისიის მიერ.

ხარჯთ-აღრიცხვით ამ კომბინატის ორგანიზაციაზე უნდა დაიხარჯოს 3.200.000 მანეთი. კომბინატში შევა შემდეგი წარმოებები: ხის დასამუშავებელი, გრეხილი ავეჯის, ფანერის ყუთების, შპალების წარმოებანი. ელექტრო-სადგური. ზემოხსენებულ 3.200.000 მანეთის აფხაზეთის ს. მ. უ. საბჭო მიიღებს ნაწილობრივად სახელმწიფო ასიგნობიდან, ნაწილობრივად შეკვეთის ანგარიშში მოცემულ ავანსებით და ქონების საწინდარის ქვეშ.

გლეხური მეურნეობის აღწერა

თბილისის მაზრა

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის სტატისტიკური განყოფილება უკვე შეუდგა თბილისის მაზრის გლეხთა მეურნეობის აღწერას და გამოკვლევას. ამ აღწერის დროს სწარმოებს მთელი მოსახლეობის, კომლთა რაოდენობის, მუშა-ხელის, შინაური პირუტყვის—(მუშა საქონლის, მეწველი საქონლის, წვრილფეხიან) დაწვრილებითი აღრიცხვა. აღრიცხვაზე აყვანილი იქნებიან აგრეთვე მეურნეობანი, რომელთაც არ გააჩნიან მუშა საქონელი და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი.

ამ აღწერის და გამოკვლევის მთავარი მიზანია ულარიბესი გლეხობის ნამდვილი რაოდენობის გამორკვევა იმ მოსაზრებით, რომ შემუშავებულ იქნეს ულარიბესი გლეხური მეურნეობისათვის სამეურნეო დახმარების აღმოჩენის გეგმა. მეორე მხრივ აღწერით მიღებულ იქნება საგლეხო მეურნეობის და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნამდვილი სურათი მაზრაში.

აღწერა მიმდინარეობს მაზრის ყველა რაიონებში.

აღწერა და გამოკვლევა დამთავრდება მიმდინარე წლის განმავლობაში.

მელიორაცია

ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა

ამ.-კავკასიის სახელმწ. საგეგმო კომისიამ დაამთავრა ამ.-კავ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს და რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოების მიერ წარმოდგენილი ხუთწლიანი სამელიორაციო მუშაობის გეგმის განხილვა.

ყველა სამუშაოები, გეგმის მიხედვით, უნდა შესრულებულ იქმნეს ხუთი წლის განმავლობაში და არ შეიძლება გადატანილ იქმნან შემდგომი ხუთი წლისათვის, მხოლოდ გამონაკლისს შეადგენს მდინარე მტკვრის გასწვრივ მდებარე ადგილებისა, მუღანლოს (აზერბეიჯანში), სამგორის (თბილისთან) და ზანძა-აბაშის (სამეგრელო) ადგილების მოსარწყავი არხების გაყვანა.

მტკვრის გასწვრივ მდებარე ადგილების სამელიორაციო მუშაობისათვის გადადებულია 4,5 მილ. მანეთი, მუღანლოს რაიონისათვის—7,5 მილ. მანეთი.

ნაოსნობა

ბათომის ნავთსადგურში

„საბჭოთა სავაჭრო ფლოტის" გამგეობამ გადასდო 30.000 მანეთი ბათომის ნავთსადგურში მგზავრებისათვის ახალი ბინების ასაგებად 1923 წ. თოვლით დანგრეულ შენობის სამაგიეროთ.

ბათომი-ბალტიის ზღვის ხაზი

„საბჭოთა სავაჭრო ფლოტის" გამგეობამ 6 დიდი გემი დანიშნა ბათომ-ბალტიის ზღვის ხაზზე შემდეგი მარშრუტით: ბათომი-ნოვოროსისკ-მარიუპოლი-ოდესა-ლივერპული-ჰამბურგი - ლენინგრადი.

ტრამვაი

ახალი ვაგონები

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით ტრამვაის მეურნეობის სამმართველოს სახელმწიფო ელექტრო-ტეხნიკურ ქარხნების ტრესტისათვის შეკვეთილი აქვს 50 ახალი სისტემის ვაგონი, რომლის კონსტრუქცია ამჟამად მოქმედ ვაგონებისაგან დიდათ გაუმჯობესებულია. ახალი სისტემის ვაგონები არიან უფრო მძლავრი და ეკონომიური. შეკვეთა შესრულებული უნდა იქნეს ნაწილ-ნაწილად. ვაგონების უკანასკნელი პარტია ტრამვაის სამმართველომ ხელშეკრულების ძალით უნდა ჩაიბაროს 1928 წლის დამლევს. რაც შეეხება პირველ პარტიას, ტრამვაის სამმართველოს მიერ ელექტრო-ტეხნიკურ ტრესტიდან მიღებულ ცნობის თანახმად ვაგონების პირველი პარტია—სულ 10 ვაგონი გამოგზავნილ იქნება თბილისში 1 სექტემბრისათვის, ხოლო მეორე პარტია 10 ვაგონი ოქტომბრის შუა რიცხვებში.

ვაგონები გამოშვებულნი იქნებიან სამუშაოდ მიღების პირველ დღეებშივე.

მეფუტკრეობა

მეფუტკრეობის მიმდინარე სეზონში მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა თბილისის საბრეშუმო სადგურთან მოაწყო 2 წხ. თვ. მეფუტკრეობის კურსები. კურსების მიზანი იყო მოემზადებინა საქმის მცოდნე მეფუტკრე ტეხნიკოსები. მსმენელებათ იყვნენ მაზრის კოოპერატიულ ამხანაგობებისა და აღმასკომების მიერ წარმოგზავნილი პირები. მსმენელები მეცადინეობდენ თბილისის საბრეშუმო სადგურის და ნოროის სახალხო მამულის საფუტკრეებში. მსმენელებმა საფუძვლიანად გაიარეს მეფუტკრეობის თეორია და პრაქტიკა. კურსები დაასრულა 33 კაცმა, ამათში 4 ქალია. ყველა მათგანმა მიიღო მეფუტკრე ტეხნიკოსის წოდება.

საგზაო მშენებლობა

გურია

ოზურგეთის სამაზრო საფინანსო განყოფილების ცნობებით, 1-ლ აგვისტომდე სად. ოზურგეთიდან გაზიდულ და შემოზიდულ საქონელზე საფუთო გადასახადის სახით სულ შემოვიდა—4.756 მან., რომელიც გადადებულია საგზაო აღმშენებლობის საჭიროებისათვის.

ქალაქში გაყვანილია ორი ახალი ქუჩა, საფუძვლიანად შეკეთდა სადგურის მახლობელი გზები. ამ გადასახადის ნაწილი გადაირიცხა სამაზრო მასშტაბით საგზაო აღმშენებლობისათვის.

სახანძრო საქმე

ტყიბულის მაღაროებში

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ ტყიბულის მაღაროებში მივლინებული იყო მეხანძრე ინსტრუქტორი ამ. ლანიაშვილი—სახანძრო საქმის მდგომარეობის გამოსარკვევად.

ტყიბულის მაღაროებში მოწყობილია ცეცხლის მქრობელ მოხალისეთა რაზმი—16 კაცისაგან.

ადგილობრივ პირობების შესწავლის შემდეგ გამოირკვა, რომ რაზმი მოკლებულია სახანძრო ხელსაწყოებს. საჭიროა აგრეთვე ადგილობრივ წყალსადენის გაყვანა.

ამჟამად შემუშავებულია მთელი რიგი ღონისძიებებისა ტყიბულის მაღაროებში სახანძრო საქმის გასაუმჯობესებლად, რა მიზნითაც სათანადო ორგანოების მიერ გადადებულია საკმაო თანხა.

საფოსტო საქმე

ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ დააწესა 50%-ის შეღავათები ისეთი დეპეშების გაგზავნისათვის, რომელთა ტექსტი შესდგება 15-მდე სიტყვისაგან და რომლებიც შეეხებიან კავშირის საშინაო და საერთაშორისო გადაფრენებს, რომლებსაც აწყობს მუშურ-გლეხური წითელი არმია და ავიაქიმი, და ლაპარაკია შემდეგ საკითხებზე: აეროპლანების გადაფრენა, დაშვება, ცნობა ავარიის შესახებ, იძულებითი დაშვებისა და მომარაგების შესახებ.

ყველა ასეთი დეპეშები გადაიცემა რიგს გარეშე და დანიშნულებისამებრ უნდა იქმნას მიტანილი სასწრაფოდ.

მუშათა ცხოვრება

როგორ მოვხვდით ცემის სანატორიუმში

ერთი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ დადიოდა რკ.-გზ. დისპანსერში ორი მუშა კოტე და ვანო საექიმოდ. ექიმების დასკვნით მათ ჭლექის ნიშნები ჰქონდათ—ორთავე მხარეზე ფილტვები სუსტი. საჭირო იყო მათთვის სადმე საჰაეროდ წასვლა, მაგრამ ეკონომიური მდგომარეობის გამო ვერ ახერხებდენ.

ვანოს მოწყენილობა დაეტყო. ის სულ იმაზე ოცნებობდა, თუ როგორ უნდა დაიოხოს თავი ამ უბედურ სენისაგან. როგორც სჩვევია ჭლექით ავადმყოფობას, მას მთლად დაეკარგა ჭამის მადა და ყოველ ღამე აბოდებდა.

— კაცო რაა, ეს ერთი ხანია, სულ მოწყენილი ხარ—და რაღაც სულ ოცნებობ? ხლარ გეხარ, ძმაო, ჩვენებურ კაცს?—შეეკითხა კოტე ვანოს ერთ მშვენიერ დღეს; როდესაც ისინი გამოდიოდენ დისპანსერიდან.—ეჰ, ჩემო ძმაო, აბა რა გამამხიარულებს, ხომ იცი, რა ავადმყოფობა მაქვს დღეს-თუ ხვალ, ჭლექი უნდა გამიჩნდეს და მერე რაღა სიცოცხლეა. რომ საშუალება მქონდეს და წელს წავიდოდე სადმე აგარაკზე, მაშინ შეიძლება განვიკურნო. თუ არა და წახდა ჩემი საქმე. უპასუხა ვანომ.

„ნუ გეშინია ვანო! ეხლა მუშებს დიდი ყურადღება გვექცევა. მალე განახავ, რომ ეგ დარდები გულზე გადაგვლოდეს და აბასთუმანში, „ან ცემში მხიარულობდე".

— „შაქარი შენს ენას, მაგრამ ეს როგორ მოხდება?".

— „როგორ-და მთავრობა გაგვაგზავნის თავის ხარჯზე".

— ჩვენ გვცნობენ, რომ ავადმყოფები ვართ და ერთი წელიწადია ვწამლობთ დისპანსერში. ნაცნობობა და პროტექცია საჭირია იმათ, ვისაც ავად არ არის და მაინც უნდა მოხვდის აგარაკზე. ჩვენ თითონ გამოგვიძახებენ აგარაკზე წასასვლელად გადამრჩევ კომისიაში გასატარებლად.

ამ სიტყვებით მეგობრები გამოემშვიდობენ ერთი-მეორეს და გაეშურენ სახლისაკენ.

კოტეს სიტყვა გამართლდა. თუთხმეტი დღის შემდეგ სხვებთან ერთად ისინიც გამოიძახეს დისპანსერში, გადამრჩევ კომისიაში გასატარებლად. კომისიამ საჭიროდ სცნო კოტე და ვანოს ცემის სანატორიუმში გაგზავნა თვე ნახევრით დამზღვევ სალაროს ხარჯზე.

28 ივლისი იყო. თბ. უბნის დამზღვევ სალაროსთან მრავალ მუშებს მოეყარათ თავი. მათ უმზადებდენ სანატორიუმში მისაღებ ქაღალდებს და აგრეთვე აძლევდენ ხვედრ ფულს. ამ მუშებში ერიენ ჩვენი ნაცნობი კოტე და ვანო, ისინი ყოველ წუთში იმეორებდენ საბჭოთა ხელისუფლების ქება-დიდებას მუშებზე მზრუნველობისათვის. მათ უხაროდათ როგორც მათი წასვლა ცემში, აგრეთვე ისიც, რომ მათთან ერთად მიდიოდენ სხვა მრავალი მუშებიც. მიიღეს თუ არა მუშებმა ყოველივე ქაღალდები დამზღვევ სალაროდან, მაშინვე წავიდნენ რკ.-გზ. სამმართველოში სამგზავრო ბილეთებისათვის.

—„ხედავ კოტე, იქ რა უბედურება ყოფილა, ჩვენ თუ ვინმეს არ შევეხვეწეთ, ისე ვერც დღეს და ვერც ხვალ ბილეთს ვერ ავიღებთ. ეს ცნობის ბიუროა თუ რაღაცა, ძალიან ბევრი ხალხი კი ახვევია".

უთხრა კოტემ და მართლა წავიდა აღმაგანს. ვანო კი ჩადგა ბილეთების რიგში ცნობათა ბიუროსთან. მათ, ორთავემ ბევრი იწვალეს და ბოლოს დიდი ვაი-ვაგლახით მიიღეს ბილეთები და გაემგზავრენ ცემში.

მათ ეზოში ჩასვლისთანავე მიეგება სანატორიუმის თანამშრომელი ამხ. [illegible].

— თქვენ ავადა ხართ? ჰკითხა მან კოტეს.

ავადა ვარ უპასუხა კოტემ და გადასცა სანატორიუმის დოკუმენტები და სთხოვა ისინი მოეთავსებიათ ერთ პალატაში.

კი, გენაცვალე, ამ წუთში გავიგებ, რომელი პალატაა თავისუფალი და იქ მოგათავსებთ, უპასუხა ელიზემ.

მართლაც მეგობრები ერთი პალატაში მოხვდენ.

პირველ ხანებში მათი საჭმელი ძალიან კარგი იყო, მერმე ცოტა ნაკლები ხარისხის საჭმელია, მაგრამ, საჭმელი [illegible] ვერც-კი სჭამს. დილით გვაძლევა: კარაქი, თაფლი, სამი ცალი კვერცხი, [illegible] „კრუჟკა" რძე, ჩაი და რამდენიც გინდა პური. 11 საათზე კაკაო შოკოლადით, ორ საათზე სადილი სამი კერძით—მესამე ტკბილია. 4 საათზე ჩაი. 7 საათზე ვახშამი და ერთი „კრუჟკა" რძე. რძე შეიძლება შევცვალოთ მაწონზე. ამას გარდა სადილზე ზოგს ღვინო და ზოგს ბორჯომის წყალი ეძლევა.

მოსამსახურეებს არა უშავთ, კარგად გვეპყრობიან. ისე ზედმეტსაც კი ამუშავებენ, მათ არ ყავთ შემცვლელი. ავადმყოფები [illegible] კმაყოფილია ყველაფრით, გარდა ერთისა, ეს ერთი არის ის, რომ პალატაში ხშირად არ მოდის არც ექიმი და არც სამეურნეო ნაწილის გამგე. გასართობებია: ნარდი, ბანქო, გიტარა, მანდოლინა, დომინო და სხვა.

მუშკორი ქვენობნელი.

საკლუბო მუშაობის ირგვლივ

პლეხანოვის სახელობის მუშათა რევოლიუციონური კლუბის [illegible] იყო ისე დაყენებული, როგორც ახლაა და როგორც ამას მოითხოვს მუშების ინტერესები. ეხლა ჩვენ შეგვიძლია ღირსეულად შევაფასოდ მისი რკინის ღობით შემოვლებული, გალამაზებული ბაღი მოსეირნეთათვის დასაჯდომი სკამებით, თავისი ლამაზ აუზებით და სხვ. აქ მძიმე შრომისგან დაღლილი მუშები და მათი ცოლშვილი მიეშურებიან დასასვენებლად. აქ მოეწყო საზაფხულო თეატრი საუცხოვო სილამაზით აგებული. იმართება საუცხოვო წარმოდგენები, ხან ფასიანი და ხან უფასო.

ამნაირად ლენინის უბნის მუშა-მოსამსახურეებს აქვთ სულიერი საზრდო და გართობაც. მაგრამ ყოველივე ამ კეთილ საქმის თან დაჰყვა ერთი უკეთურობა რაც გამოიხატება იმაში, რომ აქაური ახალგაზრდობა უზრდელად ექცევა მოსეირნე საზოგადოებას, განსაკუთრებით ქალებს.

24 ივლისს საღამოს, სამი ახალგაზრდა დამსხდარიყო და მიირთმევდენ ლუდს, თან ქუჩურ სიტყვებით ლაზღანდარობდენ. კლუბის გამგე ჯაფარიძე მოუწოდებდა ახალგაზრდებს ზრდილობისაკენ. მაგრამ ისინი მაინც თავისას განაგრძობდნენ.

11 უბნის მილიციამ უნდა დაიცვას წესიერება. მარტო ის არ კმარა, რომ მილიციელები დადგნენ და უყურონ წარმოდგენებს და ხულიგნობას არავითარი ყურადღება არ მიაქციონ.

მუშკორი ლანტკურის პირელი.

ბელგიის მუშათა დელეგაცია წაღვერში

11 აგვისტოს, შუა დღეზე წაღვერის დასასვენებელ სახლში მუშებს ესტუმრა ბელგიის მუშათა დელეგაცია. დელეგაცია მოვიდა ბორჯომიდან ავტომობილებით (ბორჯომ-ბაკურიანის გზა-ტკეცილით). დელეგაციას პროფსაბჭოდან ახლდა ამხ. მორჩილაძე. დელეგაცია გზა-ტკეცილიდან ფეხით ჩამოვიდა კეხხობში დასასვენებელ სახლების დასათვალიერებლად (კეხხობი ცაგვერის მახლობლად მდებარეობს. იქ არის დასასვენებელი სახლები). ბელგიელ მუშებმა გამართეს საუბარი დამსვენებელ მუშებთან. მათ გაიცნეს, თუ როგორ პირობებში უხდებათ მუშაობა მუშებს ბელგიაში. დელეგაციას დამსვენებელი მუშები დიდის სიხარულით შეხვდენ.

დელეგაციასთან საუბარში დიდ მონაწილეობას ღებულობდენ ჩვენი ქალებიც.

დასასვენებელ სახლების დათვალიერების შემდეგ, დამსვენებლებმა ბელგიის მუშებთან ერთად გამართეს ცეკვა-თამაში და გურული სიმღერები. ამან უფრო გაამხიარულა ისინი. კეხხობის დასასვენებელ სახლებით, თვით ადგილ-მდებარეობით და მუშების ერთსულოვნობით განცვიფრებაში მოდიოდენ სტუმრები. მათ სთქვეს: ბელგიაში ასეთს ვერაფერს ვერ ნახავთო.

საღამოს დამსვენებელ მუშებმა სტუმრები გააცილეს ბორჯომ-ბაკურიანის სოშემდი (მთის მწვერვალოზე), სადაც მათი ავტომობილები იდგნენ.

ბელგიის დელეგაციის წევრებმა იმღერეს „ინტერნაციონალი" რუსულად.

წასვლისხან დამსვენებელ მუშებმა დელეგატებს უთხრეს: „გადაეცით ბელგიის პროლეტარიატს მხურვალე სალამი,—იმ ხუთასი მუშებისგან, რომლებიც ვიმყოფებით დასასვენებლად წაღვერში. გაუმარჯოს ბელგიის პროლეტარიატს, გაუმარჯოს მშრომელ ხალხს"-ო! დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა მადლობა გადაუხადა მუშებს და შემდეგ სთქვა: "უსურვებ ბელგიის პროლეტარიატს, რომ ისინიც გამხდარიყვნენ თქვენსავით ბედნიერები"-ო!

გაუმარჯოს ბელგიის და საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხის ძმურ კავშირს.

ეს სიტყვები დაფარა მქუხარე ტაშმა. სტუმრები დამსვენებლებმა გააცილეს ოვაციებით. ცაგვერიდან დელეგატები გაემგზავრენ ძალზე მხიარულნი ბორჯომისკენ.

მუშკორი კოტე—ძელი.

—:—

მშრომელი ხალხის ასეთი წვალება უნდა მოისპოს

ვისაც გცალიათ, შეიარეთ თბილისის სადგურში და ნახავთ, თუ რა სალოდაობას წარმოადგენს იგი მგზავრობის მხრივ; სდგას სალაროსთან აუარებელი ხალხი, რიგრიგით, ბილეთების ასაღებად, მაგრამ, ვაი ამ რიგებს! არის რიგებში ერთი აყალ-მაყალი, ერთი-მეორის დაჯიკავება-დაჯახება. იმ რიგებში პატიოსან ქალს არც კი დაედგომება. დიდაკაცების და მამაკაცების ერთად რიგებში ჩადგომა იწვევს ათასგვარ უმსგავსო საქციელს. რიგებში ხშირად ჩხუბი ხდება.

ამას თავი დავანებოთ. როდესაც გაიცემა ბილეთი, მაშინაც იმართება ხელმეორეთ სხვა რიგი: სდგას ხალხი სანამ ზარს დაუკრავენ. როდესაც ზარს უკრავენ, მაშინ ხალხი ერთბაშად ხელის კვრით და ჩხუბით ადის მატარებელზე. აქაც უსიამოვნება და აურ-ზაური და სხვ.

კარგი იქნებოდა, რომ ბილით აიბული მგზავრი მაინც გაუშვან მატარებელში. რიგრიგობით.

ალ. ბ—ლი.

კიდევ ერთი გაუთვალისწინებლობა (მუშის შენიშვნა)

— ძლივს განისვენა უკუნითი-უკუნისამდე!—წარმოვსთქვი მე პუშკინის ქუჩაზე გავლის დროს, როდესაც ვნახე, რომ ჩემი შენიშვნის შემდეგ გაზეთის ფურცლებზე, ერთ-ერთ სავაჭროს აბრაზე წარწერა „სომხვაჭ" შეეცვალათ, და ღაეწერათ გასაგებათ „სომხეთის ვაჭრობა"-დ.

— იყო და აღარ არის, მოკვდა!—ვფიქრობდი ჩემთვის და ფიქრადაც არ მომდიოდა თავში, რომ ასეთ გაუგებარ და უცნაურ წარწერას, როგორიც არის „სომხვაჭ", წავაწყდებოდი კიდევ სადმე სხვაგან.

მაგრამ დახეთ საკვირველებას! ამ დღეებში ჩავიარე შუაბაზარში. მოულოდნელად ერთ ალაგას გაიჩერდი და შიგ თვალებში გამეჩხირა აბრაზე არშინის სიგრძე ასოებით დაწერილი „სომხვაჭ!".

თურმე ნუ იტყვით, პუშკინის ქუჩის „სომხვაჭ"-ი კი არ მომკვდარა, როგორც ეს მახინჯი სიცილის მომგვრელი წარწერა არავისთვის არის საშინელი, მაგრამ მე მიკვირს მხოლოდ ერთი რამ...

ამბობენ ალმასკომში არსებობს ბიურო, რომლის მოთხოვნილებითაც ბევრი მახინჯი აბრები შეიცვალა, ხოლო ახალ აბრის დამწერთ წარწერის შინაარსი უწინ ბიუროს უნდა გაასინჯვინონ და მისი დასტურით მოხდეს აბრის დაწერა.

თუ მართლა არსებობს ასეთი ბიურო, როგორ არის, რომ ჩვენი დედაქალაქის ქუჩებს დღემდე ამშვენებენ აბრათა ისეთი წარწერები, როგორც არიან „გოსვეს", „სეკატორგ", „ქალთავაჟების კუდები" და ყველაზე მეტად კი შესანიშნავი „სომხვაჭ"-ი?

მე არ მინდა „ცოდვა დავიდო" და ბიუროში მომუშავეთ ქართული ენის უცოდინარობა შევწამო, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ქალაქში კიდევ ბევრგან გვაქვს მახინჯი და სასაცილო წარწერები.

„სომხვაჭზე" უფრო „ლამაზი" აბრები მოიძებნება ჩვენ ქალაქში, მაგრამ მაგისთვის ჯერ არ მცალიან, სჯობს თვით წარწერათა ბიურომ ადგილებზე გაეცნოს ამ ფაქტებს.

მუშა ნიკო ახ—ლი.

გაატარეთ ცხოვრებაში ეს ბრძანება

თანახმად არსებულ ბრძანებისა, რკინის-გზის მუშა-მოსამსახურეებს, რომელიც გარდა ძირითად ჯამაგირისა, არაფერს არ იღებენ 9 თანრიგამდე, უნდა მომატებოდათ ძირითადი ჯამაგირი 30 პროცენტით გასამრჯელო. აღნიშნული ბრძანება უნდა გატარებულიყო ცხოვრებაში პირველ აპრილამდე. მაგრამ ბრძანება ძალიან ნაკლებად ტარდება ცხოვრებაში, სადგურ თბილისის მოძრაობის დარგის მუშებისათვის. ასეთი მუშები, როგორიც არიან მეისრეები. გადამბლები, კანტორი სმოხელეები, რონოდების ამწერნი და სხვ. ამის გამო განიცდიან უკიდურეს გაჭირვებას მათი არსებობის წყარო მხოლოდ მცირე (ძირითადი) ჯამაგირი.

საჭიროა 9-თანრიგამდე, როგორც ცენტრის ბრძანებაა, ამ დარგში მომუშავე მუშებს მოემატოთ ხელფასი, შეძლების და გვარად.

მუშკორი რადიუმი.

ორნი არიან ტოლნი არიან, ერთად მიდიან მიიმღერიან

ვინ არ იცნობს, რ.-გ. სტატისტიკურ-კარტოგრაფიის განყოფილებაში მონგარიშე ა. იზმაილოვს, რომელიც განთქმულია რესტორნებში, როგორც „ნუნუას" მოყვარული და მოქეიფე. თუ ყოველ დღიურად არა, ყოველ კვირეულად მაინც იგი ილეშება ღვინით. მას მთელი რ.-გზა იცნობს, როგორც განთქმულ „ალკოგოლიკს".

ამჟამად მას მოემატა მეორე თანამგზავრი ამავე სტატისტიკის უფროსის თანაშემწე კორჟენი—ამათ ყოველთვის ერთად ნახავთ რესტორნებში და ლუდის განყოფილებებში. ეს ორი ადამიანი ერთი ჯურის ხალხია, რომელთაც ღვინისგან და მაგარი სასმელებისგან შრომის უნარი და პატიოსნება გამოლევიათ. ესენი დიდი ხანია მაგარ სასმელებს შეექცევიან. სამუშაო დღეებს აცდენენ, თავს ირცხვენენ და ჩვენც გვარცხვენენ, მაგრამ მათ ამლაგმავი დღემდე ალარავინ აღმოჩნდა. ეხლა კი საჭიროა, იქნეს მიღებული სასტიკი ზომები ამ ორ „თანამგზავრის" აქედან გამოსაცოცხად, რათა ეს სენი სხვებს არ გადაედოს და არ წაბილწოს.

მუშკორი წყარო.

მუშათა ქრონიკა

ორჯონიკიძის სახ. საარტ. სამეჭ. ქარხანაში

— ფიზკულტურის წრის მუშაობა. საარტილერიო საქმე. ქარხანაში მოხდა საერთო კრება. კრებამ ფიზკულტურის კომისიების მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

— კედგაზეთი. საარტ. სამექ. ქარხნის რედ. კოლეგიამ გააუმჯობესა კედგაზეთის მუშაობა. გაზეთი გამოდის შინაარსიანი და აშუქებს ადგილობრივი მუშათა ცხოვრებას.

—- შენიშვნაზე გამოხმაურების შესახებ. საარტ. სამეჭ. ქარხნის რედ-კოლეგიამ დაადგინა.—კედ. გაზეთში მოთავსებულ შენიშვნებს გამოეხმაუროს ქარხნის ადმინისტრაციამ.

კედ-გაზეთის კორესპონდენტების შემადგენლობის გაძლიერება. იმ მიზნით, რომ კედგაზეთში გაშუქებული იყოს მუშათა ცხოვრება, რედ. კოლეგიამ ყველა სამქროებიდან გამოჰყო თითო კორესპონდენტი.

—ფიზკულტურისათვის. საარტ. სამექ. ქარხკომის გაერთიანებულმა კრებამ დაადგინა: ფიზკულტურის წრისთვის ქარხკომმა გადასდოს საჭირო თანხა..

— შრომის დაცვის კომისიების მუშაობა. საარტ. სამექ. ქარხკომში შესდგა გაერთიანებული კრება. კრებამ შრომის დაცვის კომისიების მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

— იმ მიზნით, რომ ქარხანაში დაცული იქნას შრომის დაცვის კანონები. საარტ. სამექან. ქარხკომმა დაადგინა, შრომის დაცვის კომისიები დაუკავშირდეს რაიონის ინსპექტორს.

—ნორმალური მუშაობის დაცვა. მუშების ჯანმრთელობის აღდგენის მიზნით, საარტ. სამექან. ქარხკომმა დაავალა შრომის დაცვის კომისიებს მიაქციონ სამქროებში ყურადღება ნორმალურ მუშაობას და სისუფთავეს.

—წარმოების ამაღლების მიზნით. საარტ. სამექან. ქარხკომმა სთხოვა ადმინისტრაციას ანგარიში გაუწიოს და სისრულეში მოიყვანოს საწარმოო კომისიების დადგენილებები.

— საწარმოო კომისიების გადარჩევა. საარტ. სამექან. ქარხკომში მოხდა საწარმოო კომისიების გადარჩევა და არჩეულ იქნა ახალი შემადგენლობა.

— საარტ სამექან. ქარხკომმა დაადგინა: ყოველ საერთო კრებაზე დაესწროს ადმინისტრაციის წარმომადგენელი და გააცნოს მუშებს თავისი მუშაობა.

— კულტკომისიების მუშაობა. საარტ. სამექანიკო ქარხკომში შესდგა გაერთიანებული კრება. კრებამ კულტ-კომისიების მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

— ლიტერატურის შეძენა. ამ მოკლე ხანში საარტ. სამექან. ქარხნის სამკითხველოსთვის კულტკომისია შეიძენს სხვადასხვა ლიტერატურულ წიგნებს.

— კულტ-მუშაობის გაღრმავების მიზნით. საარტ. სამექან. ქარხკომმა დაადგინა კულტკომისიები დაუკავშირდეს მუშათა ცენტრალურ კლუბს.

— წერკუმსის სალიკვიდაციო სკოლაში არ სწარმოებს ნორმალური მეცადინეობა, ამისთვის საარტ. სამექან. ქარხკომმა დაავალა კულტ-კომისიებს მიიღონ ზომები.

— მიღებულია აღსარიცხავად. ა.-კ. საგზაო კომიტეტმა დაუგზავნა საგანგებო წიგნები საუბნო პროფკავშირებს საწარმოო თათბირების და კომისიების მიღწევათა აღსარიცხავად.

— „მშვერავი". თბილისის რკ.-გზის მთავარი საავადმყოფო უშვებს ყოველთვიურ ორგანოს „მშვერავი"-ს სახელწოდებით.

— კომისიის გამოყოფა. ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის მუშათა კლუბთან არსებულ ქართულ დრამწრემ გამოჰყო კომისია 3 კაცის შემადგენლობით. კომისიამ უნდა გამოარკვიოს ახალგაზრდათა შორის დისციპლინის განმტკიცების საკითხები.

— „ცეცხლის ისარი". სადგურ თბილისის მოძრაობის დარგის კულტ-კომისიამ გამოუშვა კედლის გაზეთის მორიგი მერვე ნომერი „ცეცხლის ისარი"-ს სახელწოდებით.

— ექსკურსია. აგვისტოს შუა რიცხვებში მოეწყობა რკინისგზელთა ექსკურსია მოსკოვ-ლენინგრადისკენ.

— ახალი ბარათები. ა.-კ. რკ.-გზ. პროფკავშირმა დაამზადა 35.000 ახალი ბარათი კავშირის 2% ანარიცხების შესაკრებად. და ყველა 35.000 2% ანარიცხების შესაკრებად დამზადებული ბარათები გადაეგზავნა კავშირის ყველა ორგანიზაციებს.

პროფკავშირებში

მავნე გადახრანი მუშათა კლუბების მუშაობაში

ამ დღეებში საქართველოს პროფსაბჭოს კულტ-განყოფილებაში შესდგა ყველა კავშირების კულტ-განყოფილების გამგეთა თათბირი, სადაც განხილულ იქნა საკითხი მუშათა კლუბების საზაფხულო მუშაობის შესახებ. თათბირმა აღნიშნა, რომ ამ მუშაობაში ადგილი აქვს მთელ რიგ მავნე განხრებს. მათ შორის მთავარი განხრა არის კლუბების საქმიანობის დასვენებისა და გართობისაკენ მისწრაფება. უფრო ხშირად იმართება გასართობი საღამოები და ფასიანი წარმოდგენები. პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობას კი,—რაც კლუბების მთავარ ამოცანას შეადგენს,—ნაკლები ყურადღება ექცევა.

აღნიშნული იყო აგრეთვე ისიც, რომ წარმოდგენები მეტ წილად იმართება მოწვეული ძალების საშუალებით. ამით სუსტდება კლუბების სამხატვრო წრეების ინიციატივა და თვითმოქმედება.

ამასთანავე ერთად საღამოები და წარმოდგენები კონკრეტიულ ხასიათს ატარებენ, რადგან მუდამ ფასიანია.

თათბირმა მიიღო რა მხედველობაში ყოველივე ეს, დაადგინა შემოკლებული იქნეს ფასიანი საღამო-წარმოდგენების რიცხვი და გაძლიერებული —პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობა, აგრეთვე გამოცოცხლებული სამხატვრო წრეების თვითმოქმედება, წინდაწინვე უნდა იქნეს შემუშავებული ცხრილი ფასიან წარმოდგენებისა, რათა მოწესრიგებული იქნეს სამხატვრო ძალების გეგმიანი მოწვევა. ასეთი მოწვევა ყოველ ცალკე შემთხვევაში უნდა ხდებოდეს კულტ-განყოფილების თანხმობით.

ან—ვულენი.

ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირში

კავშირის ც. გამგეობამ შეამჩნია, რომ ზოგიერთი ქვემდებარე ორგანოები, ხანდახან არღვევენ კავშირის წევრობის ნებაყოფლობით პრინციპს. კავშირში ახალ წევრებს რიცხავენ მექანიკურად საერთო კრებების გარეშე და ადგილკომში წინასწარ საკითხის განუხილველად.

გარდა ამისა, რაც მთავარი და რაც უფრო არღვევს კავშირის თავისუფალ წევრობის პრინციპს,—ეს არის საწევრო ანარიცხების ჯამაგირიდან დაჭერა, რასაც აგრეთვე აქა-იქ ადგილი ჰქონდა კავშირის ორგანოებში.

კიდევ მეტი. ალაგ-ალაგ დიდია დავალიანება, რამოდენიმე თვეობით კავშირში საწევრო ანარიცხები არ შედის და წევრები კავშირში მაინც რჩებიან.

საჭიროა აღინიშნოს ამასთანავე, რომ ადგილკომიდან თანხები ისესხება ან თვით ადგილკომის სალაროში ინახება დიდი ხნით ფული, იმის მაგივრად, რომ ასეთი ბანკში ინახებოდეს მიმდინარე ანგარიშზე, თანხებს ხშირად ჯიბითაც კი ატარებენ, რაც იწვევს ხშირად გაფლანგვას და სხვა.

ცენტრ. გამგეობამ მიუთითა ყველა ორგანოებს ამ ნაკლზე.

საჭიროა განყოფილებებმა და ადგილკომებმა სისწორით შეასრულონ ცენტრის აუცილებელი დირექტივები და რჩევა-დარიგებანი.

კერძოდ მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს საწევრო ანარიცხების ამკრებთა ინსტიტუტის შემოღება 20—25 კაცზე თითოს, რადგან მუშებს ხანდახან უძნელდებათ კიდევაც თვით გამოცხადება ანარიცხის შესატანად. მხოლოდ არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი რამ ამკრეფლიბად ავირჩიოთ ნდობით აღჭურვილი პირები, რომლებიც ანარიცხებს შეკრებისთანავე გადასცემენ ადგილკომებს დანიშნულებისამებრ გადასაცემად.

პროფკორი მუშა.

პროფმუშაობის ქრონიკა

სიღნაღის სამპროფბიუროში

— რადიო მუშებისათვის. სიღნაღის სამპროფბიურომ გადასწყვიტა ადგილობრივ მუშათა კლუბში რადიო სადგური დადგას ადგილობრივ მუშებისათვის.

— ადგილკომების გადარჩევისათვის ლაგოდეხის რაიონში. ლაგოდეხის რაიონში ადგილკომების ხელახალი არჩევნები ჯერ არ დამთავრებულა. სამპროფბიურომ დაავალა გამგეობის ერთ-ერთ წევრს ჩაატაროს არჩევნები ამ მოკლე ხანში.

— პრომუშაობის გამოსაცოცხლებლად. მიწა-ტყის კავშირის ლაგოდეხის რაიონში არაფერი არ კეთდება. სიღნაღის სამპროფბიურომ დაავალა მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის სიღნაღის განყოფილებას, მცოდნე პროფმუშაკი გაგზავნოს ლაგოდეხის რაიონში.

— შეცდომით ჩარიცხულნი. სიღნაღის შინამრეწველთა საზოგადოებაში ჩარიცხული არიან დაქირავებული მომუშავენი, რომლებიც პროფკავშირის წესდებით უნდა ჩაირიცხონ პროფკავშირში. სიღნაღის სამპროფბიურომ დაავალა ამშენებელთა კავშირის სიღნაღის განყოფილებას, რომ შინამრეწველთა საზოგადოებაში ჩარიცხული დაქირავებული პირები გადარიცხოს პროფკავშირის წევრებად.

ფოთის საქალაქო პროფბიუროში

— ინგლისში გაფიცულ მუშების დასახმარებლად. ფოთის საქალაქო პროფბიურომ დაადგინა ხელმეორედ ჩაატაროს კამპანია კავშირის წევრებს შორის, ინგლისში გაფიცული მუშების მდგომარეობის შესახებ და მოუწოდეს მათ გაიღონ თავიანთი წვლილი გაფიცულთა დასახმარებლად.

— დახმარება მუშათა ცენტრალურ კლუბს. ფოთის საქალაქო პროფბიურომ 165 მან. მისცა ადგილობრივ მუშათა კლუბს დახმარების სახით.

— კავშირებში მუშაობის დაწყების დრო. ფოთის საქალაქო პროფბიურომ გადასწყვიტა კავშირებში მუშაობა აწარმოოს დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2½ საათამდე.

რკინისგზელთა კავშირში

—საწევრო წიგნაკები რკინისგზელთ. ცენტკომიტეტმა დაადგინა 1927 წლის 1-ლი იანვრიდან გამოეცვალოს კავშირის ყველა წევრებს საწევრო წიგნაკები ახალი ფორმის საწევრო წიგნაკებით. ახალი წიგნაკი მით განსხვავდება ძველი წიგნაკისაგან, რომ ურთიერთ დამხმარე სალაროს წევრობის წიგნაკი ცალკე მიეცემა კავშირის წევრს.

— ადგილკომების გადარჩევა. ხაშურის საუბნო პროფკავშირმა მოახდინა ადგილკომების გადარჩევა ძირულაში, ხარაგოულში, მარელისსა და წიფაში.

— კინო-აპარატი. ხაშურის საუბნო პროფკავშირმა დაადგინა შეიძინოს ჭიათურის რკ.-გზ. კლუბისათვის კინო-აპარატი.

— დეკორაციის შესაძენათ. ხაშურის საუბნო პროფკავშირმა გასცა 400 მანეთი ხარაგოულის რკ.-გზ. მუშათა კლუბის დეკორაციის შესაძენად.

— სკამები. ხაშურის საუბნო პროფკავშირმა დაადგინა შეიძინოს შორაპნის რკ.-გზ. კლუბისათვის 120 სკამი.

ქრონიკა

მისალმება სვანეთიდან

საქარ. ალმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ფ. მახარაძეს სახელზე მესტიიდან (ზემო-სვანეთი) მიღებულია შემდეგი მისალმების დეპეშა: ზემო-სვანეთის მშრომელი მოსახლეობა უღრმეს მადლობას გიძღვნით თქვენ იმ დახმარებისათვის, რომელიც აღმოგვიჩინა მესანგრეთა ათასეულმა გზის კეთების საქმეში. მძიმე და სახიფათო იყო ათასეულის მუშაობის პირობები. მთელი ათასეულის მხნე და თავდადებული მუშაობა სვანეთის მშრომელ მასაში ამტკიცებს იმ რწმენას, რომ წითელი ჯარი არის საიმედო დამცველი მუშებისა და გლეხების.

ათასეულის მიერ შესრულებული მუშობა და მომავალი საგზაო აღმშენებლობა საშუალებას მისცემს ზემო-სვანეთის მშრომელ ხალხს დადგეს ეკონომიურ და კულტურულ განვითარების გზაზე.

გაუმარჯოს კავკასიის წითელდროშოვან არმიას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა დიდ საქმეს. **ზემო-სვანეთის სამაზრო ალმასკომი".**

ამხ. ლუნაჩარსკის ლექციები

ამხ. ლუნაჩარსკი, რომელიც ამჟამად ბორჯომში ისვენებს. სექტემბრის პირველ რიცხვებში თბილისში წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ახალი ყოფა-ცხოვრება".

ჭიათურის კონცესია

ამშენებელთა კავშირი საქართველოს პროფსაბჭოს წინადადებით აგროვებს ცნობებს იმის შესახებ, თუ რამდენი მშენებელი მუშა არის ჰარიმანის კონცესიაზე, რა პირობებში მუშაობენ ისინი და როგორია მათი შრომის ხელფასი.

ამ ცნობების შეკრების შემდეგ კონცესიონერთან დადებული იქნება კოლექტიური ხელშეკრულება.

შრომის კომისარიატში

— სპეც-ტანსაცმელები მუშებისათვის. შრომის კომისარიატმა დაადგინა, რომ ნატახტარის წყალსადენზე მომუშავე მუშებს მიეცეთ სპეცტანსაცმელები.

— სანიტარული ექიმის მივლინება. შრომის კომისარიატის სანიტარულმა სექციამ შავიზღვის რკინის გზის სამხეთ ნაწილის სამუშაოებზე შრომის პირობების გამოსაკვლევად მიავლინა სანიტარული ექიმი.

— თათბირი. 20 აგვისტოს შრომის სახალხო კომისარიატში შესდგება თათბირი, რომელზედაც გაირჩევა შინამრეწველთა სახელოსნოებში ჩაბმულ შეგირდთა შრომის პირობების მოწესრიგების საკითხი.

— ჩაის პლანტაციებზე მომუშავეთა შორის. შრომის სახალხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო ინსპექციამ მოახდინა აფხაზეთის ჩაის პლანტაციებში მომუშავეთა შრომის პირობების გამოკვლევა.

— სპეციალური კომისია. შრომის კომისარიატმა გაგზავნა ჭიათურაში სპეციალური კომისია, რომელიც გამოიკვლევს მაღაროებში მომუშავეთა შრომის პირობებს.

სხვადასხვა

— სტატისტიკური აღწერა. საქ. ცენტრალური სამმართველო ამ მოკლე ხანში შეუდგება საქართველოს მოსახლეობის აღწერას. ამ საქმისთვის ადგილებზე უკვე შექმნილია სათაოდო ბიუროები.

— ყრილობა. ოქტომბრის ბოლო რიცხვებში, თბილისში შესდგება მალარიასთან მებრძოლ ამიერ-კავკასიის საზოგადოებათა წარმომადგენლების ყრილობა.

— „ახალი ხორგა". ზუგდიდის მაზრის აღმასკომმა დაამტკიცა სოფ. შუახორგის და ს. ქარიატის თემის გაერთიანების პროექტი. გაერთიანებულ სოფლებს ეწოდება „ახალი ხორგა".

— რვეულების დამზადება. მომავალ სამოსწავლო წლისათვის, „ზაკკნიგამ" დაამზადა 3 მილიონი რვეული.

შემთხვევები

— ბინების გაქურდვა. 17 აგვისტოს გაქურდეს ბ. კული-ოღლის ბინა (ლარსის შესახ. № 6), საიდანაც წაიღეს 90 მან. სხვადასხვა საოჯახო ნივთები.

— ჯიბგირობა. 17 აგვისტოს შუა ბაზარში მიმავალ ე. საკოვისას ჯიბიდან ამოაცალეს მაჯის საათი. ეჭვით დაპატიმრებულია მცირეწლოვანი გარეგინ გრიგორიანცი.

— მორგებული გასაღებით. 17 აგვისტოს კომუნალურ ქ. № 108-ში პ. ისაევის სავაჭროდან მორგებული გასაღების საშუალებით, ქურდს გაუტანია სხვადასხვა საქონელი 100 მან. ღირებულების.

— ბაზინოვის ბინიდან (ეფრეიტორის ჩიხი № 2) მისი აგარაკზე ყოფნის დროს, იმავე ეზოში მცხოვრებ ავ. კამალოვს მორგებული გასაღების საშუალებით მოუპარავს სხვადასხვა საოჯახო ნივთები 500 მან. ღირებულების, ქურდი მიიმალა.

— კარების გამოტეხის საშუალებით. ი. ვაჩეიშვილის ბინიდან (იურიევის ქ. № 1) მისი აგარაკზე ყოფნის დროს, კარების გამოტეხის საშუალებით, ქურდს მოუპარავს სხვადასხვა ნივთები 32 მან. ღირებულების.

— ქურდი შვილი. 15 აგვისტოს მ. სულაძის ბინიდან (შინდის შესახ. № 6) მისივე შვილს გერტს მოუპარავს ფეხსაცმელების შესაკერი სხვადასხვა იარაღები 40 მან.—და მიმალულა.

— ბინის გატეხა. 17 აგვისტოს გატეხილია და გაქურდული ნ. ქურიძის ბინა (ნიკოლოზის ქ. № 37), საიდანაც წაღებულია სხვადასხვა საოჯახო ნივთები; ეჭვით დაპატიმრებულია იმავე სახლის მეეზოვე მანუკოვი.

ქურდობა 1-ლ საბჭოთა აფთიაქში

1-ლ საბჭოთა აფთიაქის გამგემ განაცხადა სისხლის სამართლის მილიციაში, რომ აფთიაქიდან სისტემატიურად იკარგება სხვადასხვა მედიკამენტები.

ს. ს. მილიციის თანამშრომლებმა ეჭვით დააპატიმრა ამავე აფთიაქის დარაჯი ბატონისაშვილი, რომელმაც თავი არ სცნო დამნაშავედ.

ს. ს. მილიციის თანამშრომლების მიერ ბაზარზე აღმოჩენილი იქნა 1-ლ საბჭოთა აფთიაქიდან ნაქურდალი მედიკამენტები. რომლებიც, როგორც გამოირკვა ბატონისაშვილს გაეყიდა. ამის შემდეგ ბატონისაშვილი გამოტყდა დანაშაულში.

საღამოობით მიმდინარე მუშაობის დასრულების შემდეგ ბატონისაშვილი რჩებოდა აფთიაქში, ხსნიდა დალუქულ შკაფს, რომელშიაც ძვირფასი მედიკამენტები ინახებოდა და ყიდდა. ამ ბოროტმოქმედებას ის სისტემატიურად ჩადიოდა. გარდა ამისა იგი ატარებდა „ნაგანის" სისტემის რევოლვერს უნებართვოდ და თავის თავს აცხადებდა კომკავშირის წევრათ.

ბოროტმოქმედი გადაგზავნილია სპეციალურ იზოლიატორში.

ხელოვნება

— კონცერტი. შაბათს, 21 აგვისტოს, მიხ. ცხაკაიას სახელობის კლუბში (ვერის დაღმართი), გაიმართება დიდი კონცერტი სანდრო ინაშვილის, კავსაძის, ქუმსიაშვილის, ვენაძის, გაბაშიძის, მაყაშვილის და სხ. მონაწილეობით.

— სახელმწიფო აკადემიური გუნდის კონცერტები. ხუთშაბათს, 19 აგვისტოს, ორჯონიკიძის სახელობის კლუბში (ყოფილი მუშტაიდი), და პარასკევს, 20 აგვისტოს, საბჭოთა და სავაჭრო მუშა-მოსამსახურეთა კლუბში (ყორისის ქუჩა № 3), გაიმართება სახელმწიფო აკადემიური გუნდის და სიმებიანი ორკესტრის შეერთებული დიდი ინტერნაციონალური კონცერტი. შესრულებული იქნება: ქართული, რუსული, სომხური, თურქული, ოსური, ჩერქეზული, უკრაინული, გერმანული, პოლონური და ოსმალური მხატვრულად დამუშავებული ხალხური სიმღერები.

რკინის გზებზე

ამხ. ივანოვის დაბრუნება

დაბრუნდა შვებულებიდან ამიერ-კავკასიის რკინისგზის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ივანოვი, რომელიც 20 აგვისტოდან შეუდგება თავის თანამდებობის შესრულებას..

სიგნალიზაცია

სადგურიდან დაცილებულ წყლის საქაჩავებთან—ტუმბოებიდან წყლის გადმოღვრის გასაფრთხილებლად მოწყობილია ათი ელექტრონის ზარის სიგნალი.

ახალი სახელოსნოები

სახელოსნოების შეკეთებასთან ერთად მუშავდება საკითხი ახალი სახელოსნოების აშენების შესახებ. ამ საკითხს დიდ მნიშვნელობას აძლევს ცენტრი; ამიტომ ამ საკითხის საბოლოოდ დასამუშავებლად, სახაზებისა და ხარჯთაღრიცხვის შესადგენათ გადადებულია სხვადასხვა თანხა.

რკ. გზის დამზღვევი სალაროს ხარჯები

რკ. გზის დამზღვევ სალაროს 1924—25 საოპერაციო წლის ხარჯები უდრის 2.950.000 მანეთს.

ფართო—ლიანდაგიანი გზის აგება საჩხერე-ფოთს შორის

მუშაობა საჩხერე-ფოთს შორის ფართო ლიანდაგიანი რკინის გზის გასაყვანათ ჩქარის ტემპით მიმდინარეობს. ჭიათურა - რკვიას გადასახვევი გზა მთავრდება. ამის შემდეგ შეუდგებიან მუშაობას საჩხერის მხარისაკენ გზის გასაყვანად.

ბაქოს სადგურის გადაკეთება

ა.-კ. რკინის გზათა გამგეობამ დაადგინა გადააკეთოს ბაქოს სადგურის შენობა, სადგურის სამგზავრო ნაწილის გადიდების მიზნით. ხარჯთაღრიცხვის შედგენა დაევალა გამგეობის წევრს ტეხნიკურ დარგიდან.

კურორტების და სანატორიუმების შესანახად

ა.-კ. რკინის გზათა გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა გზათა სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა უკანასკნელმა დამატებით მისცეს ა.-კ. რკ.-გზის დამზღვევ სალაროს კურორტებისა და სანატორიუმების შესანახად 50.000 მანეთი.

სარონოდო სასწორების მოწყობა სად. წნორის-წყალში

საშემოდგომოთ მოსალოდნელია დიდი ტვირთ-ზიდვა კახეთის გზაზე, განსაკუთრებით სად. წნორის-წყალზე; ამის გამო ა.-კ. რკინის გზათა გამგეობამ დაადგინა მოაწყოს წნორისწყალში დიდი სარონოდო სასწორები. ამ მიზნით მოძრაობის დარგს მიეცა 2.000 მანეთი.

ზაჰესის ენერგიაზე გადასასვლელათ

ა.-კ. რკ.-გზ. ელექტრო-ტეხნიკურმა დარგმა შეადგინა ხარჯთაღრიცხვა რკ.-გზ. დაწესებულებათა განათების „ზაჰესი"-ს ენერგიაზე გადასასვლელათ. ხარჯთაღრიცხვა ახლო ხანში იქნება დამტკიცებული რკ.-გზ. გამგეობის მიერ.

სასამართლო

რ. კუკუჯანაშვილის და სხვათა საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ქ. თელავში გაარჩია რეზო კუკუჯანაშვილის, დავით წიფილაშვილის და ფირუზა ესტიაშვილის საქმე.

ზემოთ ჩამოთვლილ პირებს ბრალდებათ სიკო გოგნიაშვილის მოკვლა შურისძიების ნიადაგზე. ბრალდებულ კუკუჯანაშვილს შეუყვარდა სიკო გოგნიაშვილის ოჯახში აღზრდილი, მისი ნათესავი ქალი და განიზრახა მისი ცოლათ შერთვა. რა ზომებს არ მიმართა ბრალდებულმა კუკუჯანაშვილმა, მისი კარგი მეგობრებიც კი ჩაითრია ამ საქმეში, მაგრამ ქალის თანაგრძნობა ვერ დაიმსახურა. ამის მიზეზათ კუკუჯანაშვილი სთვლიდა გოგნიაშვილს.

კუკუჯანაშვილმა გადასწყვიტა გოგნიაშვილის მოკვლა და თავისი მეგობრების—წივილაშვილის და ესტიაშვილის დახმარებით, გასული წლის 16 ივნისს, თავს დაესხა მძინარე გოგნიაშვილს და მოჰკლა.

სასამართლოში ბრალდებულებმა თავი არ სცნეს დამნაშავედ.

მოწმეების ჩვენებით და სასამართლოს კვლევა-ძიებით აღნიშნულ ბრალდებულების მიერ გოგნიაშვილის მოკვლის ფაქტი, წინასწარი განზრახვით შურისძიების ნიადაგზე—დადასტურდა.

სასამართლომ კუკუჯანაშვილს, წივილაშვილს და ესტიაშვილს მიუსაჯა ათ-ათი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

ფიზიკური კულტურა

საბჭოთა კავშირის სპორტსმენებმა ყველგან გაიმარჯვეს

ბერლინი, 17 აგვისტო. გერმანიაში საბჭოთა ფეხბურთელების გუნდის მოგზაურობის დამთავრების გამო გერმანიის მუშა-სპორტსმენთა კავშირმა გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიაც აღნიშნავს რომ საბჭოთა გუნდი გამოვიდა გამარჯვებული ყველა 7 შეჯიბრში ასეთის შეფარდებით—60:10

ანგარიშში აღნიშნულია, რომ საბჭოთა გუნდის რეკორდი მოწმობს იმას, რომ საბჭოთა ფეხბურთელების შეჯიბრში ვერ გაუძლებს ვერც ერთი ბურჟუაზიული ფეხბურთელების გუნდი.

მეცნიერება და ტექნიკა

„სიკვდილის ხმები"

კიეველმა მეცნიერმა პროფ. გოლდმანმა უკრაინის მთავარ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ მან გამოიგონა „სიკვდილის ხმები". თავისი ცდობა პროფესორმა დოკუმენტალურათ დაასაბუთა. პროფ. გოლდმანის მოხსენება გამოქვეყნებული იქნება სახელმწიფოს ხარჯზე. შემდეგი გამოკვლევებისათვის გადადებულია სპეციალური თანხები.

იშვიათი მუმია

ქაირის (ეგვიპტე) მუზეუმის კოლექცია ამ რამდენიმე ხნის წინათ გამდიდრდა ერთი მეტად საინტერესო და იშვიათი ექსპონატით—საუცხოვოდ შენახული ცხენის მუმიით, რომელიც იპოვეს სახჰრის ახლო მდებარე ცნობილი „საფეხურიანი პირამიდის" ახლო. ამ მუმიის ჰასაკს 3.000 წლით ვანსაზღვრავენ. მონუმენტებზე ნაპოვნი წარწერებიდან სჩანს, რომ ცხენები პირველათ შეზიდული იქნა ეგვიპტეში გიკსოსების—მწყემს ფარაონების დინასტიის დროს.

გათხრები გრენლანდიაში

არქეოლოგიურმა გათხრებმა, რომელსაც 1921 წ. აწარმოებდა დ-რი პაულ ნერლუნდი, დაამტკიცა, რომ ძველათ გრენლანდიაში არსებობდა ნორვეგიელთა კოლონია. კუნძულის სამხრეთ-ნაწილში გათხრების წარმოების დროს ნერლუნდმა იპოვა მრავალი კარგათ შენახული ტანთსაცმელები და სხვა ნივთები, რომლებიც უდაოთ ნორვეგიელებს ეკუთვნოდენ. ამ კოლონისტების დაღუპვის მიზეზათ ნერლუნდი თვლის ჰავის კატასტროფიულ ცვლილებას საშუალო საუკუნეებში. მაგრამ ეს თეორია სამეცნიერო წრეებში ყველამ არ გაიზიარა და ნერლუნდი ახლა აპირებს ახალი, უფრო დამაჯერებელი საბუთების აღმოჩენას. „გრენლანდიის გეოგრაფიულად და გეოლოგიურად გამომკვლევი კომისიამ" გაგზავნა გრენლანდიაში ორი ექსპედიცია, რომელშიც შედის სამი არქეოლოგი და 2 გეოლოგი.

დ-რ ნერლუნდის წინადადებით, გათხრილი იქნება ის რაიონი იგალიკოში, სადაც ამჟამად მხოლოდ სობოროს ნანგრევებია დარჩენილი.

რამდენათ [illegible] სამყარო

გარვარდის (ამერიკის) უნივერსიტეტის პროფესორის დ-რ ხარლოუ შეპლის გამოანგარიშებით, სინათლის სხივი მხოლოდ 300.000 წლის განმავლობაში გაივლის მანძილს რძის გზის უკიდურეს ვარსკვლავებს შორის, ე. ი. ეს მანძილი უდრის 2.800.000.000.000.000.000 (ორ კვინტილიონ 800 კვადრალიონ) კილომეტრს. შესაძლებელია, რომ ზოგიერთი ნისლოვანებანი რძის გზის გარეშე მდებარეობენ და მაშინ სამყაროს საზღვრები კიდევ უფრო ფართოვდება.

ექიმ ხოლლ ედვარდსის გარდაცვალება

17 აგვისტოს ლონდონში გარდაიცვალა ექიმი ხოლლ ედვარდსი—X-სხივების პირველი მკვლევარი. ედვარდსმა თავისი გამოკვლევითი მუშაობა დაიწყო იმ დროს, როცა X—სხივების ბუნება სრულიად არ იყო გამორკვეული. რის გამო კანი დაუავადმყოფდა. ავადმყოფობა ისე გაურთულდა, რომ მას სრულიად მოსჭრეს მარცხენა ხელი და შემდეგ ოთხი თითი მარჯვენა ხელზე. მიუხედავად ამისა, ედვარდსი უკანასკნელ წუთებამდი განაგრძობდა სამეცნიერო მუშაობას.

ბიბლიოგრაფია

„პოლიტიკური მუშაობა ტერიტორიალურ ნაწილებში. ა. შიფრესისა. თარგმანი რუსულიდან ა. გელოვანის და კ. დემეტრაძის მიერ. ქართული სამხედრო სკოლის გამოცემა.

ქართული სამხედრო სკოლა შეუდგა ფრიად სასარგებლო და საჭირო მუშაობას: იგი სთარგმნის რუსულიდან და ჰბეჭდავს იმისთანა წიგნებს, რომლებიც ისაჭიროება ან თვით სკოლის, როგორც სახელმძღვანელოები, ან და საზოგადოთ სამხედრო ნაწილების...

ამ მოკლე ხანში ეს მეორე წიგნი დაიბეჭდა. მალე გამოვა შემდეგი წიგნებიც.

შიფრესის წიგნი წარმოადგენს სახელმძღვანელოს ტერიტორიალურ ნაწილებში პოლიტიკურ შემადგენლობისათვის და შეიცავს მეტად საჭირო დარიგებას, რაც დიდ დახმარებას გაუწევს ქართული ნაწილების პოლიტ. შემადგენლობის ახალგაზრდა მუშაკებს.

წიგნი შეიცავს თორმეტ თავს. წინ უძღვის შესაფერი წინასიტყვაობა და სუფთად არის გამოცემული.

შიფრესი გადმოთარგმნილია მშვენიერი ქართული ენით. დარწმუნებული ვართ, რომ ხსენებული წიგნი სწრაფად გავრცელდება ჩვენებურ ტერიტორიალურ ნაწილებში და სასურველ სარგებლობას მოუტანს მათ.

წიგნი შეიცავს 154 გვერდს. ფასი კი ზედ არის აღნიშნული.

მეგობარი.

იურიდიული დახმარება

შვებულების კომპენსაციის შესახებ

კითხვა

მე ვმუშაობ პროფკავშირში ა.-წ 1-ლ თებერვლიდან. ამ მოკლე ხანში გადავდივარ სხვა დაწესებულებაში სამუშაოდ. შემისრულდა 6 თვე, რაც აღნიშნულ კავშირში დავიწყე მუშაობა.

გთხოვთ განმიმარტოთ რადგან შვებულებით ვერ ვისარგებლე, რამდენი მეკუთვნის კომპენსაცია.

კავშირის წევრი № 15.647.

პასუხი

თუ იმ პროფკავშირის მომუშავეთათვის, სადაც ჯერ-ჯერობით თქვენ მუშაობთ, კოლექტიური ხელშეკრულებით დაწესებულია 11 თვის განუწყვეტლივ მუშაობისათვის ერთი თვიური მორიგი შვებულება, მაშინ თქვენ თითოეულ ნამსახურ თვისათვის უნდა მოგეცეთ საკომპენსაციო ჯილდო არა ნაკლებ თქვენი თვიური ხელფ. ერთი მეთორმეტედი ნაწილისა. თუ კი მორიგი შვებულების გაცემა თქვენთან სწარმოებს თანახმად შრომის კანონთა კოდექსის 114-ისა (ე. ი. საკალენდრო წელში თქვენ გეძლევათ მორიგი შვებულება არა უმეტეს ორი კვირის ხანგრძლივობით), მაშინ ყოველ ნამსახურ თვისათვის თქვენ უნდა მოგეცეთ საკომპენსაციო ჯილდო თქვენი თვიური ხელფასის არა ნაკლებ ერთი ოცდა მეოთხედი ნაწილისა. (იხ. ამ.-კავ. შრომის სახკომატის 1923 წ. ოქტომბრის განმარტება № 70-ის მუხ. 14.).

მერგება თუ არა რაიმე წილი და ვის მივმართო ამის შესახებ

კითხვა

ვარ ქვრივი და უპატრონო; არა მაქვს არავითარი სახსარი ცხოვრებისა, ქმრის ოჯახში სრულიად არათერი გამაჩნია. ვიყავი მამის ერთა-შვილი, მქონდა მამისეული მოძრავ-უძრავი ქონება, რომელზედაც ხელი აამაღებიეს ჩემმა ბიძის შვილის შვილებმა და დღემდის სიკვდილსაც მემუქრებიან.

ვარ ორმოცდათხუთმეტი წლის, ავადმყოფი და ცალხელ დაშავებული.

გთხოვთ ახსნა - განმარტებას—მერგება თუ არა ჩემი მამისეულ საცხოვრებლიდან რაიმე წილი, რომ ავიცდინო სიმშილით სიკვდილი. ვის მივმართო ამის შესახებ.

ქვრივი იელიტა ყიფიანისა.

პასუხი

თანახმად სამოქ. სასამართლოს კოდექსის მუხ. 418-ისა, თქვენ როგორც პირდაპირ შთამომავალს და ერთად-ერთ მემკვიდრეს მამა თქვენის ქონებისა, თუ იგი (ქონება) ანდერძით არ არის მეანდერძის მიერ (მამა თქვენის მიერ) გადაცემული სხვა პირზე, გაქვთ უფლება დაემკვიდროთ გარდაცვალებულ მშობლისგან დარჩენილ ქონებას, გარდა მიწისა, რომლის გაჩუქება ან ანდერძით გადაცემა სახტიკად აკრძალულია მიწის კანონთა კოდექსის მუხ. 25-ის თანახმად.

პირადად თქვენ გირჩევთ სათანადო განმარტებით მიმართოთ ადგილობრივ სახალხო სასამართლოს.

ვინ უნდა შეაკეთოს ღუმელი

კითხვა

ჩემ ბინაში კედლის თიხი გარშემო სულ შემორღვეულია და საშიშ მდგომარეობაში ვიმყოფებით. შესაძლოა მისი მოულოდნელი გადმოხვრეა. ზამთრისათვის გათბობაზე ფიქრიც არ შეიძლება.

გთხოვთ გვაცნობოთ, სახლის პატრონი ვალდებულია თუ არა კედლის ღუმი თავის ხარჯზე შეაკეთოს. ვარ საბჭოთა მოსამსახურე, პროფკავ. წევრი წიგნაკი № 22.

მ. დიასამიძე.

პასუხი

კედლის ღუმელის კაპიტალური რემონტი უნდა მოახდინოს სახლის მფლობელობამ, თანახმად თბ. ქალ. ალმასკომის პრეზიდიუმის 1925 წ. 31 ივლისის დადგენილება № 88-ის.

ვინ უნდა გადიხადოს მეეზოვის ფული

კითხვა

ვცხოვრობ ვერცხლის ქუჩაზე სახლი № 26, ბინად მიჭირავს დარბაზი, რომელსაც აქვს შესავალი ეზოდან და აგრეთვი ქუჩიდანაც. მე ვხმარობ შესავალს ეზოდან. ქუჩიდან კი დაკეტილია, სახლის პატრონი მთხოვს მეეზოვის ფულს.

გთხოვთ მიპასუხოთ ვარ ვალდებული თუ არა გადავიხადო მეეზოვის ფული. ქირას ვიხდი ყოველთვიური. ვმსახურობ ალმასკომში დარაჯის თანამდებობაზე და ვღებულობ თვეში 27 მან. და 16 კაპ. მყავს სარჩენი სამი სული. ამავე დროს ვარ კავშირის წევრი (წიგ. № 5.595). ბინის ქირას ვიხდი საერთო წესით და დროზე.

ალმასკომის დარაჯი პატარაძე.

პასუხი

მეეზოვეს ხელფასს აძლევენ მხოლოდ სახლის პატრონები. მუშა-მოსამსახურე—მდგმურები იხდიან მხოლოდ ბინის ქირას მომქმედ საბინაო ტარიფის თანახმად.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი იუწყება, რომ დღეს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის შენობაში **შესდგება მიმღები კომისიის სხდომა.**

დღეს, საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის დარბაზში შესდგება **ქალაქის რაიონის კედლის გაზეთის რედკოლეგიების თათბირი საუჯრედო აგიტპროპორგანიზატორებთან ერთად.** დღის წესრიგშია: საინსტრუქციო მოხსენება.

დღეს, საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში მოწვეულია მეოთხე რაიონის საიჯარო საბინაო ამხანაგობების ფრაქციის თათბირი. ფრაქციის ყველა წევრებისა და აგრეთვე საბინაო ამხანაგობების გამგეობის წევრ კომუნისტთა დასწრება სავალდებულოა.

დღეს, საღამოს 6 საათზე შესდგება ორგანიზატორ ქალთა საერთო-რაიონული თათბირი პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებულ ქალთა კუთხეში.

დღის წესრიგი: 1) ინფორმაცია ადგილებიდან, 2) მიმდინარე მუშაობის საკითხები.

უჯრედების ორგანიზატორ ქალთა დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომის მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილება იუწყება, რომ დღეს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება **მეორე რაიონის ორგანიზატორ ქალთა კრება.**

ყველა ორგანიზატორ ქალთა დაუგვიანებლად დასწრება სავალდებულოა.

პარასკევს, 20 აგვისტოს, დილის 11 საათზე თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება თათბირი საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციაში პარტიულ განათლების აღრიცხვის ფორმების შესახებ.

მოწვეულია ამხანაგები: სოსიანი (სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაკთა კაბინეტი), საყვარელიძე (1 რაიკომი), სირაძე (2 რაიკომი), ბეჟანოვი (3 რაიკომი), ფუნტაკოვი (4 რაიკომი), სუხამბულოვი (საკავშირო კომპარტიის ამ.-კავკ. საოლქო კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება), მხიტაროვი (საქართველოს პროფკავშირთა საბჭო), ძიძიგური და ტატულოვი.

ღრმად დამწუხრებული მშობლები ქეთო და მიშა ქერქაძეები, ბებია ოლღა ნინუასი, ბებია და ბაბუა მაკა და ივანე, ბიძა მოსე ქერქაძენი და ბაბუა სოსო ნინუა ოჯახობითურთ აუწყებენ ყველა კეთილებს მათი დაუვიწყარი

რეზიკოს

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს, 19 აგვისტოს, დღის 3 საათზე. გამოსვენება კამოს ქუჩა № 48. 3301

კინო ეთერი
დღეს
საუკეთესო სურათი
3 [illegible]
კაფა
დოროტი დალტონის და მილტონ სილსის მონაწ.
ბ. 1683

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო", პლეხ. № 105).
საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
ბ. 1613 0—14

მსოფლიოში ცნობილი სურათი
„მანდრენ"
1 და 2-ე სერია ერთად
შესანიშნავი სიუჟეტი, საუცხოვო შესრულება.
დღეს ყველანი ნახავენ „მანდრენს"
დღეს პრემიერა
დოროტი დალტონის და მილტონ სილსის მონაწ.
„ველური კატა"
ანონსი: ამ დღეებში: „დაბრკოლებათა წინააღმდეგ"

აჭარის-წყალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის
სააღმშენებლო კომიტეტი
იწვევს გამოცდილ ბუღალტერს
„აჭჰესის" მთავარ ბუღალტერის თანაშემწეობაზე.
ჯამაგირი 200—300 მანეთამდე სტაჟის მიხედვით.
განცხადება და დოკუმენტები წინანდელ სამსახურის ადგილის შესახებ უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით: ბათომი, „აჭჰესის" სააღმშენებლო კომიტეტი, სასაფლაოს ქუჩა № 9. ბ. 1675 3—2

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34
0—1

გორის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი
გ. ი. ტლაშაძე
ამით აცხადებს, რომ 21 აგვისტოს დილის 11 საათზე, ადგილობრივ ქ. გორში დანიშნულია საჯარო ვაჭრობით გაყიდვა მცხ. ქ. გორში ივანე მიხეილის-ძე მამულოვის სახლის მასალისა და სხვ. შეფასებ. 170 მან. ალექსი პავლეს ძე ხვადიშვილის ერთ სართულიანი ჩალანგარის სახლისა ფიცრული კედლებით, ორი ოთახით, დახურული ყავრით, შეფასებული 250 მან. თბილისის კომბანკის გორის განყოფ. ვალის დასაფარავად. ბ. 1684

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

წყლებით სამკურნალო
(ბაზნის ქ. № 1)
ახლად შეკეთებულია და მუშაობს ყოველდღე, დილის 6 საათიდან საღამოს 7 საათამდე.
წყლის მკურნალობის ყველა მეთოდები ტარდება გამოცდილი ექიმი-სპეციალისტის ხელმძღვანელობით.
ავადმყოფობანი: ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის მოშლა, ნიკრისის ქარები, რევმატიზმი, ნევრასტენია, ნევრალგია, ნევრიტები, გულის და სახსრების ავადმყოფობა
პირველად მოსულ ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 საათამდე.
25—3 ბ. 1650

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს ტიპო-ლიტოგრაფიაში (შეკვეთის ბარათი № 0394)
უკვე იბეჭდება ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის
ანთოლოგია-კრებული
ტომი პირველი.
ვსთხოვთ ძველი ხელისმომწერლებს დააჩქარონ ხვედრი ფულის შემოტანა, ხოლო ახლებს—გამოწერა. ხელისმოწერით თითოეული ტომი ღირს ოთხი მანეთი. (ანთოლოგია გამოდის ორ ტომად).
გამოსვლის შემდეგ თითო წიგნი ეღირება 6 მანეთი.
რედაქტორ-გამომცემელი ია ეკალაძე.
მისამართი: თბილისი, ყიფიანის ქუჩა № 11.
ბ. 1669 3—2

გორის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი
გ. ი. ტლაშაძე
ამით აცხადებს, რომ 22 აგვისტოს 1926 წ. დილის 10 ს. ადგილობრივ ს. საქაშეთში დანიშნულია მოქ. სვიმონ გიორგისძე ტიტვინიძის ქონების საჯარო ვაჭრობა ქონება. შეიცავს სხვადასხვა ზომის ხილის ყუთებს, ფისტატხტებს, სტრუშკას, სავსე სკებს და ქვიტკირის შენობას, მდებარე ს. საქაშეთში, რომელიც შესდგება ერთ სართულიანი ქვიტკირის სახლისაგან სამი ოთახით, ქვეშ მდებარე ადგილით და კარმიდამოთი, ზომით დაახლოვებით 100 ოთხკუთ. საქ. სულ შეფასებული სახ. 400 მ. და მოძრავი 243 მ. 30 კ. დიმიტრი ჩაჯგაძის და სხვ. ვალის სანაზღაუროდ.

ყველას, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს შენობის საჯარო ვაჭრობაში უნდა წარუდგინოს სასამ. აღმასრულებელს ალმოს. საქ. ოლქ. სასამ. სანიტარო განყოფილების და სათანადო კომუნალური განყოფილების ცნობა, რომ არც თვითონ მას, არც მის მეუღლეს და არც მის არა სრულწლოვან შვილს არა აქვთ იმ ადგილას რაიმე შენობა და აგრეთვე უნდა მისცეს ხელწერილი, რომ არც თვითონ მას და არც ოჯახის ზემო აღნიშნულ წევრს არა აქვს შენობა რომელსამე სხვა ადგილას. 3302

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8.

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—2

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი. შეშხაპუნება „914". ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე ქალები 12—2 საათ. დღის.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 25—

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3.

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები. მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 89 25—1

დაკარგვა პასპორტი № 2139 გაცემული ლენინგრადის მილიციის სამმართველოს მიერ საულ—იოსებ ილიას-ძე კოგანის სახელზე, მეტრიკული მოწმობა დაბადების შესახებ 1883 ქ. ვიტემსკში და სამხედრო ბილეთი მიღებული ვიტემსკის სამხედრო კომისარიატიდან ჩ. გ. 3308

დაკარგვა კორბოულის შვიდწლედის დასრულების მოწმობა № 21, ვარდენ ვლაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3310

დაკარგვა საალრიცხვო ბარათი ფორმა № 4, № 35, ილია პეტრეს-ძე კეკელიას სახელზე, ჩ. გ. 3307

დაკარგვა პარტიული საკანდიდატო მანდატი, სამხედრო აღრიცხვის ბარათი, სამსახურის მოწმობა გრიგოლ კიკნაძეს სახელზე, ჩ. გ. 3309

დაკარგვა საალრიცხვო ბარათი № 250, რემანოზ ჯანგველაძეს სახელზე ჩ. გ. 3299

დაკარგვა მეტრიკული ამონაწერი № 95, ილია ბოჭორაძეს სახელზე, ჩ. გ. 3297

დაკარგვა მეტრიკული მოწმობა № 1859, ბარბარე ხელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3296

დაკარგვა მეტრიკული მოწმობა № 4326, აპალონ ნესტორის-ძე სირბილაძეს სახელზე, ჩ. გ. 3298

დაკარგვა საკავშირო წიგნაკი № 9457, ბესარიონ კონსტანტინეს-ძე ესებუას სახელზე, ჩ. გ. 3312

დაკარგვა პირადობის მოწმობა № 2817, გაცემული მთავარ სახელოსნოდან გრიგოლ ტაბატაძის სახელზე ჩ. გ. 3311

დაკარგვა მეტრიკული ამონაწერი № 529, დავით ფულარიას სახელზე, ჩ. გ. 3300

დაკარგვა მეოთხე კლასის მოწმობა და პირადობის მოწმობა, შალვა ჯოხაძის სახელზე, ჩ. გ. 3303

დაკარგვა პირადი წიგნაკი № 1917, ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე გეინცელმანის სახელზე, ჩ. გ. 3305

დაკარგვა სამხედრო საალრიცხვო ბარათი ვლადიმერ ივანეს-ძე მათიკაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3304

დაკარგვა საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის საწევრო წიგნაკი ივანე პეტრეს-ძე კვარაცხელიას სახელზე, ჩ. გ. 3306

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. 68